


339.186(479.22)

კ-49

ოთხარ კიკვაძე



სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა  
საჯარო ფინანსების აღმინისტრირებაში

თბილისი 2016

# მთავარი კვირეული

## სახელმწიფო უწყიდგების სკულებფიფ სჯჯაკო ფინანსების აღმინისტკიკიბაში

სსიპ "კონსტრუქციული მუნიციპალიტეტი"  
სახელმწიფო უწყიდგების  
ბიბლიოთეკა  
№ 60234

თბილისი  
2016

339.186 (479.22)+336.1(479.22)  
3-49

UDC (უდკ) 339.186-336.1/5  
კ-498

ოთარ კიკვაძე - „სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა  
საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში“, თბილისი, 2016, 164 გვ.

წინამდებარე მონოგრაფიაში გაანალიზებულია და შეფასებულია სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკა საქართველოში, აღწერილია მისი მართვის და ორგანიზების ტექნოლოგია, ჩატარებულია შესყიდვების რაოდენობრივ და თვისობრივ მოთხოვნათა დაკმაყოფილების გამოკვლევა, განხილულია შესყიდვების სფეროში წარმოშობილი დავები და მედიაციის როლი მათ გადაწყვეტაში, მიგნებული და წარმოჩენილია ამ სფეროს ორგანიზების ზოგადი და კერძო პრობლემები და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის ალტერნატიული გზები.

ნაშრომი განკუთვნილია ბიზნესისა და საჯარო მართვის უკვე შემდგარ ან ჯერ არ შემდგარ (სტუდენტები) სპეციალისტებისთვის.

**კედეპტობი:** დავით ნარმანია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**კეცენსენტო:** მიხეილ მაგანია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

© ოთარ კიკვაძე

ISBN 978-9941-0-9425-5

## შინაარსი

თავი I. სახელმწიფო შესყიდვების, კოგნიტურ ეკონომიკური კატეგორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები .....	5
1.1. სახელმწიფო შესყიდვები, არსი პრინციპები, კოორდინაცია, დაფინანსების წყაროები.....	5
1.2. სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზა საქართველოში .....	9
1.3. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბების ისტორია.....	38
თავი II. საქართველოში შესყიდვების კვალიტივის ანალიზი და შეფასება.....	43
2.1. სახელმწიფო შესყიდვების მართვისა და ორგანიზების ტექნოლოგიის აღწერა და შეფასება.....	43
2.2. სახელმწიფო შესყიდვების რაოდენობრივ და თვისობრივ მოთხოვნათა ანალიზი .....	79
2.3. შესყიდვების სფეროში წარმოშობილი დავები და მედიაციის როლი მათ გადაწყვეტაში .....	87

თავი III. სახელმწიფო შესყიდვების სტრუქტურის გზები	
საქართველოში .....	96
3.1. რეფორმის წარმატებები და ნაკლოვანებები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.....	96
3.2. სახელმწიფო შესყიდვების კერძო პრობლემები და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზები .....	99
დასკვნა.....	150
გამოყენებული ლიტერატურა .....	157

# თაზი I. სახელმწიფო შესყიდვების, კომპლექსური მართვის კატეგორიის თეთრობა- მეთოდოლოგიური საფუძვლები

## 1.1. სახელმწიფო შესყიდვები, აკსი, კვინციკაბი, კომპლექსიანი, ღვინინანსების წყაკობა.

სახელმწიფო შესყიდვები შინაარსობრივად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული - შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შეძენას წარმოადგენს. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ძირითადი პრინციპებია:

- ▲ შესყიდვების საჯაროობა და გამჭვირვალობა;
- ▲ არადისკრიმინაციული და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- ▲ საჯარო ფინანსების რაციონალური და მიზანშეწონილი ხარჯვა.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესს საქართველოში ეროვნულ დონეზე კოორდინაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა დეცენტრალიზებულია და შესყიდვების განხორციელებაზე უფლებამოსილია კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მართლზომიერებაზე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვა ეს არის: შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებების გამოყენებით ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა შემდეგი სახსრებით:

- ▲ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;
- ▲ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;
- ▲ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით;
- ▲ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით;
- ▲ საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვით-მმართველობის მიერ დაფუძნებული (50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით) საწარმოების მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობის მონაწილეს წარმოადგენს მსოფლიო ბანკი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, გერმანიის რეკონსტრუქ-

ციის საკრედიტო ბანკის (KFW) და ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ამ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნას ჩამოთვლილი ორგანიზაციების მიერ განსაზღვრული რეგულაციები;

- ▲ სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;
- ▲ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
- ▲ იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავენ და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე. საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს ამ კანონის შესაბამისად;

რაც შეეხება შემსყიდველ ორგანიზაციას, ის წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილი სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელ იურიდიულ პირს.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია: რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის მიხედვით.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ეფექტური სისტემის არსებობა დიდწილად განაპირობებს სახელმწიფოს (სახელმწიფო ორგანიზაციების) მიერ მოქალაქეთათვის მიწოდებული საზოგადოებრივი პროდუქტის ხარისხსა და მომხმარებელთა მიერ მიღებულ სარგებლიანობას. თუ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დარღვეულია ზემოთხსენებული ფუნდამენტური პრინციპები, ამ შემთხვევაში სახელმწიფოში ადგილი აქვს საჯარო ფინანსების არაყაირათიან ხარჯვას, რაც საჯარო სტრუქტურებში კორუფციის არსებობის და განვითარების პირდაპირი საფუძველია.

## 1.2. სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზა საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემას არაერთი სამართლებრივ-ნორმატიული აქტი არეგულირებს, თუმცა ძირითად სამართლებრივ ბაზას - კანონი საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ”, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმოადგენს. ამასთან ცალკეული შემთხვევები რეგულირდება სხვა კანონქვემდებარე აქტებით რომლებსაც ამ თავში მიმოვიხილავთ.

საქართველოში კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 1998 წელს იქნა მიღებული (მანამდე სახელმწიფო შესყიდვები სხვადასხვა ნორმატიული აქტებით რეგულირდებოდა იხ. მე-3 თავი). საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ახალი ვარიანტი. აღნიშნულმა კანონმა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სერიოზული სრულყოფა მოახდინა, რომელიც გაცილებით კომპლექსური იყო 1998 წელს მიღებულ კანონთან შედარებით, თუმცა 2006 წლიდან მოყოლებული კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ პერიოდულად განიცდიდა ცვლილებებს, რის შედეგადაც ამ ეტაპისთვის არსებული კანონი შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი პირვანდელი სახისგან, მაგ. აქ გვხვდება ისეთი ახალი

ტერმინები და განმარტებები, რომელიც მანამდე მოქმედ კანონში არ არსებობდა.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველი სხვა გარემოებებთან ერთად იყო სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელიც 2010 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა და რითაც შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა.

კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შედგება 7 თავისა და 26 მუხლისგან. აღსანიშნავია, რომ კანონში სტრუქტურული თვალსაზრისით (თავებისა და მუხლების რაოდენობა) ცვლილება არ არის, რაც შეეხება მის შინაარსობრივ მხარეს, გვაქვს რადიკალური ცვლილებები.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო - კანონის მოქმედება ვრცელდება, ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე გარდა ამავე კანონით განსაზღვრული გამონაკლისებისა. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის დეკემბრიდან დღემდე კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად I თავის 1 მუხლის მე-3 პუნქტს დამატებული აქვს მთელი რიგი ქვეპუნქტები, სადაც დაკონკრეტებულია ის შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული კანონის მოქმედება. 2008 წლამდე კანონით დადგენილი წესი არ ვრცელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვებზე, რელიგიური ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე, ხოლო 2008 წლის 15 დეკემბრიდან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის გავრცელება გარდა აღნიშნულისა შეიზღუდა შემდეგ სფეროებზე:

- ▲ საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ასევე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ▲ უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასა და მისი სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;

ასევე, 2009 წლიდან სახელმწიფო „შესყიდვების შესახებ“ კანონი აღარ ვრცელდება:

- ▲ ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების ან საქონლის დაფინანსებაზე, ასევე ვაუჩერის განაღდებასა და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე.

კანონის მოქმედებისგან ასევე გათავისუფლდა საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ არარეზიდენტი პირისგან ტელე-რადიო პროდუქციის ან მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელე-რადიო პროდუქციის გავრცელებასთან ან მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

დღესდღეობით კანონი არ ვრცელდება:

- ▲ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან და ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების გარე აუდიტის განსახორციელებლად აუდიტორული ფირმის მომსახურების სახელმწიფო შეს-

ყადვაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტიდან გამომდინარე შესყიდვები, გარდა არამატერიალურ აქტივებთან, ოქროს ზოდებთან, საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილ ლარის ბანკნოტებსა და მონეტებთან, აგრეთვე ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებისა, რეგულირდება ამ კანონით;

- ▲ იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად;
- ▲ ელექტროენერჯის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე;
- ▲ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ▲ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერმინისტრის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო

მინისტრის და ქ. თბილისის მერის შეხვედრებისა და ვიზიტების, საქართველოს პარლამენტში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე;

- ▲ საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ▲ საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ▲ საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, თუ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე-147-ე მუხლების შესაბამისად;
- ▲ უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასთან, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.

- ▲ ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განაღდებასა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე;
- ▲ შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;
- ▲ სოციალური რეკლამის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის, ვებგვერდითა და სოციალური ქსელით, გავრცელებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე (გარდა ტელერადიოეთერის დროის შესყიდვასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვისა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 661 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობებით);
- ▲ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არარეზიდენტი პირისაგან ტელე-/რადიოპროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) და მასთან დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელე-/რადიოპროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე;
- ▲ სუვერენული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურებისა და სახელმწიფო ფასიან ქალაღდებთან დაკავშირებული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების შესყიდვებზე, აგრეთვე აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლისათვის საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების თანმდევნი ხარჯების ანაზღაურებაზე;

- ▲ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის ან აგენტის მიერ ლატარიის ბილეთის შენახვის, სარეალიზაციო ან/და ლატარიის ორგანიზატორის სარეკლამო საქონლის უსასყიდლო გავრცელებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ▲ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ აღნიშნულ საწარმოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების მქონე პირისაგან მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ▲ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ ლატარიის ორგანიზებისათვის ან/და ჩატარებისათვის საჭირო ინფორმაციული და ტექნოლოგიური მხარდაჭერის სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ▲ შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზაციის მიზნით შეძენილი საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ▲ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ▲ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

▲ „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და საქართველოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად ერთიანი ლაბორატორიული სისტემისათვის განკუთვნილ იმ საქონლის სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლის ჩამონათვალიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

აღნიშნული ცვლილებების საჭიროება ძირითადად დადგა მას შემდეგ, რაც შეიქმნა შესყიდვების ახალი (ელექტრონული) სისტემა და აღნიშნული სფეროები დაექვემდებარა გამარტივებული შესყიდვის წესს, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, ამ სფეროების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შექმნილიყო მთელი რიგი პრაქტიკულ-ტექნიკური ხასიათის პრობლემები.

კანონის მიზანი. სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად კანონის მიზანს საჯარო ფინანსების რაციონალური და მიზანშეწონილი ხარჯვა, მიმწოდებლებისთვის არადისკრიმინაციული და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა, პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა და „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება“ წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ ელექტრონული სისტემა 2010 წლიდან ამოქმედდა და ამ ეტაპისთვის წარმატებით ფუნქციონირებს.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა. სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვებს შემსყიდველი ორგანიზაციები ახორციელებენ წინასწარ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ამჟამად შემსყიდველი ორგანიზაციები გეგმის წარდგენას ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. გეგმაში მითითებული უნდა იყოს წლის განმავლობაში ერთგვაროვან შესყიდვის ობიექტზე რა ოდენობის თანხის დახარჯვას აპირებს შემსყიდველი ორგანიზაცია შესაბამისი შესყიდვის საშუალების გამოყენებით. ელექტრონულ სისტემაში მომდევნო წლის სახელმწიფო შესყიდვების წარდგენის ვადაა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბერი.

შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირება და ერთგვაროვნების პრინციპი. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანება: „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ადგენს შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ცნებას, იგი განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების საერთაშორისო კლასიფიკატორის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ შემუშავებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ<sup>1</sup>. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება განისაზღვრება კლასიფიკატორის პირველი სამი ციფრით. შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირების/აღწერისა და ერთგვაროვნების დადგენის მიზნით გათვალისწინებულია კლასიფიკატორის 8-ნიშნა კოდი, რომელსაც CPV<sup>2</sup> კოდი ეწოდება. აღსანიშნავია, რომ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი 2010 წლის 1 დეკემბრიდან

1 ევროკავშირის EC N213 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონი - Common Procurement Vocabulary (CPV).

2 ევროკავშირის EC N213 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონი - Common Procurement Vocabulary (CPV).

იქნა ამოღებული, რომელიც განსაზღვრავდა ლოტის ცნებას, რაც გულისხმობდა ერთ ტენდერში განსხვავებული სასაქონლო ჯგუფების სხვადასხვა ლოტებად დაყოფას, სადაც სხვადასხვა მიმწოდებელს შეეძლო ცალკეულ ლოტზე გამარჯვება, შესაბამისად აღნიშნული წესით შესაძლებელი იყო შემსყიდველ ორგანიზაციას ყოლოდა რამდენიმე მიმწოდებელი ერთ ტენდერში (სხვადასხვა ლოტზე). დღეს არსებული სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა არ ცნობს ლოტის ცნებას, ამ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია, როგორც წესი, ტენდერს აცხადებს ერთგვაროვან სასაქონლო ჯგუფებზე, სადაც გამარჯვებული შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი მიმწოდებელი. აღსანიშნავია, რომ ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტის ჯგუფი რიგ შემთხვევებში საკმაოდ დიდი რაოდენობის ქვეჯგუფებისგან შედგება, რაც ხშირად ხდება მიმწოდებელთა უკმაყოფილების მიზეზი, რადგან რთულია ერთ მიმწოდებელს გააჩნდეს ერთგვაროვნების მქონე საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოს ერთიანად მიწოდების რესურსი, აღნიშნული კი ხშირ შემთხვევაში, არშემდგარი ტენდერების საფუძველი ხდება.

შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა და კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი. სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლით ასევე განსაზღვრულია შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი - „შავი სია“, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. რეესტრში აღირიცხებიან ის მიმწოდებლები, რომლებიც დაარღვევენ შემსყიდველთან დადებულ ხელშეკრულების პირობებს ან ხელშეკრულების დადებამდე გამოვლინდება მათი არაკეთილსინდისიერი ქმედება. ამასთან არსებობს კვალიფიციურ

მიმწოდებელთა რეესტრი - თეთრი სია, რომელსაც ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. თეთრ სიაში მიმწოდებელთა მოხვედრის პირობები განსაზღვრულია ცალკე კანონქვემდებარე აქტით. აღსანიშნავია, რომ თეთრ სიაში მყოფი მიმწოდებლები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში სარგებლობენ გარკვეული პრივილეგიებით.

სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებია:

- ▲ ელექტრონული ტენდერი;
- ▲ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
- ▲ გამარტივებული შესყიდვა;
- ▲ კონსოლიდირებული ტენდერი;
- ▲ კონკურსი.

აღსანიშნავია, რომ „ელექტრონული ტენდერი“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერი“ და კონკურსი წარმოადგენს ელექტრონული შესყიდვის საშუალებებს, განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ელექტრონული ტენდერი. ელექტრონულ ტენდერსა და გამარტივებული ელექტრონულ ტენდერს განსაზღვრავს როგორც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი (კერძოდ კანონის-მე-3 თავი), ასევე „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება. ელექტრონული ტენდერი სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების

წლიური გეგმის შესაბამისად, საბიუჯეტო წლის განმავლობაში ჯამურად 200.000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვას. ამ შემთხვევაში შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით და სისტემაში ტენდერის დასრულების ვადა არის არანაკლებ 20 დღე, სადაც პირველი 15 დღის განმავლობაში შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს საშუალება გამოცხადებულ სატენდერო წინადადებაში შეიტანოს გარკვეული ცვლილებები. შეტანილი ცვლილებები არ უნდა ეხებოდეს შესყიდვის ობიექტს. ბოლო ხუთი დღის განმავლობაში შემსყიდველ ორგანიზაციას უკვე აღარ აქვს სატენდერო წინადადებაში ცვლილებების შეტანის საშუალება, ამ პერიოდში მხოლოდ პრეტენდენტებს<sup>1</sup> აქვთ საშუალება განახორციელონ თავიანთი სატენდერო პირობების შეთავაზება.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად საბიუჯეტო წლის განმავლობაში ჯამურად 200 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება. ამ შემთხვევაშიც შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით. ასეთი ტიპის ტენდერის ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადა არის არანაკლებ 3 დღისა, სადაც პირველ დღეს შემსყიდველი ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს სატენდერო წინადადების კორექტირებას, ხოლო მეორე და მესამე დღის განმავლობაში პრეტენდენტებს ეძლევათ საკუთარი წინადადების შეთავაზების საშუალება.

<sup>1</sup> პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა მონაწილეობის საფასური, საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი;

სატენდერო წინადადების მომზადება. სახელმწიფო შესყიდვების კანონის პირვანდელ ვარიანტში მე-3 თავის 12-ე მუხლის თანახმად სატენდერო განცხადება ქვეყნდებოდა ეროვნულ საინფორმაციო საშუალებებში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატებოდა 600 000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება 8 000 000 ლარს, აუცილებელი იყო ვაჭრობის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ერთ-ერთ ენაზე საერთაშორისო გამოცემებსა და საინფორმაციო საშუალებებში განთავსება, ხოლო კანონის ახალ ვარიანტში აღნიშნული პროცედურის ვალდებულება შემსყიდველ ორგანიზაციებს არ აქვთ, რამდენადაც სატენდერო განცხადების განთავსება ხდება ელექტრონულ სივრცეში და იგი ხელმისაწვდომია ყველა რეზიდენტი თუ არარეზიდენტი პირისთვის. კანონის ახალი ვარიანტი ინგლისურ ენაზე ტენდერის შესახებ განცხადების განთავსებას ავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციებს იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 500 000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება 1 000 000 ლარს.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაზუსტებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ხელშეკრულების მოქმედების სავარაუდო ვადა (მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა), ფასების არსებული დონე, მსგავსი შესყიდვების განხორციელების გამოცდილება. იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 ლარს, ფასების არსებული დონის გათვალისწინება ხდება შიდა ბაზრის შესწავლის

საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულებაა 500 000 ლარი ან მეტი, ან სამუშაოს სავარაუდო ღირებულებაა – 1 000 000 ლარი ან მეტი – ფასების არსებული დონის გათვალისწინება შესაძლებელია მოხდეს საერთაშორისო ბაზრის შესწავლის საფუძველზე.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სატენდერო წინადადების შემუშავების დროს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას დაეყრდნოს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს და ტექნიკურ მაჩვენებლებს. შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. წინა სისტემისგან განსხვავებით ამჟამად ტექნიკური დოკუმენტაციის გაანალიზებისას სატენდერო კომისია არ ხელმძღვანელობს ე. წ. კოეფიციენტების პრინციპით, ამ შემთხვევაში გამარჯვების „ფორმულა“ არის სატენდერო წინადადების საერთო ფასი, რომელსაც მიმწოდებელი სთავაზობს შემსყიდველს და ასევე ტექნიკური დოკუმენტაციის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

ტენდერის ეტაპები. საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით განსაზღვრულია ტენდერის მიმდინარეობის სტატუსი, რომელიც წარმოადგენს ელექტრონული ტენდერის ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის კონკრეტული ეტაპს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრულია ტენდერის მიმდინარეობის შემდეგი სტატუსები:

- ▲ ტენდერი გამოცხადებულია – სტატუსი, რომელიც მოიცავს სატენდერო განცხადების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებიდან სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს. აღნიშნულ ეტაპზე შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეიტანოს ცვლილება სატენდერო განცხადებაში (გარდა ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტისა) და შეცვალოს სატენდერო დოკუმენტაცია სისტემაში უკვე ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმებით და შეცვლილი /დამატებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით. საყურადღებოა, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნული უფლებით სარგებლობს მხოლოდ მოცემულ ეტაპზე. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 თავის მეთორმეტე მუხლში 2010 წლის პირველი აგვისტოდან შევიდა ცვლილება სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისა და ელექტრონულ სისტემაში განთავსებასთან დაკავშირებით.
- ▲ წინადადებების მიღება დაწყებულია – სტატუსი, რომელიც აღნიშნავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რომლის დროსაც მიმწოდებელს ვაჭრობის ძირითად დროში უფლება აქვს წარადგინოს თავისი სატენდერო წინადადება და მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში. წინადადების წარდგენამდე, პრეტენდენტი ეთანხმება ელექტრონულ პროგრამაში (ფორმატში) მოცემულ აფიდავიტის<sup>1</sup> ფორმას, რის შემდეგაც მას ეძლევა საშუალება მოახდინოს შესაბამისი გადახდები, რომელიც შედგება სატენდერო წინადადების

<sup>1</sup> აფიდავიტი - წერილობითი დოკუმენტი, რომლის ხელმოწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი.

უზრუნველყოფის საგარანტიო თანხისგან (სავარაუდო ღირებულების - 1%) და ტენდერში მონაწილეობის 50 ლარიანი საფასურისაგან. 1%-იანი საგარანტიო თანხა შესაძლებელია გადახდილ იქნეს საბანკო-საკრედიტო ბარათის ან/და ბანკების ან სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული ელექტრონული გარანტიის საშუალებით. რაც შეეხება 50-ლარიან საფასურს, მისი გადახდა შესაძლებელია მხოლოდ საბანკო-საკრედიტო ბარათის საშუალებით.

გადახდების განხორციელების შემდეგ პრეტენდენტს ეძლევა საშუალება მოახდინოს ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვა, რის შემდეგაც იგი აფიქსირებს სატენდერო წინადადების ფასს. პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი უნდა იყოს წინადადების სავარაუდო ღირებულების ტოლი ან მინიმუმ ერთი ბიჯით<sup>1</sup> ნაკლები. პრეტენდენტის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა მოიცავს მინიმუმ ორ კომპონენტს: 1. პრეტენდენტის რეკვიზიტები; 2. შესყიდვის ობიექტის განფასება. შემსყიდველს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია როგორცაა: პრეტენდენტის გამოცდილება ანალოგიური მიმართულებით, საქონლის ნიმუშის წარმოდგენა, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების წარმოდგენა და ა.შ., ნებისმიერ ინფორმაციას პრეტენდენტი წარმოადგენს მხოლოდ ელექტრონული ფორმით. ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულების შემდეგ მიმდინარეობს

<sup>1</sup> სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი - შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო განცხადებაში მითითებული თანხა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0.4 პროცენტიდან 2 პროცენტამდე ოდენობით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების მე-2 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი.

ვაჭრობის დამატებითი რაუნდები, ამ ეტაპზე (იმ შემთხვევაში თუ ღია ტენდერია) პრეტენდენტებს საშუალება აქვთ გაიგონ ყავთ თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონკურენტი. ვაჭრობის დამატებით რაუნდებში სულ სამი რაუნდისგან შედგება სადაც თითოეულ რაუნდში მონაწილე ყველა პრეტენდენტს დამოუკიდებლად ეძლევა ორი წუთი რათა თავისი საბოლოო ფასი დააფიქსიროს.

- ▲ წინადადებების მიღება დასრულებულია – სტატუსი, რომელიც მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დასრულებიდან ტენდერისთვის შერჩევა/შეფასების სტატუსის მინიჭებამდე.
- ▲ ტენდერი არ შედგა - სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა;
- ▲ შერჩევა/შეფასება – სტატუსი, რომელიც აღნიშნავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რომლის დროსაც ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება. მას შემდეგ თუ შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია შერჩევა-შეფასების ეტაპზე, ყველაზე დაბალი ფასის მქონე შემოთავაზებული სატენდერო წინადადების განხილვისას დაადგენს, რომ აღნიშნულ წინადადება შეესაბამება სატენდერო წინადადების მოთხოვნით გათვალისწინებულ პუნქტებს, იგი ელექტრონულ სისტემაში ატვირთავს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმს და წერილს, რითაც ამცნობს პრეტენდენტს, რომ მან შესაბამის ვადაში უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტაციის ან ხარვეზის შემცველი ინფორმაციის გასწორების თაობაზე, რის შემდე-

გაც იწყება ხელშეკრულების მომზადება და ბოლო ეტაპზე მისი გაფორმება, რაც ასევე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აიტვირთება ელექტრონულ სისტემაში. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადება შეიცავს გარკვეულ უზუსტობებს, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიას შეუძლია მიმართოს დაზუსტების მოთხოვნით ან მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია. სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. რის შემდეგაც, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს. თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი საკმაოდ ბუნდოვანია, რადგანაც არ არის განსაზღვრული თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მოცემული ფასი „მნიშვნელოვნად“ შეცვლილად, აღნიშნულმა გარემოებამ რიგ შემთხვევებში შეიძლება შექმნას გაურკვეველობა და სუბიექტივიზმის საფუძველი.

იმ შემთხვევაში თუ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა

ან დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს უფლება მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, აღნიშნული გარემოების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არსებით ცვლილებას იწვევს ან აღნიშნულ ვადაში არ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუმცა ამ შემთხვევაში პრეტენდენტს უბრუნდება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა.

პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება ასევე მაშინაც, როდესაც იგი უარს ამბობს სატენდერო წინადადებაზე ან როდესაც პრეტენდენტის მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ ქმედებას, ამ უკანასკნელის შემთხვევაში პრეტენდენტი გადაყვანილი იქნება „შავ სიაში“. ზემოთ აღწერილ ორივე შემთხვევაში პრეტენდენტს არ უბრუნდება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა.

- ▲ დასრულებულია უარყოფითი შედეგით - სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში მონაწილე არცერთი პრეტენდენტის სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო წინადადების მოთხოვნებს;
- ▲ გამარჯვებული გამოვლენილია – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში შერჩევა/ შეფასების შედეგად გამოვლინდება ისეთი პრეტენდენტი, რომლის მიერ სისტემაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

- ▲ მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება - სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბოლოოდ გამოვლენილი გამარჯვებული პრეტენდენტის ხელშეკრულების გასაფორმებლად დაბარება;
- ▲ ხელშეკრულება დადებულია - სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის (შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ პირს შორის) გაფორმებული ხელშეკრულება აიტვირთება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისია. სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 თავის 11 მუხლის თანახმად შემსყიდველ ორგანიზაციაში იქმნება სატენდერო კომისია, რომლის წევრები არიან ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მოადგილეები და სხვა თანამშრომლები.

კანონის პირვანდელ ვარიანტში სატენდერო კომისიის შემადგენლობა იყო არანაკლებ 5 წევრისა, თუმცა კანონი უშვებდა შემთხვევას, სადაც გარკვეულ სიტუაციებში დასაშვები იყო 3 წევრიც, რაც შეეხება კანონის ახალ ვარიანტს, სატენდერო კომისიის შემადგენლობა უნდა იყოს არანაკლებ 3 წევრისა, ამასთან აუცილებელია სატენდერო კომისიას ჰყავდეს სატენდერო კომისიის მდივანი.

შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავენ, რომ სატენდერო წინადადების მომზადებისას აწყდებიან პრობლემას, როდესაც უწევთ რაიმე სპეციფიკური სახის შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით დეტალური ტექნიკური მახასიათებლების აღწერა, თუმცა კანონის მე-3 თავის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ საჭიროების შემთხვევაში

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით კომისიაში შესაძლოა მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

სატენდერო კომისიის ტენდერთან დაკავშირებით შეკრების დროს უნდა მომზადდეს შესაბამისი სხდომის ოქმი, რომელიც არაუგვიანეს იმავე დღისა უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი-ს მე-8 მუხლისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-17 მუხლის შესაბამისად სატენდერო კომისია ვალდებულია, ტენდერის შეფასების დროს პირველივე ასატვირთ ოქმთან ერთად წარმოადგინოს კომისიის წევრებსა და პრეტენდენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ინტერესთა კონფლიქტი პირებს შორის წარმოიშობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობების შემთხვევაში.

### **ორეტაპიანი ტენდერი**

2016 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, რომლის თანახმადაც დაინერგა „ორეტაპიანი ტენდერი“. აღნიშნულ კანონმდებლობაში აქტის შესაბამისად შემსყიდველ ორგანიზაციას საშუალება ეძლევა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის

საშუალებით გამოაცხადოს ორეტაპიანი ტენდერი, რომელიც გულისხმობს შესაძლებლობას შემსყიდველისთვის განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი და თვლადი კრიტერიუმები და შესაბამისად პრეტენდენტთა რანჟირების (რიგითობის) განსაზღვრისთვის გადამწყვეტი აღარ არის მხოლოდ სატენდერო წინადადების ფასი, არამედ საუკეთესო სატენდერო წინადადების პრეტენდენტის გამოვლინება მოახდინოს, როგორც ხარისხის, ასევე ფასის გათვალისწინებით.

### **ტენდერის განმარტება ვაჭრობის დავაზე მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დავაზე კაუნდერის განმარტება**

2016 წლის 1 ივლისიდან ასევე შესაძლებელი გახდა ტენდერების დახურულ რეჟიმში ჩატარება, რაც გულისხმობს გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენას ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოაცხადოს ღია (აუქციონით) ან დახურული (აუქციონის გარეშე) ტენდერი.

### **წინადადების უზრუნველყოფისა და სავაჭრო გარანტიები სახელმწიფო შესყიდვებზე**

სახელმწიფო შესყიდვებში მოქმედ გარანტიებს გარდა კანონისა აზუსტებს „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება:

1. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - გარანტიის თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება პრეტენ-

დენტს წარმოეშობა ტენდერში (საუბარია, როგორც ელექტრონულ ასევე გამარტივებულ ტენდერზე) მონაწილეობის მომენტისათვის. გარანტიის მოცულობა ნებისმიერ ტენდერში წარმოადგენს ტენდერის სავარაუდო ღირებულების 1%-ს. აღნიშნული გარანტია შესაძლებელია გადახდილ იქნას შემდეგი ფორმით:

- ▲ საბანკო პლასტიკური ბარათის საშუალებით;
- ▲ საბანკო დაწესებულებაში აღებული ელექტრონული გარანტიის საშუალებით.

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, პრეტენდენტს უზრუნდება საბანკო ანგარიშზე, მას შემდეგ რაც ტენდერი მიიღებს საბოლოო სტატუსს (ელექტრონული ტენდერის ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის კონკრეტული ეტაპი).

2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია - ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა სავალდებულოა თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს. ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა მისი მოთხოვნისას, გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში შესაძლებელია წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში წარედგინილი უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებამდე. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია სახელშეკრულებო ღირებულების 2-5%-ის ფარგლებში. ხოლო იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო ღირებულება ტენდერის დასრულების შემდეგ 20%-ზე მეტად გაიზარდა, შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია განსაზღვროს 2-10%-ს ფარგლებში.

3. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსის) უზრუნველყოფის გარანტია. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პროცესში შესაძლებელია დადგეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ღირებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ავანსის სახით ანაზღაურების საჭიროება. ამ შემთხვევაში სავალდებულოა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნეს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია იმ ოდენობის შესაბამისად, რა ოდენობის თანხის ანაზღაურებაც უნდა განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორების ფორმით.

### გამარტივებული შესყიდვა

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის ერთერთი ფორმა, რომელიც ხორციელდება ელექტრონული სისტემის გამოყენებით ან მის გარეშე. გამარტივებულ შესყიდვას ასევე არგულირებს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“.

გამარტივებული შესყიდვა, კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების ფარგლებში, შესაძლებელია:

- ▲ 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას;
- ▲ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას;

- ▲ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას.

ამასთან ზემოთ აღნიშნული შემთხვევების გარდა, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ:

- ▲ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა;
- ▲ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;
- ▲ მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან;
- ▲ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები;
- ▲ ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი

ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის ჩანაცვლება;

- ▲ ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;
- ▲ სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით;
- ▲ ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა.
- ▲ საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეისყიდის ლიტერატურას (ბეჭდურს, ელექტრონულ ან აუდიოვიზუალურ მატარებელზე განთავსებულს), რეაქტივს, კომპიუტერულ პროგრამას, ფარმაცევტულ პროდუქტს (სამკურნალო საშუალებას), ლაბორატორიულ აღჭურვილობასა და მონაცემთა ბაზას.
- ▲ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი სახელმწიფო შესყიდვას ახორციელებენ რეგენტთა საბჭოს თანხმობით. ასეთ შემთხვევაში, რეგენტთა საბჭოს თანხმობა გაიცემა შემსყიდველი ორგანიზაციის მოტივირებული მომართვის საფუძველზე.

## კონსოლიდირებული ტექსტი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვის საშუალება. ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში უფლებამოსილი ორგანოს მიერ (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) ტარდება ტენდერი საუკეთესო ფასის გამოვლენის მიზნით. ფასის გამოვლენის შემდეგ შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ დაუკავშირდნენ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს და გამარტივებული ფორმით განახორციელონ შესყიდვა. ამჟამად კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით შესაძლებელია ისეთი შესყიდვის ობიექტების შექმნა როგორებიცაა: საწვავი, მაგიდისა და პორტატული კომპიუტერი, საბეჭდი ქაღალდი, ფიჭური სატელეფონო მომსახურება, ავომობილების საბურავები. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კონსოლიდირებული ტენდერის დანერგვამ მნიშვნელოვნად შეუმცირა შემსყიდველ ორგანიზაციებს (განსაკუთრებით მცირე ბიუჯეტის ორგანიზაციებს) ის უხერხულობები ზემოთ ჩამოთვლილი შესყიდვის ობიექტების განსაკუთრებით კი საწვავის შესყიდვას ახლდა თან.

## კონკუსი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვის ერთერთი ფორმა. 2015 წლის 1 ივლისამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, საპროექტო მომსახურების ან შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ან/და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ტერიტო-

რის მასალებისა და ნარჩენებისაგან გათავისუფლების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდებოდა გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერისგან განსხვავებული სახელმწიფო შესყიდვის – კონკურსის საშუალებით. საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაციის განთავსდება ხდებოდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, რის შედეგადაც საკონკურსო განცხადებას მიენიჭებოდა უნიკალური ნომერი და საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია ითვლებოდა ოფიციალურად გამოქვეყნებულად. პრეტენდენტებს წინადადებები უნდა წარედგინათ ბეჭდური ფორმით შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო კომისიისათვის. 2015 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 22 ივლისის #7 ბრძანება, რომლის მიხედვითაც კონკურსი ეს არის: სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალება, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, შეისყიდოს საპროექტო მომსახურება, მათ შორის, დიზაინერული, დაგეგმარების, ხარჯთაღრიცხვის, არქიტექტურული, საინჟინრო გეგმები ან პროექტები. 2015 წლის 1 ივლისიდან კონკურსი ხორციელდება ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სპეციალური მოდულის საშუალებით.

## სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები

შესყიდვის საშუალებები	მონეტარული ზღვრები CPV-ს მიხედვით	გამოქვეყნება	ვადები	შენიშვნა
გამარტივებული შესყიდვა	წლის განმავლობაში 5000 ლარზე ნაკლები ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.	-	-	-
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	წლის განმავლობაში 5000 ლარზე მეტი	სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა	მინიმუმ 3 დღე	-
ელექტრონული ტენდერი	წლის განმავლობაში 200 000 ლარზე მეტი		მინიმუმ 20 დღე	-
კონკურსი	-		-	ძირითადად გამოყენება არქიტექტურული და საინჟინრო მომსახურებების შესყიდვისას
კონსოლიდირებული ტენდერი	-		-	გამოიყენება ფართოდ მოხმარებადი საქონლის შეძენისას მაგ., საწვავი

### 1.3. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბების ისტორია

სახელმწიფო შესყიდვების, როგორც სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში 1993 წლიდან იწყება. 1993 წლის 30 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №264 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ“, აღნიშნული დადგენილება იყო ქვეყანაში პირველი სამართლებრივი ხასიათის აქტი, რომლითაც დაიწყო სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეგულირება.

შემდეგი დოკუმენტი 1996 წლის 31 მარტს გამოიცა-საქართველოს პრეზიდენტის №244 ბრძანებულება - „საქართველოს სამხედრო ძალების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ და „სამშენებლო დარგში სახელმწიფო დაკვეთების შესახებ“ საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, №8-9, 21.02.1998).

აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 9 დეკემბერამდე სახელმწიფო შესყიდვები ქვეყანაში ზემოთაღნიშნული სამართლებრივი აქტებით ხორციელდებოდა ხოლო 1998 წლის 9 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომლის სრულყოფილად ამოქმედება დაიწყო 1999 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული კანონის მე-7 და მე-8 თავები ამოქმედდა კანონის გამოქვეყნებისთანავე, რომელთა მიხედვითაც 1999 წლის 1 ივლისამდე:

- ▲ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში უნდა შექმნილიყო სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი;
- ▲ საქართველოს პრეზიდენტს 1999 წლის 1 ივლისამდე

უნდა დაენიშნა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის თავმჯდომარე;

- ▲ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს უნდა მიეღო ამ კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ამოქმედებისათვის აუცილებელი ნორმატიული აქტები;
- ▲ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა დაემტკიცებინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სტატისტიკური ანგარიშის ფორმა;
- ▲ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ხარჯები უნდა გაეთვალისწინებინა 1999 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

1998 წლის 9 დეკემბერს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, კანონის გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ოქტომბრის №612 ბრძანებულება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ბიუჯეტური ასიგნებებიდან პროდუქციით უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, ხოლო 1999 წლის 1 ივლისიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა:

- ▲ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 30 მარტის №264 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ“;

▲ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 მარტის №244 ბრძანებულება „საქართველოს სამხედრო ძალების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“;

▲ „სამშენებლო დარგში სახელმწიფო დაკვეთების შესახებ“ საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, №8-9, 21.02.1998).

1999 წლის 1 ივლისს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის სრულად ამოქმედებას ამავე წლის 4 აგვისტოს მოჰყვა კანონქვემდებარე აქტის - „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცება, რის საფუძველზეც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის განხორციელების მიზნით საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი.

2001 წლის 5 ივნისს გამოიცა „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შექმნისა და მისთვის სახელმწიფო ქონების გადაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №223 ბრძანებულება რომლის მიხედვითაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდ.

რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სახელმწიფო შესყიდ-

ვების სააგენტო გახდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფლებამონაცვლე, თუმცა იგი ჯერ კიდევ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

2005 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონი, რომლითაც გაუქმდა 1998 წლის 9 დეკემბერს მიღებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი, რასაც ავტომატურად ამ კანონის საფუძველზე მიღებული დებულებების გაუქმებაც მოჰყვა. ახალი კანონის გარდამავალ დებულებებში (თავი VII, მუხლი 24.) განისაზღვრა, რომ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობას მოემზადებინა აღნიშნულ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ არ ყოფილებოდა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო (როგორც ამ პერიოდისთვის იყო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო), შესაბამისად 2006 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ შეტანილ იქნა ცვლილებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლში, რომლის მიხედვით შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

ახალმა კანონმა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც 2006 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, მოიცვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური პრინციპები, ამასთან შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

მიერ 2006 წლის 3 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ახალ დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ სადაც დეტალურად გაიწერა სახელმწიფო შესყიდვების საშუალებები, პროცედურები, განისაზღვრა სატენდერო დოკუმენტაცია, დოკუმენტაციის არსი, დანიშნულება და სხვ.

2010 წელს საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმის შემდეგ სახელმწიფო შესყიდვები ერთიანი ელექტრონულ სისტემით ხორციელდება. შესყიდვების ელექტრონული სისტემა 2010 წლის 1 აგვისტოდან ფუნქციონირებს, რომლის გამოყენება 2010 წლის 1 დეკემბრამდე ნებაყოფლობითი იყო, ხოლო 1 დეკემბრიდან სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება ელექტრონული სისტემით სავალდებულო გახდა. ელექტრონული სისტემა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მუშავდებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში. პარალელურად გარკვეული ცვლილებები შევიდა კანონში - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, გაუქმდა „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ მოქმედი დებულება და შემოღებულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესი“, რომელიც შემდეგ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებამ (გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“) შეცვალა, ასევე გამოიცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელის რამდენიმე ბრძანება, რომლებიც პერმანენტულად განიცდის გარკვეულ ცვლილებებს.

## თავი II. საქართველოში უსყიდვების პრაქტიკის ანალიზი და შეფასება

### 2.1. სახელმწიფო უსყიდვების მართვისა და ორგანიზების ტექნოლოგიის აღწერა და შეფასება

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვის შემდეგ საშუალებებს განსაზღვრავს:

- ▲ ელექტრონული ტენდერი;
- ▲ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
- ▲ გამარტივებული შესყიდვა;
- ▲ კონკურსი;
- ▲ კონსოლიდირებული ტენდერი.

მოცემული საშუალებების გამოყენების საჭიროება და ფორმები ასევე განსაზღვრულია ზემოაღნიშნული კანონითა და ნორმატიული აქტებით. ქვემოთ განვიხილოთ სახელმწიფო შესყიდვების მართვის და ორგანიზების ტექნოლოგია თითოეული საშუალების შესაბამისად.

ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები. საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად<sup>1</sup> ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორცილდება ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოყენებით. გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის განხორციელების ვალდებულება შემსყიდველ ორგანიზაციას წარმოეშობა იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორის ერთ ერთგვაროვნებაზე წლის განმავლობაში დასახარჯი აქვს 5 000 ლარზე მეტი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ციფრი 200 000 ლარს ან მეტს

<sup>1</sup> საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10<sup>1</sup> მუხლის 1 პუნქტი.

შეადგენს სავალდებულოა ელექტრონული ტენდერის გამოყენება.<sup>1</sup> აქვე უნდა აღინიშნოს რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავს ტენდერების გამოყენებას იმ შემთხვევაშიც კი როცა ერთგვაროვნებაზე დასახარჯი თანხის მოცულობა წლის განმავლობაში 5 000 ლარზე ნაკლებია.

გამარტივებულ ელექტრონულ და ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია<sup>2</sup>, რომელსაც არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. კომისიის წევრებად ინიშნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და ორგანიზაციის სხვა თანამშრომლები. ასევე კომისიის გადაწყვეტილებით სათათბირო ხმის უფლებით კომისიაში შესაძლებელია მოწვეული იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, კონკრეტულ ტენდერთან დაკავშირებით. კომისიას ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია გააჩნდეს კომისიის აპარატი. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ან ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა. სატენდერო კომისიას და შესაბამისად კომისიის აპარატს თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

## ელექტრონული შესყიდვების ეტაპები

შესყიდვის საჭიროების იდენტიფიცირება. ზოგადად სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პირველი ეტაპია შესყიდ-

<sup>1</sup> საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 3 მუხლის 9-რ პუნქტები.

<sup>2</sup> საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი.

ვის ობიექტის საჭიროების გამოვლენა /იდენტიფიცირება. კონკრეტული საჭიროების გამოვლენის შემდეგ ხდება შესყიდვის საშუალების შერჩევა, რისთვისაც უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტისთვის შესაბამისი კლასიფიკატორის კოდის (ერთგვაროვნების) განსაზღვრა. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების დადგენას განსაზღვრავს „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანება. აღნიშნული ნორმატიული აქტის შესაბამისად შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის EC#213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონს (Common Procurement Vocabulary – CPV). კლასიფიკატორი ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას.

ამავე ნორმატიული აქტით განსაზღვრულია კლასიფიკატორის სტრუქტურა, რომელიც შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- ▲ კლასიფიკატორი იყოფა 4 ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ შესყიდვების იერარქიულ დონედ, რომელთაგან ყველაზე გამსხვილებულ დონეს წარმოადგენს დანაყოფი, რომელიც შედგება ჯგუფებისგან, ჯგუფები, თავის მხრივ, შედგება კლასებისგან, ხოლო კლასები – კატეგორიებისგან. ზოგიერთ შემთხვევებში კატეგორიები შედგება ქვეკატეგორიებისგან.
- ▲ კლასიფიკატორის ძირითადი კოდი შედგება 8 ციფრისგან,

სადაც:

- ▲ ა) პირველი სამი ციფრი განსაზღვრავს დანაყოფს (მაგ., XXX00000 – სადაც XXX არის დანაყოფის განმსაზღვრელი ციფრები);
- ▲ ბ) პირველი ოთხი ციფრი განსაზღვრავს ჯგუფს (მაგ., XXXX0000 – სადაც XXXX არის ჯგუფის განმსაზღვრელი ციფრები);
- ▲ გ) პირველი ხუთი ციფრი განსაზღვრავს კლასს (მაგ., XXXXX000 – სადაც XXXXX არის კლასის განმსაზღვრელი ციფრები);
- ▲ დ) პირველი ექვსი ციფრი განსაზღვრავს კატეგორიას (მაგ., XXXXXX00 – სადაც XXXXXX არის კატეგორიის განმსაზღვრელი ციფრები);
- ▲ ე) უკანასკნელი ორი ციფრი გამოიყენება შესყიდვის ობიექტის იდენტიფიკაციის მიზნით.

რაც შეეხება შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნებას, იგი განისაზღვრება კლასიფიკატორის პირველი სამი ციფრის შესაბამისად: მაგალითი 1. შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: 18820000 (სპორტული ფეხსაცმელი) და შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: 18830000 (დამცავი ფეხსაცმელი) შედიან ერთ დანაყოფში (18800000 ფეხსაცმელი), რადგან ორივე ობიექტის 8-ნიშნა კოდის პირველი სამი ციფრი (188) არის იდენტური, შესაბამისად, აღნიშნული შესყიდვის ობიექტები წარმოადგენს შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს.

აღსანიშნავია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები რიგ შემთხვევებში აწყდებიან გარკვეულ პრობლემებს, კერძოდ: შესყიდვის ობიექტის შესაბამისი კონკრეტული კოდის ვერ მოძიება. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ კლა-

სიფიკატორის ჩამონათვალში კონკრეტული შესყიდვის ობიექტი არ არსებობს ამ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს შესყიდვის ობიექტთან ყველაზე მიახლოებული დასახელების კლასიფიკატორის კოდს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევებში შესყიდვის პროცედურა განსაკუთრებით პრობლემურია სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციებისათვის, რადგანაც სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემა ვერ აღიქვამს „არაზუსტ“ სახელმწიფო შესყიდვის კლასიფიკატორის კოდს და შესაბამისად ვერ ხორციელდება შესყიდვის ობიექტის ღირებულების მიმწოდებლისთვის დროულად გადარიცხვა.

შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ფასისა და ხარისხის განსაზღვრა. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების იდენტიფიცირების შემდეგი ეტაპია, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ფასის განსაზღვრა. ფასის განსაზღვრისთვის აუცილებელია შემსყიდველს მკაფიო წარმოდგენა გააჩნდეს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით, კერძოდ მის თვისებრივ, რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებთან მიმართებაში, აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის. განსაკუთრებით პრობლემურია შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, რაც პირდაპირ კავშირშია საჯარო ფინანსების რაციონალურ ხარჯვასთან. მაგალითისთვის განვიხილოთ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საკანცელარიო საქონლის შესყიდვა. სატენდერო წინადადებაში შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი შესაძლოა რამდენიმე ათეულ პოზიციას მოიცავდეს მაგალითად, საწერი კალამი, ჭიკარტი, ფლომასტერი, ფანქარი, საშლელი, კორექტორი და ა. შ. შემსყიდველ ორგანიზაციისთვის პრობლემაა განსაზღვროს მაგალითად, საწერი კალამის ხარისხი და ჩამოაყალიბოს

თუ რა ხარისხობრივ პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ რომ შემსყიდველისთვის საჭირო პროდუქციის ჩამონათვალი შესაძლოა საკმაოდ ვრცელი იყოს. გამომდინარე აქედან შემსყიდველი ორგანიზაციების უმრავლესობა ხარისხის განსაზღვრისას იყენებს ზოგად ფრაზას - მოწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს და უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რაც ბუნებრივია ბუნდოვანია და ამიტომაც ხშირად ხარისხობრივი მახასიათებლების ვერ, ან არ განსაზღვრა ხდება საჯარო ფინანსების არარაციონალური და არაყაირათიანი ხარჯვის მიზეზი. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს მსხვილი შესყიდვის განხორციელებისას მაგალითად, როცა შემსყიდველი ორგანიზაცია ყიდულობს სამშენებლო სამუშაოს, რომლის ხარჯთაღრიცხვა რიგ შემთხვევებში მოიცავს საკმაოდ მრავალ პოზიციას და რომლის ღირებულება შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში ცდებოდეს ასობით ათას ლარს. სამუშაოს შესრულება თავისთავში მოიცავს, როგორც მომსახურების ასევე საქონლის მიწოდების ერთიანობას. სამუშაოს შესყიდვის დროს შემსყიდველი ორგანიზაციას შესყიდვის მოცულობიდან გამომდინარე შეუძლია სამუშაოთა წარმოების ზედამხედველობა დაუკვეთოს სხვა (სპეციალიზებულ) კომპანიას/პირს (თუმცა ეს საკმაოდ გააძვირებს შესყიდვის ობიექტს), ასევე შეუძლია მოსთხოვოს სამუშაოს მიმწოდებელ ორგანიზაციას შესრულებული სამუშაოების როგორც პერიოდულ ასევე საბოლოო შესრულებაზე საექსპერტო დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ შესრულებული სამუშაოები სრულ შესაბამისობაშია სახელშეკრულებო პირობებთან. გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად დღესდღეობით ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე განხორციელება გულისხმობს, მხოლოდ ფატობრივად შესრულებული სამუშა-

ოების მოცულობის გაზომვას და მის შედარებას სახელშეკრულებო მოცულობასთან და არა შესრულებული სამუშაოებისა და გამოყენებული მასალების ხარისხის დადგენას.

ხარისხობრივი მახასიათებლების სწორად ჩამოყალიბების პრობლემა გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის:

▲ შემსყიდველ ორგანიზაციის დაბალი კვალიფიკაცია, რაც გულისხმობს შესაბამისი პირების (ხშირ შემთხვევაში ხელმძღვანელი პირის) ცოდნისა და გამოცდილების სიმწირეს სახელმწიფო შესყიდვებსა და ზოგადად საჯარო ფინანსებთან დაკავშირებით. შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვის ობიექტის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შესაძლებელია ხშირად დადგეს გარემოება, როდესაც შესყიდვების სპეციალისტი ნაკლებად არის გათვინობიერებული კონკრეტულ შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში, თუმცა, მოქმედი კანონმდებლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ შემსყიდველმა კონკრეტული შესყიდვის დროს ჩართოს შესაბამისი სფეროს სპეციალისტები და მათგან მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია. აღსანიშნავია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ამ შესაძლებლობას იშვიათად იყენებენ;

▲ პრობლემის ერთერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები სათანადოდ არ იყენებენ საერთაშორისო /რეგიონული ორგანიზაციებისა (ISO, IEC/CEN, CENELEC) თუ საქართველოში რეგისტრირებულ სტანდარტებს, რომელთა შემუშავებას (დაინტერესებული მხარეების ჩართულობით), რეგისტრაციასა და გავრცელებას ახორციელებს სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ (სმეს). საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად, სტანდარტი განიმარტება, როგორც კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან/და მახასიათებლებს სხვადასხვა მომსახურებისა და საქონლისათვის ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში, ოპტიმიზაციის მიზნით. აღნიშნული განსაზღვრება მსგავსია ISO-ს მიერ შემუშავებული დეფინიციისა, რომლის თანახმადაც სტანდარტი არის სახელმძღვანელო მითითებების, სპეციფიკაციებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლის გამოყენება შეიძლება თანმიმდევრულად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის, პროცესებისა და სერვისების შესაბამისობა აღნიშნული პროდუქციის მიზნებთან და დანიშნულებასთან<sup>1</sup>.

სტანდარტიზაციას სახელმწიფო შესყიდვებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ შემთხვევაში როგორც შემსყიდველმა ასევე მიმწოდებელმა სუბიექტებმა ზუსტად იციან რა ხარისხის საქონელისა თუ მომსახურების შესყიდვა ხორციელდება. სტანდარტებით განსაზღვრული ტექნიკური სპეციფიკაციების მეშვეობით, მიმწოდებელმა სუბიექტმა იცის რა სურს მეორე მხარეს. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ კერძო სუბიექტი სწორად ვერ აღიქვამს შემსყიდველის მოთხოვნას და მიაწვდის მისთვის გამოუსადეგარ ან/და უხარისხო პროდუქტს, მინიმუმამდე მცირდება.

სტანდარტიზაცია ასევე უმნიშვნელოვანესია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ფასის განსაზღვრის შემთხვევაშიც, რადგანაც

<sup>1</sup> <http://www.iso.org/iso/home/standards.htm>.

გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად დღესდღეობით შემსყიდველი ორგანიზაცია ფასის განსაზღვრის დროს ძირითადად ითვალისწინებს საშუალო ხარისხის კონკრეტულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ბაზარზე არსებულ ფასს. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაცია არ უთითებს მისთვის სასურველ ხარისხობრივ მახასიათებლებს ელექტრონული ვაჭრობის შედეგად სავარაუდო ფასი შესაძლებელია გაცილებით გაიზარდოს, რადგანაც მიმწოდებელი ძირითადად დაითვლის შესყიდვის ყველაზე დაბალი ხარისხის ფასს, რადგანაც მას არა აქვს შეზღუდვა ხარისხზე. თუმცა მეორეს მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია შემსყიდველის მხრიდან მოხდეს სტანდარტის გამოყენება და შესაბამისი სერტიფიკატის მოთხოვნა ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული კონკრეტული შესყიდვის ხასიათიდან გამომდინარე გამართლებული და მიზანშეწონილი არ არის, რამაც შეიძლება ხელოვნურად შეზღუდოს კონკურენცია.

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება. შესყიდვის ელექტრონული საშუალებების გამოყენებისას შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრის შემდეგ ეტაპს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება წარმოადგენს. სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა განსაზღვრულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლით, რომლის მიხედვითაც სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- ▲ იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი. საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მო-

თხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა მდგომარეობის /საქმიანობის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით (სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, არსებული ფინანსური და სხვა სახის ვალდებულებები და სხვ.). ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლებელია არ შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და უნდა იყოს დასაბუთებული სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო მათი რაოდენობა – შესაძლოდ მინიმალური, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით;

- ▲ შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;
- ▲ შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის, შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს;
- ▲ ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ხელშეკრულების ფორმაზე და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიაზე (მისი არსებობის შემთხვევაში);

- ▲ მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადების ღირებულება, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვა);
- ▲ სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებებსა და პროცედურას;
- ▲ სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ;

ამასთან სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამრყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები შეუსაბამოს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიასა და პირობით აღნიშვნებს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიუთითოს შესაბამის გამოყენებულ სტანდარტზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს იმ მახასიათებლების მაქსიმალური აღწერა, რომელიც საჭიროა მისთვის კონკრეტული შესყიდვის განხორციელების დროს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მახასიათებლების აღწერა პრობლემას წარმოადგენს შესყიდვის ობიექტის აღწერისას

აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „მსგავსი“, „ეკვივალენტური“ და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმით შესყიდვის ობიექტის აღწერას შემსყიდველი ორგანიზაციები უმეტესად ერიდებიან და უფრო ხშირად შესყიდვის ობიექტის აღწერილობა შესაძლებელია მორგებული იყოს კონკრეტული დასახელების შესყიდვის ობიექტზე. განვიხილოთ მაგალითი პირობითად X შემსყიდველ ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს მსუბუქი ავტომობილის შეძენა და სატენდერო დოკუმენტაციაში მახასიათებლები შემდეგნაირად განსაზღვრა:

- ▲ ავტომობილის წონა - 1750 კგ;
- ▲ მარის სიგრძე - 4,5 მ;
- ▲ ძრავის მოცულობა - 2500 სმ<sup>3</sup>;
- ▲ ცხენისძალა - 192 ერთეული.

მიუხედავად იმისა, დოკუმენტაციაში მოცემული იქნება თუ არა ავტომობილის მარკისა და მოდელის დასახელება, აღნიშნული ფორმით დოკუმენტაციის მომზადება მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევაა, რადგანაც იგი მხოლოდ ერთ კონკრეტულ მოდელზეა მორგებული. შესაბამისად შემსყიდველმა ორგანიზაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს მისთვის საჭირო მახასიათებლები (და არა კონკრეტული მოდელი) და საჭიროების შემთხვევაში აღწერისას შეზღუდოს მახასიათებლების მინიმალური და მაქსიმალური მონაცემები, მაგალითად, ძრავის მოცულობა - არანაკლებ 2200 სმ<sup>3</sup> და არაუმეტეს 2800 სმ<sup>3</sup>;

სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის არასწორი ფორმულირება გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით:

- ▲ შემსყიდველ ორგანიზაცია ცდილობს კონკრეტულ შესყიდვის ობიექტის მიღებას და შესაბამისად დოკუმენტაცია

მორგებული აქვს კონკრეტულ მოდელსა თუ მარკაზე. აღნიშნული გარემოება ძირითადად საქონლის შესყიდვისას შეიძლება განვითარდეს;

- ▲ შემსყიდველი ორგანიზაცია ცდილობს შესყიდვის ობიექტი იყიდოს კონკრეტული წინასწარ ცნობილი მიმწოდებელი სუბიექტისგან, რაც თავის მხრივ შესაძლოა მოხდეს შემდეგი მიზეზების გამო: 1. შემსყიდველი ორგანიზაცია თვლის რომ მხოლოდ კონკრეტული სუბიექტი შეძლებს მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი; 2. შესაძლოა მხარეებს შორის არსებობდეს მატერიალური დაინტერესება და გარიგება, ამ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულის ნიშნები და ადგილი აქვს სამართალდარღვევას;
- ▲ შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაბამისი პირების დაბალი კვალიფიკაცია, რის გამოც ვერ ხერხდება სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის სწორად ფორმულირება/ განსაზღვრა;

საბოლოოდ მომზადებულ სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს სატენდერო კომისია, რის შემდეგაც ხდება დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება. სატენდერო დოკუმენტაცია შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ელექტრონულ სისტემაში შესაძლოა განთავსდეს ინგლისურ ენაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოს – 4 000 000 ლარს, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის ინგლისურ ენაზე განთავსება სავალდებულოა. ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული

ტენდერის შემთხვევებში სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის შედეგადაც სატენდერო განცხადებას ენიჭება უნიკალური ნომერი და სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია ითვლება ოფიციალურად გამოქვეყნებულად.

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებებით ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის დასრულება და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და ხელშეკრულების კონტროლი. დოკუმენტაციის გამოქვეყნების შემდეგ სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებები გადიან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ეტაპებს (რომლებიც ზემოთ დეტალურადაა განხილული), საბოლოოდ როგორც ელექტრონული ასევე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი შესაძლოა დამთავრდეს რომელიმე შემდეგი საბოლოო სტატუსით:

- ▲ ხელშეკრულება დადებულია. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კონკრეტულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მინიმუმ ერთმა პრეტენდენტმა, რომლის სატენდერო შეთავაზებამ სრულად დააკმაყოფილა სატენდერო განცხადების/დოკუმენტაციის მოთხოვნები, რის საფუძველზეც მოხდა პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმება;
- ▲ დასრულებულია უარყოფითი შედეგით - გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ტენდერში პრეტენდენტ(ებ)მა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მისი სატენდერო შეთავაზება არ შეესაბამება შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ პირობებს;
- ▲ არ შედგა - გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა;
- ▲ შეწყვეტილია - შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტი-

ლებით შესაძლებელია განხორციელდეს ტენდერის შეწყვეტა, ნებისმიერ ეტაპზე იქამდე ვიდრე მიმწოდებელთან ხელშეკრულება გაფორმდება;

აქვე უნდა აღინიშნოს, კანონმდებლობა მკაფიოდ არ აზუსტებს იმ შემთხვევებს, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეწყვიტოს ტენდერი, გამომდინარე აქედან ხშირად შეიძლება შევხვდეთ ისეთ ტენდერებს, რომლებიც მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე იქნა შეწყვეტილი აქედან, მათ შორის არის ისეთებიც, როდესაც ვაჭრობის პროცესი დამთავრებულია, მეტიც გამარჯვებული პრეტენდენტი გამოვლენილია და დაბარებულია ხელშეკრულების გასაფორმებლად და ა.შ.;

რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას ამ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელ აუცილებელ კომპონენტებს. ელექტრონული შესყიდვის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის, სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული მოთხოვნებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პირობების შესაბამისად. მოქმედი კანონით, ზოგადად სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ▲ მხარეთა ზუსტ დასახელებას და რეკვიზიტებს;
- ▲ ხელშეკრულების ობიექტის დასახელებას, კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდს. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის დასახელებას არ შეესაბამება კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდი, შესაძლებელია მითითებულ იქნეს კლასიფიკატორის შესაბამისი კლასის, ჯგუფის ან დანაყოფის კოდი;

- ▲ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას – სახელ-შეკრულებო ღირებულებას;
- ▲ საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას;
- ▲ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- ▲ ხელშეკრულების კონკრეტულ მოქმედების ვადას, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ ერთი თვით უნდა აღმატებოდეს შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადას;
- ▲ სატენდერო განცხადების ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ▲ სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას.

გარდა ზემოაღნიშნულისა შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს სხვა დამატებითი პირობები.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აკონტროლებს ინსპექტირების ჯგუფი, რომლის შემადგენლობას, კონკრეტული შესყიდვისთვის განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია. ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობა და უფლებამოვალეობები ასევე მოცემული უნდა იქნეს ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებაში ასევე განსაზღვრული უნდა იქნას შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მიიღებს შესყიდვის ობიექტს და ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიწოდებას ადასტურებს. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს აქვს გარკვეული შეფერხება

შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით (ნებისმიერი მიზეზით გარდა ფორსმაჟორული მდგომარეობისა, როგორცაა მაგ. საომარი ან/და საგანგებო სიტუაცია და ა.შ.) ან უარს აცხადებს გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების ამოქმედებას. საჯარიმო ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების მომზადებისას და ძირითადად იგი შეადგენს მოცემული მომენტი-სათვის შეუსრულებელი ვალდებულების გარკვეულ პროცენტს თითო ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან ხელშეკრულებაში მოცემული უნდა იყოს ის ზღვრული ოდენობა რომლის მიღწევის შემთხვევაშიც შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამონაკლის შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შესაძლებელია ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება<sup>1</sup>. კერძოდ, კანონი მიუთითებს, რომ დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, ამ შემთხვევაში შესაძლებელია გან-

<sup>1</sup> სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21 (5); საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

ხორციელებულ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. მიუხედავად ამ დათქმებისა რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას უსაფუძვლოდ, მაგ. როდესაც მიმწოდებელი ითხოვს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაწევას კლიმატური პირობების გამო და ა.შ.; გარდა ვადის ცვლილებისა ხშირად ხდება სახელშეკრულებო ღირებულების ზრდა. მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულწილად ითვალისწინებს მსგავსი შემთხვევების პრევენციას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ღირებულების ზრდა შესაძლებელია სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 10%-ისა, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში ეს შეზღუდვა შესაძლოა არ იყოს საკმარისი ხელშეკრულების უსაფუძვლო ზრდისა და საჯარო ფინანსების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით.

#### **ფასწარმოქმნის ალემენტურობის დასაბუთება**

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანებაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 6 აპრილის ბრძანებით შესული ცვლილებების შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტ ორგანიზაციას აქვს ვალდებულება, დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია, დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, ცვლილებების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე.

მოცემული ცვლილების შემდეგ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა მასიურად და რიგ შემთხვევაში გაუაზრებლად დაიწყეს ადეკვატურობის მოთხოვნის დაფიქსირება სატენდერო დოკუმენტაციაში, რამაც ცალკეული პრობლემები შექმნა მიმწოდებელთა შორის განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვის ობიექტია ინტელექტუალური მომსახურება, თუ ასეთ ტენდერში პრეტენდენტი ფიზიკური პირია, მას უწევს დამატებით აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, რომ მას ნამდვილად შეუძლია კონკრეტულ ტენდერში პირობითად - სათარჯიმნო მომსახურების გაწევა „ლარად“.

## **თქვეთაპიანი ტენდერი**

2016 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

ჩატარების წესი“, რომლის თანახმადაც, დაინერგა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი მეთოდი – ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (ორეტაპიანი ტენდერი).

აღნიშნული მეთოდი ორდინალური ტენდერებისგან იმით განსხვავდება, რომ მასში პრეტენდენტთა რანჟირების (რიგითობის) განსაზღვრისთვის გადამწყვეტი აღარ არის მხოლოდ სატენდერო წინადადების ფასი, არამედ საუკეთესო სატენდერო წინადადების პრეტენდენტის გამოვლინება ხდება, როგორც ხარისხის, ასევე ფასის გათვალისწინებით. შემსყიდველი ორგანიზაცია, მისი საჭიროებიდან და კონკრეტული შესყიდვის მიზნიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, განსაზღვროს სხვადასხვა თვლადი კრიტერიუმი, რომელიც მას მისცემს საშუალებას, დაბალ ფასად შეისყიდოს საუკეთესო ხარისხის მქონე შესყიდვის ობიექტი.

ორეტაპიანი ტენდერების მოდული სრულად ავტომატიზებულია. როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები, ასევე მათი მაჩვენებლები (პრეტენდენტის შეთავაზება ამ კრიტერიუმების საპირწონედ), მიეთითება სისტემის შესაბამის ველში, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სისტემამ ავტომატურად, სატენდერო პირობებით დადგენილი კრიტერიუმებისა და მათი წონების გათვალისწინებით, სისტემაში გენერირებული საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულის გამოყენებით, განსაზღვროს პრეტენდენტების რანჟირება და, შესაბამისად, გამოავლინოს საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტი.

ორეტაპიანი ტენდერი ტარდება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე. ამავდროულად, სატენდერო წინადადების ფასის წარდგენის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს სატენდერო

წინადადების შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობები და ტექნიკური დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს დანართი განსაზღვრავს კრიტერიუმების შესაბამისად საუკეთესო შემოთავაზების მქონე პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულას სხვადასხვა შემთხვევისთვის:

ა) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს

იმ კრიტერიუმების შეფასებისათვის, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს, გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმულა:

$$Q_i = K_i^a \text{ თუ } K_i > 0, \text{ ხოლო}$$

$$Q_i = 0,00001 \text{ თუ } K_i = 0$$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

$Q_i$  - პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის  $i$  კრიტერიუმის შეფასება;

$K_i$  - პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის  $i$  კრიტერიუმის თვლადი მაჩვენებელი;

$i$  - კრიტერიუმის წონა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს და უთითებს სატენდერო დოკუმენტაციაში. ამასთან, ცალკეული კრიტერიუმების წონათა ჯამი საჭიროა შეადგენდეს ერთ მთელს: თუ კრიტერიუმების წონაა  $a, b, \dots, y$  მაშინ  $a+b+\dots+y=1$

ბ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს.

სატენდერო წინადადების ფასის ან იმ სხვა კრიტერიუმის შეფასებისათვის, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს, გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმულა:

$$Q_i = \left( \frac{1}{K_i} \right)^b \text{ თუ } K_i > 0 \text{ ხოლო}$$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

$Q_i$  - პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის  $j$  კრიტერიუმის შეფასება;

$K_j$  - პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის  $j$  კრიტერიუმის თვლადი მაჩვენებელი;

$b - j$  - კრიტერიუმის წონა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს და უთითებს სატენდერო დოკუმენტაციაში. ამასთან, ცალკეული კრიტერიუმების წონათა ჯამი საჭიროა შეადგენდეს ერთ მთელს: თუ კრიტერიუმების წონაა  $a, b, \dots, y$  მაშინ  $a+b+\dots+y=1$

გ) პრეტენდენტების მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადებების ჯამური შეფასებებისა და შესაბამისად, რანჟირების განსაზღვრა

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შეფასება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$N_j = Q_1 \cdot Q_2 \cdot \dots \cdot Q_n$$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

$N_j$  -  $j$  პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შეფასება, სადაც  $Q_1 \cdot Q_2 \cdot \dots \cdot Q_n$  წარმოადგენს ცალკეული კრიტერიუმების შეფასებით მიღებულ ქულებს ზემოთ მოყვანილი ფორმულების შესაბამისად.

აღნიშნული ფორმულით დაანგარიშებული სატენდერო წინადადებების შეფასების 0-10-ბალიანი მნიშვნელობის მიღებისათვის

გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$N_{j(0-10)} = 10 \frac{N_j}{N_{max}}$$

მოცემული ფორმულა ემსახურება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შეფასების პროპორციულად ზრდას ან შემცირებას საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტისთვის მაქსიმალური - 10-ბალიანი შეფასების მინიჭებისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა ორეტაპიანი ტენდერი სრულად ელექტრონულია და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა აღნიშნული ფორმულების გამოყენებით და შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით გამოავლენს საუკეთესო შესყიდვის ობიექტის მქონე პრეტენდენტს.

ორეტაპიანი ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე, საჯარო ხდება მხოლოდ საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის ვინაობა და სატენდერო წინადადება. ორეტაპიან ტენდერში პრეტენდენტთა რაოდენობა, სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მათი სატენდერო წინადადებები საჯარო ხდება მხოლოდ ორეტაპიანი ტენდერისთვის სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“ მინიჭების შემთხვევაში, სტატუსის მინიჭებისთანავე. ორეტაპიანი ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში პრეტენდენტთა რაოდენობა, სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მათი სატენდერო წინადადებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გახსნილა, საჯარო არ ხდება და რჩება დაფარული. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ორეტაპიანი დანერგვის დღიდან საქართველოში მხოლოდ ოთხი ორეტაპიანი ტენდერი გამოცხადდა.

**ტენდერის გამორჩევაზე ვაჭრობის დაწყებულ  
მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი  
კაუნდის ბაკეში**

2016 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივნისის №5 ბრძანება, რომლის თანახმადაც, დაინერგა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი მეთოდი – ტენდერის გამოცხადება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე.

2016 წლის 1 ივლისიდან შემსყიდველ ორგანიზაციებს ენიჭებათ უფლება-მოსილება, შესყიდვები გამოაცხადონ აქამდე არსებული მეთოდის გარდა, შესყიდვების ახალი მეთოდით.

ახალი მეთოდის შესაბამისად ელექტრონული ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ ძირითად დროში, რომლის განმავლობაშიც პრეტენდენტს მხოლოდ ერთხელ აქვს უფლება, შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტების რაოდენობის, მათი ვინაობისა და სატენდერო წინადადებების ანონიმურობას. ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე, საჯარო ხდება მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის ვინაობა და სატენდერო წინადადება. ტენდერში პრეტენდენტთა რაოდენობა, სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მათი სატენდერო

წინადადებები საჯარო ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერის შედეგად გააფორმებს ხელშეკრულებას და ტენდერს მიანიჭებს სტატუსს „ხელშეკრულება დადებულია“. ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში პრეტენდენტთა რაოდენობა, სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მათი სატენდერო წინადადებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გახსნილა, ისევე, როგორც ორეტაპიანი ტენდერის შემთხვევაში რჩება დაფარული.

#### **ONFOTKMACTOIS წაკვგენა სქატეფელოს მთავრობისთვის და თანხმობის მიღება შესყიდვის განხორციელებაზე**

2016 წლის 9 ივნისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის #252 დადგენილება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ამავე დადგენილების დანართით განსაზღვრული CPV კოდებით, ელექტრონული საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ინფორმაცია შესყიდვის განხორციელების თაობაზე წინასწარ და შესყიდვა განახორციელოს მხოლოდ თანხმობის მიღების შემდეგ. დანართში მოცემულია კლასიფიკატორის 26 კოდი რომელთა შორისაა მაგ. ავეჯი, სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, მობილური ტელეფონები, ჰაერის კონდინცირების საშუალებები, კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობები და სხვ.

#### **განმარტობილი შესყიდვა**

გამარტივებული შესყიდვა, ისევე როგორც სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებები სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ერთერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფორმაა. როგორც ზემოთ აღინიშნა გამარტივებული შესყიდვა

შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა შემთხვევებში. გამარტივებული შესყიდვის განხორციელების დროს შემსყიდველს შეუძლია პირდაპირ გააფორმოს მიმწოდებელ სუბიექტთან ხელშეკრულება. შესაბამისად ამ შემთხვევაში გაცილებით მეტია რისკი მიმწოდებელთა ტენდენციურად შერჩევისა და ფასის ოპტიმალური ოდენობით განსაზღვრის დროს. განსაკუთრებით ამ პრობლემამ შესაძლოა თავი იჩინოს იმ შემთხვევაში, როდესაც გამარტივებული შესყიდვა ხორციელდება მთავრობის/პრეზიდენტის თანხმობით და სახელშეკრულებო ღირებულებები საკმაოდ მაღალია. მოქმედი კანონმდებლობით ამ შემთხვევაში იზღუდება მხოლოდ იმ მიმწოდებლებთან შესყიდვის განხორციელება, რომლებიც მოცემულ პერიოდში იმყოფებიან ე.წ. „შავ სიაში“ (არაკვალიფიციურ პირთა რეესტრი). კანონმდებლობით ისევე როგორც სხვა საშუალებების გამოყენების დროს არის განსაზღვრული ბაზრის კვლევისა და სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრის მეთოდოლოგია. რაც შეეხება ხელშეკრულებას და ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელი აუცილებელ დათქმებს ამ შემთხვევაში განსხვავება უმნიშვნელოა, იგივე შეიძლება ითქვას კონტროლის მექანიზმებზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებასა და საჯარიმო სანქციებზე, რომელიც ზემოთ დეტალურად იქნა განხილული.

როგორც უკვე აღინიშნა გამარტივებული შესყიდვა სტანდარტულად გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

- ▲ 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას;
- ▲ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ

50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას;

- ▲ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას.

გარდა მონეტარული ზღვრებით განსაზღვრული შემთხვევები-სა გამარტივებული შესყიდვის ფორმა გამოიყენება ასევე შემდეგ შემთხვევებში:

- ▲ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა;
- ▲ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;
- ▲ მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან;
- ▲ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები;
- ▲ ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო

საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის ჩანაცვლება;

- ▲ ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;
- ▲ სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით;
- ▲ ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა.

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების შესაბამისად ზემოთ ჩამოთვლილი 1-4 შემთხვევა უნდა შეთანხმდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შესყიდვის განხორციელებამდე და მხოლოდ თანხმობის მიღების შემდეგ აქვს უფლება შემსყიდველ ორგანიზაციას განახორციელოს ამათუიმ შესყიდვის ობიექტის შესყიდვა. აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება სააგენტოსთან თანხმდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სპეციალური SMP მოდულის გამოყენებით. შემსყიდველის მიერ მოდულის გამოყენებით მიმართვიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში, იღებს გა-

დაწვეტილებას, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებაზე თანხმობის გაცემის ან თანხმობაზე უარის თქმის შესახებ.

კონკურსი. კონკურსის საშუალებით საპროექტო მომსახურების შესყიდვის პრინციპები მნიშვნელოვნად შეიცვალა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცდა „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“, რომელიც ითვალისწინებს კონკურსის ტენდერის მსგავსად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებასა და ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ ცვლილებამდე კონკურსი ტარდებოდა არაელექტრონულად და პრეტენდენტებს უწევდათ საკონკურსო დოკუმენტაციის ნაბეჭდი ფორმით წარდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში. მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ პრეტენდენტთა რანჟირება ხორციელდება ხარისხობრივი კრიტერიუმების და საკონკურსო წინადადების ფასის ერთდროულად გათვალისწინებით. შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო პირობებში განსაზღვრავს, როგორც ხარისხობრივ კრიტერიუმებს და მათ ხვედრით წონებს, ასევე ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის პრიორიტეტებს. იმისათვის, რომ გამოვლინდეს საუკეთესო საკონკურსო წინადადება, შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა გამოითვალოს საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასების ჯამური ქულა, რომელიც, სისტემის მეშვეობით, აგრეგირდება წინადადების ფასთან. საბოლოოდ, აგრეგირების (წინასწარ განსაზღვრული ხვედრით წონათა შესაბამისად, ხარისხის ჯამური ქულისა და წინადადების ფასის ერთმანეთთან შეპირისპირება)

შედეგად, სისტემა ავტომატურად მოახდენს პრეტენდენტების რანჟირებას და გამოავლენს საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტს. კონკურს ატარებს საკონკურსო კომისია, რომელსაც ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. საკონკურსო წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსების შემდეგ კონკურსი გაივლის კანონმდებლობით განსაზღვრულ ეტაპები:<sup>1</sup>

- ▲ კონკურსი გამოცხადებულია – სტატუსი, რომელიც მოიცავს საკონკურსო განცხადების სისტემაში განთავსებიდან და რეგისტრაციიდან საკონკურსო წინადადებების მიღების დაწყებამდე კონკურსის მიმდინარეობის ეტაპს;
- ▲ წინადადებების მიღება დაწყებულია – კონკურსის მიმდინარეობის ეტაპი, რომლის დროსაც პრეტენდენტს უფლება აქვს, წარადგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია და სისტემის შესაბამის ველში მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი;
- ▲ წინადადებების მიღება დასრულებულია – სტატუსი, რომელიც კონკურსს სისტემის მეშვეობით ავტომატურად ენიჭება მას შემდეგ, რაც დასრულდება საკონკურსო წინადადებების მიღება;
- ▲ შერჩევა-შეფასება – კონკურსის მიმდინარეობის ეტაპი, რომლის დროსაც ფასდება პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- ▲ გამარჯვებული გამოვლენილია – სტატუსი, რომელიც კონკურსს სისტემის მეშვეობით ენიჭება ავტომატურად.

<sup>1</sup> კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების მე-2 მუხლი.

მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია დაადგენს პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობას, სისტემის შესაბამის ველებში დააფიქსირებს საკონკურსო წინადადებების ხარისხის ჯამურ ქულებს, ეს ქულები სისტემის მეშვეობით აგრეგირდება საკონკურსო წინადადებების ფასთან და სისტემის მეშვეობით გამოვლინდება საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტი;

▲ მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება – სტატუსი, რომელიც კონკურსს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც საკონკურსო კომისია დაადგენს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ან/და საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობას (თუ კონკურსში მოთხოვნილია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ან/და საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარმოდგენა) და გამარჯვებულ პრეტენდენტს მოიწვევს ხელშეკრულების დასადებად;

▲ ხელშეკრულება დადებულია – სტატუსი, რომელიც კონკურსს ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი სისტემაში ატვირთავს მიმწოდებელთან დადებულ ხელშეკრულებას და სისტემის შესაბამის ველში მიეთითება ამ მიმწოდებლის სახელწოდება.

საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენის შემდეგ

საკონკურსო კომისია პრეტენდენტს იბარებს ხელშეკრულების გასაფორმებლად არანაკლებ 11 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადაში. საკონკურსო ხელშეკრულება იდება წერილობით და უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ▲ მხარეთა ზუსტ დასახელებასა და რეკვიზიტებს;
- ▲ საკონკურსო განცხადების ნომერს;
- ▲ შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);
- ▲ ხელშეკრულების ღირებულებას;
- ▲ მომსახურების გაწევის ვადას;
- ▲ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- ▲ ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას.

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს დამატებითი პირობები.

კონკურსის ელექტრონულ ფორმატში გადატანა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა რამდენად შეძლებენ შემსყიდველი ორგანიზაციები კონკურსის ელექტრონულად განხორციელებას განსაკუთრებით კი ხარისხობრივი და ფასისმიერი კოეფიციენტების განსაზღვრას ცალკე კვლევის საგანია.

კონსოლიდირებული შესყიდვა. მოქმედი კანონმდებლობით კონსოლიდირებული შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. კონსოლიდირებული შესყიდვა ხორ-

ციელდება კონსოლიდირებული ტენდერის სახით, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს. კონსოლიდირებული შესყიდვების სისტემა წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესყიდვებს ერთი შემსყიდველი სუბიექტის მეშვეობით და ახდენს შესყიდული პროდუქციის გადანაწილებას მოთხოვნის შესაბამისად. ზოგადად აღსანიშნავია, რომ კონსოლიდირებას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. შესაბამისად, შესყიდვის კონსოლიდირების საკითხი ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. შესყიდვის კონსოლიდირებული ფორმით განხორციელების მახასიათებელი დადებითი მხარეები საერთაშორისო გამოცდილებითაა აღიარებული, მათ შორის:

- ▲ შესყიდვის ფასების შემცირება (მასშტაბის ეკონომიის შედეგად);
- ▲ უკეთესი შესყიდვის ობიექტის უფრო დაბალ ფასად მიღება;
- ▲ ტექნიკური დავალების სრულყოფილად და ნათლად განსაზღვრა;
- ▲ მეტი გამჭვირვალობა.

ცენტრალიზებული შესყიდვისა და ელექტრონული სისტემის დანერგვა ეხმარება სახელმწიფოებს მოდერნიზებული და გაუმჯობესებული შესყიდვის მოდელის ჩამოყალიბებასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაში<sup>1</sup>. სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის უზრუნველსაყოფად, ევროპის მრავალ ქვეყანაში აპრობირებულია შესყიდვების ცენტრალიზებულად განხორციელების პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს გარკვეული კატეგორიის შესყიდვების

<sup>1</sup> ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემა ევროკავშირში - [http://www.oecdilibrary.org/governance/centralised-purchasing-systems-in-the-european-union\\_5kgkgqv703xw-en](http://www.oecdilibrary.org/governance/centralised-purchasing-systems-in-the-european-union_5kgkgqv703xw-en)

განხორციელებას კოორდინირებულად ერთი სუბიექტის მიერ. აღნიშნული სუბიექტი შეიძლება წარმოადგენდეს ცალკე დამოუკიდებელ ორგანოს ან ეს ფუნქცია შეთავსებული ჰქონდეს რომელიმე სამინისტროს.

მაგალითად, ლიტვაში, სადაც ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელება 2007 წელს დაიწყო, 2010 წლისთვის სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრაციული ხარჯი დაახლოებით 1 (ერთი) მილიონი ევროთი (3,3 მილიონი ლიტვური ლიტი) შემცირდა, ხოლო 2010 წელს - 197 მილიონი ევროთი<sup>1</sup>.

საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დიდი მოცულობის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება ამცირებს შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, რაც თავის მხრივ მკვეთრად ამცირებს შემსყიდველი ორგანიზაციების ხარჯებს.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის უარყოფითი მხარეებიც, რაც კონსოლიდირებას/ცენტრალიზაციას ახასიათებს, კერძოდ, რიგ შემთხვევებში, იგი ზღუდავს მცირე მეწარმეების მონაწილეობას ტენდერებში, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. გარდა ამისა, ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება სათანადოდ ვერ მოხდეს რომელიმე ორგანიზაციის (რომლისთვისაც ხორციელდება შესყიდვა) ინტერესების სრულად გათვალისწინება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს მხოლოდ გარკვეული კატეგორიის შესყიდვების ცენტრალიზაციის მიზანშეწონილობას. როგორც წესი, ცენტრალიზაცია გამართლებულია ისეთი პროდუქტების შესაძენად, რომელთაც მეტი ფიქსირებული ხარჯი აქვთ (რადგან შესაძლებელია მასშტაბის ეკონომიის პრინციპით

<sup>1</sup> Evaluation of Financial Effects of Public Procurement Centralization, Vol. 90 Issue 3, p.104-119.

სარგებლობა); ამასთანავე, შესყიდვა უნდა განხორციელდეს ისეთ სფეროებში, სადაც საფრთხე არ ექმნება მცირე ბიზნესს და არ იქმნება მონოპოლიების შექმნის საშიშროება. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, მსგავსი სახის სფეროებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- ▲ საწვავი;
- ▲ კომპიუტერული ტექნიკა;
- ▲ ავტომობილები;
- ▲ დაზღვევა;
- ▲ ტელეკომუნიკაციები;
- ▲ საბანკო მომსახურება;
- ▲ და სხვ.


საქართველოში გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, მოქმედი კანონმდებლობით ცენტრალიზებულად შესაძლებელია განხორციელდეს „ერთობლივი შესყიდვა“, რომლის დროსაც გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ან ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ერთობლივად/ცენტრალიზებულად ჩაატარონ როგორც ერთ სისტემაში შემავალმა (მაგალითად, ჩაატაროს სამინისტრომ თავისი მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად), ისე სხვადასხვა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა (რამდენიმე სამინისტრომ ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ერთად, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მოცემული მომენტისთვის მსგავსი შესყიდვა არ განხორციელებულა. ცენტრალიზებული შესყიდვა გავრცელებული პრაქტიკით მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერით შემოიფარგლება, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მხოლოდ მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში. კონსოლიდირებულ ტენდერში ხდება საუკეთესო სატენდერო წინადადების გამოვლენა (დგინდება ერთეულის

ფასი) და შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციები დამოუკიდებლად აფორმებენ ხელშეკრულებას გამარჯვებულ პრეტენდენტთან საქართველოში კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება შემდეგ შესყიდვის ობიექტებზე: საწვავი; საბეჭდი ქაღალდი, კომპიუტერული ტექნიკა; ფიჭური კავშირი;

აღნიშნულ მიმართულებებში შესყიდვის ცენტრალიზებულად განხორციელებამ შეიძლება ითქვას, რომ დიდი წვლილი შეიტანა საჯარო ფინანსების დაზოგვაში და დაბალ ფასად მისაღები ხარისხის შესყიდვის ობიექტის მიღების თვალსაზრისით. კონსოლიდირებული ტენდერის დანერგვამდე არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც მაგ. საწვავის მიმწოდებლებს არ სურდათ მონაწილეობა მიეღოთ მცირე მოცულობის ტენდერებში და რეალურად მცირე ადმინისტრაციული რესურსი მქონე ორგანიზაციებს რეალური პრობლემა შეექმნათ საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით.

## 2.2. სახელმწიფო შესყიდვების კაოდენობაში-თვისობაში მოთხოვნათა ანალიზი

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისად მხარჯავი დაწესებულებების მიერ გახარჯული თანხების ოდენობა წლის განმავლობაში დაახლოებით მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს უტოლდება. ქვემოთ დეტალურად მიმოვიხილავთ საქართველოში 2011-2014 წლებში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს. მოცემულ პერიოდში გახარჯული თანხა წლების მიხედვით მზარდი ტენდენციით ხასიათდება (დიაგრამა №1).



დიაგრამა №1. 2011-2014 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა (ლარი)

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)


2011 წელს ჯამურად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება დაიდო 2,662,663,113 ლარზე საიდანაც 66%-ზე ხელშეკრულების დადება ელექტრონულად განხორციელებული შესყიდვის საფუძველზე მოხდა<sup>1</sup>, ხოლო 44% გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე.

<sup>1</sup> ელექტრონულად განხორციელებული შესყიდვები მოიცავს ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით განხორციელებულ ელექტრონულ ტენდერებს, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებს, კონსოლიდირებულ ტენდერებს და სააგენტოს ვებგვერდზე გამოცხადებულ კონკურსებს.

2012 წელს სახელმწიფო შესყიდვის ჯამურმა მოცულობამ 2771183,391 ლარს მიაღწია, აქედან მთლიანი მოცულობის 55% ელექტრონული შესყიდვის საშუალებით, ხოლო 45% გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა.

2013 წელს სახელმწიფო შესყიდვის ჯამური მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო პროცენტულად იგი ასე გადანაწილდა - 61% ელექტრონული შესყიდვის შესაბამისად, ხოლო 39% გამარტივებული შესყიდვის შესაბამისად განხორციელდა.


2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების ჯამური მოცულობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 70 მლნ. ლარით გაიზარდა და 2846942,257 ლარი შეადგინა, აქედან 68% ელექტრონული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვაა, ხოლო 32% გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (დიაგრამა №2).



დიაგრამა №2. ელექტრონული და გამარტივებული შესყიდვა 2011-2014 წლებში (ლარი)

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებები. 2011-2014 წლებში ჯამურად 122 836 ტენდერი იქნა გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც გამარტივებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობამ 89 495 ერთეული, (საერთო მაჩვენებლის 73%), ხოლო ელექტრონული ტენდერების რაოდენობამ 33 034 ერთეული შეადგინა, იხ. დიაგრამა №3.




■ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ■ ელექტრონული ტენდერი

დიაგრამა №3. 2011-2014 წლებში გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერების პროცენტული შედარება

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

რაც შეეხება ტენდერების დინამიკას წლების მიხედვით იგი ასე გამოიყურება, 2011 წელს ჯამურად გამოცხადდა 33 049 ტენდერი საიდანაც 77% მოდიოდა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე, ხოლო 23% ელექტრონულ ტენდერზე (იხ. დიაგრამა №4). 2012 წელს ტენდერების საერთო რაოდენობა შემცირდა და 29 145 ერთეული შეადგინა საიდანაც 22 036 (მთლიანი რაოდენობის 76%) გამარტივებული ელექტრონული ტენდერია, ხოლო 7 099


(მთლიანი რაოდენობის 24%) ელექტრონული ტენდერი. 2013 წელს ტენდერების საერთო რაოდენობა უმნიშვნელოდ 63 ერთეულით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და 29 208 ერთეული შეადგინა, საიდანაც გამარტივებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობამ 20 440 ერთეული (მთლიანი მოცულობის 70%) შეადგინა, ხოლო ელექტრონული ტენდერების რაოდენობამ 8 695 ერთეული (მთლიანი მოცულობის 30%). 2014 წელს ტენდერების საერთო რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და 31 434 ერთეული შეადგინა საიდანაც 21 655 ერთეული გამარტივებული ელექტრონული ტენდერია (მთლიანი მოცულობის 69%), ხოლო 9 555 ერთეული - ელექტრონული ტენდერი (მთლიანი მოცულობის 31%). როგორც ვხედავთ წლების მიხედვით როგორც ტენდერების საერთო რაოდენობა ასევე ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობრივი დამოკიდებულებები უმნიშვნელოდ განიცდის ცვლილებებს.



დიაგრამა №4. 2011-2014 წლებში გამოცხადებული ტენდერების დინამიკა (ერთეული შემთხვევა)

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

2011-2014 წლებში გამოცხადებული 122 836 ტენდერების საერთო რაოდენობიდან 36 428 დასრულდა სტატუსით - „არ შედგა“, რაც ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა. „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ამ სტატუსით (რაც ნიშნავს იმას, რომ არცერთი მონაწილე პრეტენდენტის წინადადება არ არის სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი) საკვლევ პერიოდში დასრულდა 3727 ერთეული, ხოლო სტატუსით „შეწყვეტილია“ დასრულებულია 3697 ტენდერი (დიაგრამა №5).



დიაგრამა №5. ტენდერების განაწილება პროცენტულად სტატუსების მიხედვით 2012-2014 წლებში (ერთეული შემთხვევა)

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

როგორც დიაგრამა №5-ში ჩანს გამოცხადებული ტენდერების საშუალოდ 70% აღწევს საბოლოო სტატუსს - „ხელშეკრულება დადებულია“. რაც სხვადასხვა მიზეზებით არის გამოწვეული, მაგალითად, სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად ჩამოყალიბება, ბაზრის არასათანადო კვლევა და შესაბამისად ფასის არასწორად განსაზღვრა და ა.შ. რაზეც ზემოთ დეტალურად ვისაუბრეთ.

გამარტივებული შესყიდვა, კონკურსი და კონსოლიდირებული ტენდერი. 2011-2014 წლებში გამარტივებული შესყიდვის ფორმით ჯამურად საქართველოს მასშტაბით 666 608 ხელშეკრულება დაიდო დიაგრამა №6.



დიაგრამა №6. 2011-2014 წლებში გამარტივებული შესყიდვის გამოყენება წლების მიხედვით (ერთეული შემთხვევა)


წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

როგორც დიაგრამიდან ჩანს გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია ზოგადად სახელმწიფო შესყიდვებით გახარჯული ჯამური მოცულობის ზრდასთან (იხ. დიაგრამა №2).

რაც შეეხება კონკურსებს 2011-2014 წლებში ჯამურად 1093 ხელშეკრულება იქნა დადებული (იხ. დიაგრამა №7).

როგორც დიაგრამიდან (№7) ირკვევა, საკვლევ პერიოდში

2012 წელს იყო კონკურსის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ყველაზე მეტი რაოდენობა (361 ხელშეკრულება), თუმცა აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საპროექტო მომსახურების შესყიდვის უფლება შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს ტენდერის საშუალებითაც, შესაბამისად დიაგრამა #7-ში მოყვანილი მონაცემები ასახავს მხოლოდ კონკურსის, როგორც სახელმწიფო შესყიდვების ერთერთი ფორმის გამოყენებით განხორციელებულ შესყიდვას და არა ზოგადად საპროექტო მომსახურების შესყიდვის ოდენობას ჯამურად.




დიაგრამა №7. 2011-2014 წლებში კონკურსის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების დინამიკა (ერთეული შემთხვევა)

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

რაც შეეხება კონსოლიდირებულ ტენდერს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის დავალებით, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2012 წლიდან რიგ შესყიდვის ობიექტებზე (საწვავი, კომპიუტერები, საბეჭდი ქა-

ღალდი, ფიჭური სატელეფონო მომსახურება) ატარებს კონსოლიდირებულ ტენდერებს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. 2012-2014 წლებში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ჯამში 55 კონსოლიდირებული ტენდერი გამოაცხადა ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ოდენობამ 9 334 ერთეულს მიაღწია (იხ. დიაგრამა №8).

როგორც დიაგრამიდან (№8) ირკვევა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონსოლიდირებული ტენდერი ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა 2012-2014 წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება და წლის განმავლობაში დაახლოებით 4 000 ერთეულს აღწევს.



დიაგრამა №8. 2012-2014 წლებში კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების დინამიკა (ერთეული შემთხვევა)

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

### 2.3. უსესიდეგების სწავლაში წარმოშობილი დავები და მედიაციის როლი მათ გადაწყვეტაში

სახელმწიფო შესყიდვებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიმწოდებელ და პრეტენდენტ სუბიექტებს აძლევს საშუალებას შემსყიდველთან მიმართებაში წარმოქმნილი დავები გაასაჩივრონ „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში“. აღნიშნული საბჭო 2010 წლის 10 დეკემბრიდან ფუნქციონირებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 6 წევრის შემადგენლობით, რომლის საქმიანობის წესსა და სამართლებრივ საფუძვლებს 2015 წლის 16 მარტიდან განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული „დავების საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში „წესი“). ხოლო მანამდე დავების საბჭოს საქმიანობის წესს განსაზღვრავდა და არეგულირებდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის #11 ბრძანება „დავების საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“. აღსანიშნავია, რომ საბჭომ პირველი საჩივარი 2011 წლის იანვრის თვეში განიხილა.

დავების საბჭოს საქმიანობისა და მოქმედების არეალი მოიცავს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ დავებს.

აღსანიშნავია, რომ დავების საბჭო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება რომელიმე ორგანოს ან/და თანამდებობის პირს. საბჭო თავისუფალია გადაწყვეტილებების მიღებაში და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა/გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიწოდებლად“ რეგისტრირებულ და შესყიდვებში მონაწილეობის ნებისმიერ მსურველს /პრეტენდენტს, უფლება აქვს დავების საბჭოში გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება, თუ მიაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით თუ ქმედებით დაირღვა კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელების მარეგულირებელი წესები, ან/და შეილახა მისი უფლებები. დავების განხილვის პროცედურა, და მათ შორის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

გასაჩივრების წესები. დავების საბჭოში განხილვას ექვემდებარება შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედება, თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ან პრეტენდენტი მიიჩნევს, რომ შესყიდვის პროცედურების მიმდინარეობისას დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და დაირღვა მისი უფლებები (კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი) აღნიშნული ქმედების შედეგად.

შესაბამისად ყველა სხვა შემთხვევაში, თუ საჩივარი არ ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედებას, იგი არ ექვემდებარება განხილვას დავების საბჭოში.

ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში საჩივრის წარდგენის შემდეგ, დავების საბჭოს აპარატი უპირველეს ყოვლისა არკვევს თუ რამდენად შეესაბამება საჩივარი კანონით დადგენილ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს. კერძოდ: თუ საჩივარი ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედებას,

მაშინ დავას განიხილავს დავების საბჭო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედებას, საბჭოს აპარატი დაუშვებლად ცნობს ასეთ საჩივარს და შესაბამისად არ მოხდება მისი განხილვა საბჭოს მიერ.

მაგალითისთვის შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიმე საჩივარი, რომლებიც დაუშვებლად სცნო საბჭოს აპარატმა. კერძოდ:

მაგალითი №1. ერთ-ერთი საჩივრიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელი საჩივარში მიუთითებს ინტერნეტ შეფერხებაზე, რის გამოც ვერ მოახერხა ტენდერში მონაწილეობის მიღება და ითხოვს, რომ მიეცეს აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის განმეორებით მიღების საშუალება. ვინაიდან ინტერნეტ შეფერხება არ წარმოადგენს არც შემსყიდველი ორგანიზაციის და არც სატენდერო კომისიის მიერ განხორციელებული რაიმე ქმედების შედეგს აღნიშნული საჩივრის განხილვა სცდება საბჭოს კომპეტენციას და შესაბამისად საბჭოს აპარატის მიერ ეს საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და არ იქნა განხილული დავების საბჭოს მიერ.

მაგალითი №2. ერთ-ერთი საჩივრიდან ირკვევა, რომ მომჩივანი ასაჩივრებს ერთ-ერთი პრეტენდენტის მიერ გაკეთებულ შეთავაზებას, რომელიც მისი აზრით არ შეესაბამება შემსყიდველის ტექნიკური დავალების მოთხოვნებს. ამ საქმეში საყურადღებოა ის გარემოება, რომ საჩივრის წარდგენის მომენტისათვის შემსყიდველს ჯერ არ ჰქონდა გაკეთებული შერჩევა-შეფასება და შესაბამისად არც ოქმები იყო ატვირთული სისტემაში, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასება სატენდერო კომისიის მიერ ჯერ არ იყო გაკეთებული. ვინაიდან სატენდერო კომისიის მხრიდან საჩივრის წარდგენის მომენტისათვის ადგილი არ ჰქონია რაიმე ტიპის ქმედებას, საბჭოს აპარატის მიერ აღნიშნული საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და შესაბამისად არ იქნა განხილული და ა. შ.

დავების საბჭოში გასაჩივრება დასაშვებია:

ა) ტენდერის ჩატარების შედეგად სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე;

ბ) ტენდერისათვის სტატუსის „ტენდერი არ შედგა“ მინიჭების შემთხვევაში – სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით;

გ) ტენდერისათვის სტატუსის „ტენდერი შეწყვეტილია“ მინიჭების შემთხვევაში – შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებასთან/ქმედებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შესახებ არ ექვემდებარება გასაჩივრებას, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების /ქმედების გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი გადაწყვეტილების შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან, ხოლო ქმედების შემთხვევაში ამ ქმედების განხორციელებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტენდერს მინიჭებული აქვს სტატუსი – „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“, ასეთ შემთხვევაში საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ამ სტატუსის მინიჭებიდან ხელშეკრულების დადებამდე.

დავების საბჭოში საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულად, სატენდერო განცხადებაში არსებული შესაბამისი სისტემური ღილაკის მეშვეობით. საჩივარს უნდა გააჩნდეს სამართლებრივი საფუძველი და წარდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დანართის სახით. საჩივრის დასაშვებობას, შესაბამის

საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით იხილავს საბჭოს აპარატი. საბჭოში გასაჩივრების შემთხვევაში შესყიდვების პროცედურები სისტემაში შეჩერდება მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დავების საბჭოში გასაჩივრება უფასოა.

დავების საბჭოს შემადგენლობა და მის მიერ გადაწყვეტილებების მიღება და აღსრულება. დავების საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია ნწევრით, მის შემადგენლობაში პარიტეტული პრინციპით შედიან სააგენტოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარეობს სააგენტოს თავმჯდომარე, რომელიც სააგენტოს თანამშრომელთა შემადგენლობიდან ნიშნავს საბჭოს ორ წევრს ერთი წლის ვადით, ხოლო საბჭოს 3 წევრი ინიშნება არასამთავრობო სექტორიდან ასევე ერთი წლის ვადით. ასე, რომ დავების საბჭო დაკომპლექტებულია იმგვარად, რომ მის შემადგენლობაში შედის სააგენტოსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ასეთი მაღალი დოზით ჩართულობა პრაქტიკულად გამოირიცხავს მიკერძოებული და არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას. აქედან გამომდინარე შეძლება ითქვას, რომ შესყიდვებში მონაწილე და დაინტერესებულ პირთა საკმაოდ მაღალ ნდობას საბჭოს მიმართ შესაძლოა მნიშვნელოვნად განაპირობებდეს აღნიშნული გარემოება.


საბჭოს აპარატის ფუნქციას ასრულებს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარე. საბჭოს აპარატი ასრულებს დავების განხილვის მომზადების შიდაუწყებრივ პროცედურებს.

საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან

10 სამუშაო დღის ვადაში. იგი უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი, ან არ დააკმაყოფილოს. საბჭო უფლებამოსილია მიუთითოს შემსყიდველ ორგანიზაციას მის არასწორ ქმედებაზე და მოსთხოვოს მას შესყიდვის პროცედურების კანონმდებლობის დაცვით განხორციელება თუ მის მიერ საჩივრის და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლის შედეგად დადასტურდება საჩივრის სამართლიანობა. საბჭო ასევე უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა ან საჭიროების შემთხვევაში გაუქმებაც კი. საბჭო ასევე უფლებამოსილია შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენოს შესყიდვებში მონაწილე მხარეების პასუხისმგებლობის საკითხი.

საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა და მისი შეუსრულებლობა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს საბჭოს აპარატს და მიაწოდოს მას ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების შეფერხებისთაობაზე. შემოსულ საჩივრებზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს მონიტორინგს უწევს საბჭოს აპარატი. მხარეებს და დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.


დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის სტატისტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია შემოსული საჩივრების რაოდენობა, 2013 წელთან შედარებით კი თითქმის გაორმაგებულია (დიაგრამა №9).



დიაგრამა №9. დავების საბჭოში შესული საჩივრების რაოდენობა წლების მიხედვით (ერთეული შემთხვევა)

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)


2014 წელს შემოსული 572 საჩივრიდან, 226 (მთლიანი ოდენობის 39%) საჩივარზე მიღებულ იქნა მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილება, 240 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, 89 დაუშვებლად იქნა მიჩნეული, ხოლო 17 საჩივარი გაუქმდა (დიაგრამა №10).



დიაგრამა №10. 2014 წელს გასაჩივრებული დავები სტატუსების მიხედვით (ერთეული შემთხვევა)

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

აღსანიშნავია ისიც, რომ 2014 წელს დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, სასამართლოში სულ 24 გადაწყვეტილება გასაჩივრდა, რაც საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მხოლოდ 4.2%-ს შეადგენს. 17 სარჩელის შემთხვევაში სასამართლომ დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და შესაბამისად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. უარყოფითი შედეგით დასრულდა ერთი გადაწყვეტილება, ანუ მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი საქმეები ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია (დიაგრამა №11).




დიაგრამა №11. 2014 წელს სასამართლო პროცესები დავების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

ასევე საგულისხმოა ის გარემოება, რომ უკანასკნელ წლებში გაფართოვდა საჩივრების წარმომდგენ პირთა განაწილება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით და გაიზარდა გასაჩივრებული

ტენდერების რაოდენობა რეგიონებში. მაგალითად, თუ 2010–2011 წლებში საჩივრების ძირითადი ნაწილი (67%) თბილისზე მოდიოდა, 2012 წლის შემდგომ გასაჩივრებულმა ტენდერებმა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა (დიაგრამა №12).



დიაგრამა №12 მომჩივანთა განაწილება რეგიონების მიხედვით

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

ყოველივე ზემოთაღნიშნული მიუთითებს, რომ დავების საბ-ქოს, როგორც მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტის მი-მართ არსებობს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეთა მხრიდან სავსებით მაღალი ნდობა, რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოზე და ადგილობრივი ბიზნესის განვი-თარებაზე.

## თაზი III. სახელმწიფო შესყიდვების სტრუქტურის გზები საქართველოში

### 3.1. ბიზნესის წარმატებები და ნაკლოვანებები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში უმნიშვნელოვანესი რეფორმები გატარდა. განხორციელებული ცვლილებებით მივიღეთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე შესყიდვების სისტემა, რომელიც დადებითად შეაფასა მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. შესყიდვების ახალმა გამჭვირვალე სისტემამ შეამცირა კორუფციული გარიგებების ალბათობა, გაამარტივა შესყიდვების პროცედურები და შედარებით გააძლიერა კონკურენციაც. თუმცა, ასეთ მოკლე პერიოდში ყველა ნაკლოვანების ძირეულად აღმოფხვრა და კორუფციული რისკების მინიმუმამდე დაყვანა, რთული ამოცანა იყო. ჩვენ დავინტერესდით აღნიშნული საკითხით და გადავწყვიტეთ შეგვესწავლა სახელმწიფო შესყიდვების გარდაქმნილი სისტემა და დაგვესაზოგებოდა გზები, რომლითაც შესაძლებელი იქნება მისი კიდევ უფრო განვითარება და სრულყოფა.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური (ყოფილი სახელმწიფო კონტროლის პალატა) სისტემატურად ახორციელებს ამ სფეროს აუდიტს. მისმა რამდენიმე ბოლო წლის პარტიკამ ამ სფეროში და ჩვენმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების და პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, აღნიშნულ სფეროში არსებული მთელი რიგი დარღვევები კვლავ აღმოუფხვრელი დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებულმა რეფორმებმა მოცემული სისტემა გამჭვირვალე რომ გახადა, ეს მნიშვნელოვნად წინგა-

დადგმული ნაბიჯია, მაგრამ ამის მიუხედავად შემსყიდველი ორგანიზაციები მაინც ახერხებენ მნიშვნელოვანი მოცულობის შესყიდვების გაფორმებას ტენდერების გვერდის ავლით, პირდაპირი მოლაპარაკების გზით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით. 2011-2012 წლებში ასეთი გამარტივებული წესით გაფორმდა დაახლოებით 2,16 მილიარდი ლარის ღირებულების კონტრაქტი, ანუ კონტრაქტების საერთო ღირებულების 40%.<sup>1</sup>

2013-2014 წლებში პირდაპირი მოლაპარაკებების გზით სახელმწიფო შესყიდვები, ანუ შესყიდვები გამარტივებული წესით გარკვეულად შემცირდა, მაგრამ იგი მაინც არსებობს და არც თუ მცირე მოცულობით. 2013 წელს მან დაიკავა მთლიანად განხორციელებული შესყიდვების 39%, რაც თანხობრივად შეადგენდა 1 080 441 672 ლარს, ხოლო 2014 წელს - 32%-ს, ანუ თანხობრივად 915 742 211 ლარს.<sup>2</sup> გამარტივებული წესით ხელშეკრულებათა გაფორმება ამცირებს კონკურენციას შესყიდვებში და ზრდის კორუფციის რისკებს. მართალია, 2013-2014 წლებში გამარტივებული წესით განხორციელებული შესყიდვების ტენდენცია შემცირებადია, მაგრამ ჩვენი აზრით, იგი უფრო მასშტაბური უნდა იყოს.

ნაკლოვანებებია შესყიდვების განხორციელების ყველა სტადიაზე, განსაკუთრებით კი დაგეგმვის სტადიაზე. კერძოდ:

- ▲ ხშირ შემთხვევაში არასწორად ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი შემდგომი ფორმულირება სატენდერო დოკუმენტაციაში;

<sup>1</sup> ეფექტიანი უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და განვითარების თანამედროვე მიდგომები, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, თბ., 2014, 18 მარტი, გვ. 3.

<sup>2</sup> 2013 წლის საქმიანობის ანგარიში, კონკურენციის და სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტო, თბ., 2014, გვ. 8. 2014 წლის საქმიანობის ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2015, გვ. 10.

- ▲ შემსყიდველთა მხრიდან შესყიდვის ობიექტის (საქონლის, მომსახურების და სამუშაოს) ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრისას არ ხდება საქართველოში ან საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების გამოყენება, რაც რიგ შემთხვევებში რეალურ საჭიროებასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობას იწვევს;
- ▲ შესყიდვებთან დაკავშირებული რიგი პროცედურები და დოკუმენტაცია არ არის სტანდარტიზებული, რაც გააადვილებდა შემსყიდველთა საქმიანობას და შეამცირებდა დანახარჯებს;
- ▲ შემსყიდველთა მხრიდან არ ხდება ბაზრის რეგულარული შესწავლა, რაც ზოგჯერ შესყიდვის არაეკონომიურად განხორციელებას განაპირობებს;
- ▲ სფეროებში, სადაც მიზანშეწონილია ცენტრალიზაცია, შესყიდვები კვლავაც დეცენტრალიზებულად ხორციელდება, რითაც ეკარგება თანხების დაზოგვის შესაძლებლობები;
- ▲ გამოვლინდა დაუსაბუთებელი გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობების საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების შემთხვევები; გაიზარდა კონკურენციის (ტენდერის) გარეშე გაფორმებული კონტრაქტების რაოდენობა.
- ▲ ხარვეზებით მიმდინარეობს ტენდერის ჩატარების ეტაპიც - რიგ შემთხვევებში ხდება ტენდერების დაუსაბუთებელი შეწყვეტა და პრეტენდენტთა დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია, რაც უარყოფითად აისახება კონკურენციაზე. დასახვეწია კონტრაქტების მენეჯმენტის სისტემა, რათა არ მოხდეს სახელშეკრულებო პირობების უსაფუძვლოდ

ცვლილება შემსყიდველის საზიანოდ, განსაკუთრებით კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გახანგრძლივებასთან და სახელშეკრულებო ღირებულების ზრდასთან დაკავშირებით.

მართალია, შესყიდვების ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და-ინტერესებული მხარეებისათვის, მაგრამ შესამუშავებელია მიმწოდებელთა შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც შემსყიდველებს გაუადვილებს შესყიდვების დაგეგმვასა და მიმწოდებელთა სწორად შერჩევის პროცესს.

თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ყველა ნაკლოვანების აღმოფხვრა ცენტრალიზებულად, მხოლოდ მაკოორდინებელი ორგანოს მიერ მიღებული ზომების მეშვეობით შეუძლებელია, თუ აღნიშნული საკითხისადმი არ გაიზრდება ხელისუფლებისა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა ინტერესი და ჩართულობა, და მნიშვნელოვნად არ ამაღლდება საბიუჯეტო ორგანიზაციათა შესყიდვებზე პასუხისმგებელი კადრების კვალიფიკაცია.

### **3.2. სახელმწიფო შესყიდვების კეპკო კოტბლეშვილი და მათი გაცდვის ალტერნატიული გზები**

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველაზე მეტი პრობლემა შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე გვხვდება, რასაც რიგ უარყოფით შედეგებამდე მივყავართ.

შესყიდვების პროცესის პირველი ეტაპი არის შესყიდვების წლიური გეგმის შედგენა. სახელმწიფო შესყიდვების წლიური

გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტის პროექტს.<sup>1</sup> არსებული პრაქტიკა მოწმობს, რომ სახელმწიფო დაწესებულებების ბიუჯეტი ხშირ შემთხვევებში ეფუძნება წინა წლის პარამეტრებს და ნაკლებად არის გათვალისწინებული მომდევნო საბიუჯეტო წლისათვის არსებული რეალური საჭიროებები. შესაბამისად, შესყიდვების გეგმაც, რომელიც წლიურ ბიუჯეტს ეფუძნება, ზუსტად და სამართლიანად არ ასახავს ორგანიზაციის წინაშე მდგარ საჭიროებებს და რიგ შემთხვევებში, ხელოვნურად არის გაზრდილი. შედეგად, შემსყიდველებს რჩებათ თავისუფალი სახსრები, რომელთა ათვისებაც ხდება არამიზნობრივად და არარაციონალურად (განსაკუთრებით, წლის ბოლოს).

ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესზე, რის შემდგომაც შემსყიდველებმა უნდა განსაზღვრონ, თუ რა არის საჭიროებების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალება.<sup>2</sup> საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალების შერჩევის ეტაპზე შეიძლება წარმოიშვას მრავალი რისკი და რიგ არასასურველ შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ. პრობლემის საილუსტრაციოდ იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელიც შედგენილია სხვადასხვა ქვეყანაში დანერგული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითზე.<sup>3</sup>

<sup>1</sup> კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 9 (მე-4 პუნქტი).

<sup>2</sup> შესყიდვების მოთხოვნის განსაზღვრა - Lynch, Jorge, Procurement Requirement Determination - <http://www.procurementclassroom.com/procurement-requirement-determination/>

<sup>3</sup> მაგალითისათვის იხილეთ ავსტრალიის პრაქტიკა - [http://147.109.254.181/domino/bf9.nsf/07CC4222E4F10F00CA256C8D007F9FC6/\\$FILE/Checklist+of+potential+risks+in+the+goods+and+services+procurement+process+V2.pdf](http://147.109.254.181/domino/bf9.nsf/07CC4222E4F10F00CA256C8D007F9FC6/$FILE/Checklist+of+potential+risks+in+the+goods+and+services+procurement+process+V2.pdf); აგრეთვე შეგიძლიათ იხილოთ ირლანდიის სახელმწიფოს შესყიდვების სტრატეგია - Strategy for the Implementation of Eprocurement in Irish Public Sector, 2001.

## საჭიროებების განსაზღვრასთან დაკავშირებული რისკები

რისკი	სავარაუდო შედეგები	მისაღები ზომები
1. საჭიროების არასწორი ინტერპრეტაცია, მოთხოვნილების არასწორად იდენტიფიცირება (მაგ., ტრაქტორის მაგივრად, კომბაინის შეძენა).	არასაჭირო ან/და გამოუსადეგარი პროდუქტის შეძენა; არამიზნობრივი ხარჯის ზრდა; დროის დაკარგვა.	პროცესში ჩართულ (დაინტერესებულ) მხარეებთან კონსულტაცია; საჭიროების შესახებ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოპოვება
2. საჭიროების გადაჭარბებით შეფასება (მაგ., ეკონომ-კლასის მაგივრად, ლუქსკლასის ავტომანქანების შეძენა).	საჭიროზე მეტი თანხის გახარჯვა; კონკურენციის შემცირება.	საჭიროების საფუძვლიანი ანალიზი; ფუნქციონალური შეფასება.
3. საჭიროების არასათანადოდ (ნაკლებად) შეფასება (მაგ., პლანეტური კომპიუტერის შეძენა მესამე თაობის ინტერნეტის ქსელის ფუნქციის გარეშე).	საჭიროებასთან შეუსაბამო/ გამოუსადეგარი პროდუქტის შეძენა; თანხების გაფლანგვა; საჭიროების დაკმაყოფილება ვერ ხერხდება.	საჭიროების საფუძვლიანად შესწავლა და შეფასება.

ჩვენი დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში დღესდღეობით უფრო სისტემური ხასიათისაა და პრობლემატურია ცხრილში დასახელებული მე-2 რისკი, რომელიც დაკავშირებულია საჭიროებების გადაჭარბებით შეფასებასთან, რის შედეგადაც საბიუჯეტო ორგანიზაციები ყიდულობენ ისეთ ძვირადღირებულ პროდუქტებს, რომლებიც ფუნქციონალურად გაცილებით აღემატება მათ მოთხოვნებს (საჭიროებებს). აღნიშნული, შესაბამისად, იწვევს აუცილებელზე მეტი თანხის გადახდასა და არაეკონომიური ხარჯის ზრდას. ამ პრობლემის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ზედმეტად ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა.

აღნიშნული პრობლემის დარეგულირება რიგ ქვეყნებში ნორმატიული აქტების მეშვეობით ხდება, სადაც გაწერილია, თუ რა კატეგორიის ავტომობილის შეძენა აუცილებელი ამა თუ იმ საჯარო

მოხელისათვის (ამასთანავე, თუ რომელ საჯარო მოსამსახურეს შეიძლება ემსახურებოდეს ავტომობილი). მაგალითად, გერმანიაში ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულია რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს სხვადასხვა კატეგორიის შესყიდვებს (როგორებიცაა, ავტომობილები, კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ა.შ.). აღნიშნული რეგულაციების გადასინჯვა და განახლება ყოველწლიურად ხდება, რათა მაქსიმალურად იყოს მისადაგებული შესაბამის პერიოდში არსებულ ვითარებასთან. მაგალითად, ავტომობილების შესყიდვებთან დაკავშირებულ რეგულაციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ავტომობილის შესყიდვა მხოლოდ განსაკუთრებული სამსახურებრივი საჭიროების შემთხვევაში არის შესაძლებელი.<sup>1</sup> ამასთანავე, დაწესებულია ფასის ზედა ზღვრები სხვადასხვა რანგის საჯარო მოხელეთა პერსონალურად განკუთვნილი ავტომობილებისათვის. საერთო სარგებლობის მანქანებისათვის კი ზღვრები დაწესებულია ავტომობილის დანიშნულებიდან გამომდინარე (შორეულ გზებზე სავალი, ქალაქისათვის განკუთვნილი ავტომობილები და ა.შ.).<sup>2</sup>

გარდა ავტომობილებისა, იმავე რეგულაციაში განსაზღვრულია, თუ რა მაქსიმალური ოდენობის თანხით არის შესაძლებელი კონკრეტული რანგის საჯარო მოსამსახურის სამუშაო ადგილის აღჭურვა (ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.).<sup>3</sup>

საქართველოში აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებული არ არის (მხოლოდ ავტოპარკის საკითხი 2014 წლის იანვარში დარეგულირდა). მსგავს პრობლემებს ვაწყდე-

<sup>1</sup> BMF - II A 1 - H 1105/09/10003, DOK 2009/0862709, Anlage 2, Ausgaben für die Beschaffung von Dienstkraftfahrzeugen.

<sup>2</sup> BMF - II A 1 - H 1105/09/10003, DOK 2009/0862709, Anlage 2, Ausgaben für die Beschaffung von Dienstkraftfahrzeugen. Anlage 3.

<sup>3</sup> იქვე, Anlage 4, Höchstpreise für die Ausstattung von Geschäftszimmern der Bundesbediensteten (inkl. PC-Grundausstattung).

ბით ავეჯისა და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებითაც. შედეგად, საჭიროებების არასწორად იდენტიფიცირება იწვევს არაეკონომიური და არაეფექტიანი ხარჯის მნიშვნელოვან ზრდას.

მას შემდეგ, რაც შემსყიდველი განახორციელებს საჭიროებების იდენტიფიცირებას, უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტის სატენდერო დოკუმენტაციაში ნათლად და გარკვევით განმარტება, რათა პოტენციურ მიმწოდებლებს ჰქონდეთ ზუსტი წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რა სურს შემსყიდველს.<sup>1</sup>

ისევე, როგორც საჭიროებათა იდენტიფიცირების, საჭიროებების ფორმულირებისა და სპეციფიკაციების განსაზღვრის ეტაპთანაც დაკავშირებულია გარკვეული რისკები, კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის ერთ პირზე მორგება და საჭიროების ძალზე ზოგადი განმარტება. ქვემოთ მოგახსენებთ მათ შესახებ:

სატენდერო დოკუმენტაციის ერთ პირზე მორგება. 2011 წლის 30 ივნისს, მთავრობის ნებართვის საფუძველზე, შემსყიდველმა გამოაცხადა გამარტივებული ტენდერი 25 150 კომპლექტი სამეცნიერო ლაბორატორიის შესყიდვაზე, რომელიც გაიხსნა სამი სამუშაო დღის ვადაში (ტენდერი გამოცხადდა ხუთშაბათს, ვაჭრობა დაიწყო ორშაბათს). მისი სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 2,055,000 ლარით. ტენდერზე კომისიამ მოითხოვა ლაბორატორიული ხელსაწყოების მიწოდების შესახებ გამოცდილება, რომლის მიწოდების ოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ 1,000,000 ლარისა. ტენდერში მხოლოდ ერთმა მომწოდებელმა კოდური სახელწოდებით „იქსმა“ მიიღო მონაწილეობა, რომელიც გამოცხადდა კიდევ გამარჯვებულად. ხელშეკრულების ფასმა შეადგინა 2,055,000 ლარი.

<sup>1</sup> <http://www.procurement.vic.gov.au/CA2575BA0001417C/pages/procurement-practitioners-stage-1---planning-step-1---establish-the-business-need> - Lynch, Jorge, Procurement Requirement Determination - <http://www.procurementclassroom.com/procurement-requirement-determination/>

უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნულმა კომპანიამ პირველად ჯერ კიდევ 2010 წლის 10 იანვარს მიიღო მონაწილეობა შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში<sup>1</sup> ლაბორატორიის შესყიდვასთან დაკავშირებით. მაშინ კომისიამ სასკოლო ინვენტარის მიწოდების გამოცდილება არ მოითხოვა, თუმცა ტენდერში მხოლოდ ამ პრეტენდენტმა (კომპანია „იქსი“) მიიღო მონაწილეობა. გამოცდილება არ იყო მოთხოვნილი, ასევე, 2011 წლის 3 ივნისის (ანუ მეორე) ტენდერზეც,<sup>2</sup> რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3-მა კომპანიამ - „იქსმა“, „იგრეკმა“ და „ბეტამ“. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში - როდესაც პრეტენდენტთა რაოდენობა 3 იყო - შემსყიდველმა ტენდერი შეწყვიტა. აღნიშნულის შემდეგ, შემსყიდველმა ხელახლა (10 ივნისს) გამოაცხადა ტენდერი და მასში ჩადო ლაბორატორიული ხელსაწყოების მიწოდების შესახებ გამოცდილება, რომლის მიწოდების ოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ 1,000,000 ლარის ღირებულებისა. სატენდერო კომისია, ასევე, ითხოვდა სარეკომენდაციო წერილს, რომ კომპანიამ ლაბორატორიული ხელსაწყოების მიწოდების ვალდებულება კეთილსინდისიერად შეასრულა. კომპანია „იქსის“ შემთხვევაში სარეკომენდაციო წერილი გაცემულია თავად შემსყიდველის მიერ, რაც გულისხმობს, რომ შემსყიდველმა საკუთარ თავს ფორმალურად შეატყობინა მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულებების შესახებ. შედეგად კი, როგორც აღვნიშნეთ, ტენდერში მხოლოდ კომპანია „იქსმა“ მიიღო მონაწილეობა, რადგან ასეთი რეკომენდაცია მხოლოდ მას ჰქონდა.

ტენდერების ანალიზი მიანიშნებს, რომ დამატებითი პირობის (გამოცდილების) შეტანით, კონკურენცია მნიშვნელოვნად შეიზღუდა. 3 პრეტენდენტის ნაცვლად ერთმა პრეტენდენტმა - კომ-

<sup>1</sup> SPA110000329.

<sup>2</sup> SPA110015027.

პანია „იქსმა“ მიიღო მონაწილეობა. გამოცდილების მოთხოვნა შემსყიდველისათვის სავარაუდოდ არ იყო მნიშვნელოვანი, რადგან პირველ ორ ტენდერში აღნიშნული მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო ჩადებული. ამასთან, სატენდერო დოკუმენტაციის მიკერძოებული განმარტების მაღალ ალბათობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ შემსყიდველმა დაუსაბუთებლად შეწყვიტა ტენდერი, სადაც 3 პრეტენდენტი მონაწილეობდა და შეცვლილი პირობებით ხელახლა გამოცხადების შემდეგ მასში მხოლოდ კომპანია „იქსს“ შეუქმნა ხელოვნურად გამარჯვების შანსი. ტენდერში მონაწილეობის ფორმალური ბარიერების ხელოვნურად შექმნაზე მეტყველებს სარეკომენდაციო წერილის (რომელიც თავად შემსყიდველმა მისცა პრეტენდენტს) წარმოდგენის ვალდებულების ფაქტიც, რომლის შესრულება მხოლოდ კომპანია „იქსმა“ შეძლო.

გარდა აღნიშნულისა, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ავტომანქანების შესყიდვა განხორციელდა სპეციფიკაციების არანეიტრალური განსაზღვრით, რაც გამოიხატა ტექნიკურ დავალებაში ავტომანქანის პარამეტრების (მაგალითად, სიგრძე/სიგანე/სიმაღლე: 4,660 X 1,890 X 1,760) მიკერძოებული მითითებით, რის გამოც ტენდერში პრეტენდენტთა წრე სავარაუდოდ იზღუდებოდა და მხოლოდ ერთი კომპანია იღებდა მონაწილეობას. ბოლო 4 წელიწადში სულ დაახლოებით 10 მსგავსი შესყიდვა გამოვლინდა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 373,000 ლარი შეადგინა.

საჭიროებების ზოგადი განსაზღვრა. საჭიროებების მიკერძოებული და უჩვეულოდ დეტალური განსაზღვრისგან საპირისპიროდ, ზოგიერთი შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური აღწერილობა ძალიან ზოგადად არის მოცემული. სულ გამოვლინდა მსგავსი სახის ტენდერების დაახლოებით 50 შემთხვევა. მაგალითად, დადგინდა,

რომ საჭიროებების ბუნდოვანი და ზოგადი განმარტებით ხასიათდება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ერთ-ერთი საწარმოს დოკუმენტაციები. ბუნდოვანება გამოიხატება იმაში, რომ ცალკეული შესყიდვის ობიექტების ოდენობები მითითებულია ჯამურად, მიუხედავად მათ საბაზრო ფასებს შორის არსებითი განსხვავებებისა. ჯამურ ოდენობებში გაერთიანებულია, მაგალითად, როგორც ახალი, ასევე გაყინული ხორცი; ფრინველის ხორცი და ფრინველის ბარკალი; წიწიბურა, ლობიო, ბარდა. ხშირ შემთხვევაში ტექნიკური დავალება არ შეიცავს ინფორმაციას, თუ რომელი კონკრეტული ხილისგან დამზადებული ხილფაფის თუ წვენი შესყიდვა ხორციელდება ტენდერის საშუალებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გარდაუვალია ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველის მხრიდან სატენდერო წინადადების ღირებულების ზუსტი დაანგარიშების მიზნით ცალკეული რაოდენობების, სახეობების და ა.შ. გარკვევის აუცილებლობა. აღნიშნულის საპასუხოდ, შემსყიდველს ყოველთვის რჩება ტექნიკური დავალების ისეთნაირად დაზუსტების საშუალება, რომელიც შეუძლებელს გახდის შემსყიდველისათვის არასასურველი პრეტენდენტის ტენდერში მონაწილეობის მიღებას. სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე აიხსნება აღნიშნული კომპანიის ტენდერებში პრეტენდენტების რაოდენობის სიმწირე. ამავე დროს წარმოიშვება რისკი, რომ მაგალითად, ხორცპროდუქტების შესყიდვისას, უშეტესწილად შესაძლებელია მთლიანად გაყინული ხორცის მიწოდება ხორციელდებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურ დავალებაში მოთხოვნილი (რაოდენობრივად დაუზუსტებელი) ნაწილი არის ახალი ხორცი. ეკვის დონე იზრდება ცალკეულ ხელშეკრულებებში მითითებული ხარჯთაღრიცხვების გადამოწმებით. მაგალითად, ხორცპროდუქტების მიწოდებაზე ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტებიდან

არ იკვეთება, თუ რა ტიპის ხორცი იქნა მიწოდებული, იყო ეს ახალი თუ გაყინული ხორცი.

მსგავსი სახის ბუნდოვანი ჩანაწერების გამო, მიმწოდებელ-პრეტენდენტებს უძნელდებათ შემსყიდველთა საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი წინადადების წარდგენა. ამას გარდა, რთულდება ხელშეკრულების შესრულებაზე მონიტორინგი, რადგანაც ძნელია იმის დადგენა, თუ რა სურდა შემსყიდველს და რაზე დადო მან რეალურად ხელშეკრულება. საჭიროებების ზოგად განმარტებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებსა და თანმდევ უარყოფით შედეგებზე მეტყველებს საერთაშორისო პრაქტიკაც.

პრობლემის (არანეიტრალური და ბუნდოვანი სპეციფიკაციები, შემსყიდველის საჭიროებისა და მიწოდებული პროდუქტის შესაბამისობები და ა.შ.) ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები სათანადოდ არ იყენებენ საერთაშორისო (რეგიონული) ორგანიზაციების (ISO, IEC/CEN, CENELEC)<sup>1</sup> და საქართველოს სტანდარტებს, რომელთა შემუშავებას, რეგისტრაციასა და გავრცელებას ახორციელებს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (სმეს). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სტანდარტი განიმარტება, როგორც კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს და მახასიათებლებს სხვადასხვა საქმიანობისათვის ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში, ოპტიმიზაციის მიზნით.<sup>2</sup>

სტანდარტიზაციას გააჩნია ტექნოლოგიური, ეკონომიკური და

<sup>1</sup> International Organization for Standardization; International Electrotechnical Commission; European Committee for Standardization; European Committee for Electrotechnical Standardization.

<sup>2</sup> პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, 2012, მუხლი 64.

სოციალური სარგებელი. ეკონომიკურ საქმიანობაში მისი მთავარი დადებითი მახასიათებელი არის ის, რომ იგი აადვილებს მხარეებს შორის კომუნიკაციასა და ურთიერთთანამშრომლობას,<sup>1</sup> რადგან სტანდარტებით განსაზღვრული და ჰარმონიზებული ტექნიკური სპეციფიკაციების მეშვეობით, როგორც შემსყიდველმა, ისე მიმწოდებელმა უკეთ იცის თუ რა სურს მეორე მხარეს. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ კერძო სუბიექტი სწორად ვერ აღიქვამს შემსყიდველის მოთხოვნას და მიაწვდის მისთვის გამოუსადეგარ პროდუქტს, მინიმუმამდე მცირდება. გარდა ამისა, სტანდარტების გამოყენება ასევე უზრუნველყოფს უსაფრთხო, სანდო და მისაღები ხარისხის პროდუქტის მიწოდებას (თუმცა, მხოლოდ სტანდარტის გამოყენებით ხარისხის უზრუნველყოფა არ იქნება შესაძლებელი, თუ მთლიანად შესყიდვების პროცესი სწორად არ წარიმართა).<sup>2</sup> ამგვარად, ISO სტანდარტებს განიხილავს, როგორც სტრატეგიულ ინსტრუმენტებს ხარჯების შესამცირებლად (შეცდომების მინიმიზაციის მეშვეობით) და პროდუქტიულობის გასაზრდელად.<sup>3</sup>

სტანდარტიზაცია განსაკუთრებით გამართლებული და მიზანშეწონილია ისეთ პროდუქტებთან მიმართებაში, რომელზედაც მოთხოვნა მაღალია და, ამასთანავე, გააჩნიათ რთული ტექნიკური მახასიათებლები. სტანდარტიზაცია მიზანშეწონილია სახელმწიფო შესყიდვებით გამიზნულ ცალკეულ სამშენებლო პროცესებთან მიმართებაშიც. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტანდარტების გამოყენება და მიწოდებული პროდუქციის შემსყიდველის მოთხოვნასთან შესაბამისობის დადგენა დაკავშირებულია დამატებით პროცედურებთან (განსაკუთრებით, შესყიდვის ობიექტის ფუნქციონალური აღწერილობის დროს), რაშიც შეიძლება მოვიაზროთ ექსპერტიზის ჩატარება,

<sup>1</sup> <http://www.iso.org/iso/home/standards/benefitsofstandards.htm>.

<sup>2</sup> <http://www.iso.org/iso/home.html>

<sup>3</sup> <http://www.iso.org/iso/home/standards.htm>

შესაბამისობის სერტიფიკატის აღება, ნიმუშის წარდგენა და სხვ. ამასთანავე, შემსყიდველის მხრიდან შეიძლება მოხდეს სტანდარტის გამოყენება და შესაბამისი სერტიფიკატის მოთხოვნა ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული კონკრეტული შესყიდვის ხასიათიდან გამომდინარე გამართლებული და მიზანშეწონილი არ არის, რამაც შეიძლება ხელოვნურად შეზღუდოს კონკურენცია. ამიტომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელების დროს უნდა შეაფასოს ის დადებითი მხარეები და ის რისკები, რაც სტანდარტების გამოყენებასთან არის დაკავშირებული და გადაწყვეტილება მიიღონ რაციონალურობის პრინციპის გათვალისწინებით.

ამჟამად საქართველოში რეგისტრირებულია 5000-მდე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი, თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია 40,000-ზე მეტი სტანდარტი. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, პრობლემატურია ის ფაქტორი, რომ საქართველოში აღნიშნული სტანდარტების არსებობისა და მათგან მისაღები შესაძლო სარგებლის თაობაზე ცნობიერება დაბალია. შესაბამისად, შემსყიდველები საქმიან ურთიერთობებში ნაკლებად იყენებენ საქართველოსი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სტანდარტებს, რასაც ზემოთ განხილულ უარყოფით შედეგებამდე მივყავართ.

პრობლემა შეიძლება განპირობებული იყოს შემსყიდველ ორგანიზაციებში მომუშავე პერსონალის არასათანადო კვალიფიკაციითაც, რომელთაც არა აქვთ საკმარისი ცოდნა შესყიდვების სფეროში და მუდმივად არ ხდება მათი გადამზადება. ერთ-ერთი მექანიზმი აღნიშნული პრაქტიკის (შემსყიდველის მოთხოვნისა და მიწოდებული პროდუქტის შეუსაბამობა) პრევენციისა, არის სისტემაში ინტეგრირებული კითხვა/პასუხის მოდული (ამოქმედდა 2013 წელს) და, ასევე, ელექტრონული გასაჩივრების მოდული.

აღნიშნული სისტემა საშუალებას აძლევს მიმწოდებლებს ან სხვა დაინტერესებულ მხარეებს მოსთხოვონ შემსყიდველს ყველა ბუნდოვანი ჩანაწერის განმარტება და, ამასთანავე, გაასაჩივროს სადავო საკითხები. თუმცა, აღნიშნულის გარდა, ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად ასევე მიზანშეწონილია რიგი დონისძიებების გატარება, როგორც სააგენტოს, ისე საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხრიდან.

პროცესების სტანდარტიზაცია გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებულ მრავალჯერადი გამოყენების სპეციალურ წესებს, კრიტერიუმებსა თუ მიდგომებს, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს კონკრეტულ პროდუქტთან, პროცესთან, მეთოდთან და ა.შ.<sup>1</sup>

ძირითადი მიზეზი, რის გამოც სტანდარტების ნაკლებად გამოყენება ხდება, ჩვენი აზრით, არის სტანდარტების გასაყიდ საქონლად გადაქცევა. დაინტერესებულ მხარემ იგი უნდა იყიდოს. სტანდარტების ფასები კი საკმაოდ სოლიდურია. ამიტომ შემსყიდველები თავს არიდებენ სტანდარტის შეძენას. ამის შედეგად კი ვიღებთ იმას, რასაც ვიღებთ - შემსყიდველები ვერ ერკვევიან რა სტანდარტებში, ხშირ შემთხვევებში შეისყიდიან დაბალი ხარისხის პროდუქციას.

ჩვენი ღრმა რწმენით, სტანდარტები უფასოდ უნდა ეძლეოდეთ დაინტერესებულ მხარეებს, სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის სააგენტოს ხარჯებს, მ. შ. სტანდარტის შემუშავების ხარჯებს კი, მთლიანად სახელმწიფო უნდა ფარავდეს.

პირველ ეტაპზე ის მაინც უნდა გაკეთდეს, რომ სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის სააგენტომ ყველა დაინტერესებულ პირს მოთხოვნისთანავე უფასოდ მიაწოდოს სტანდარტის ანოტაცია, რომლის გაცნობა შემსყიდველს მიმწოდებლის საქონლის მიმართ მოთხოვნების ჩამოყალიბებას გაუადვილებს.

<sup>1</sup> 19 United States Code, §2571 (13).

შესყიდვების სწორად განხორციელებას ისიც უშლის ხელს, რომ ყველა პროდუქტსა, მომსახურებასა და სამუშაოზე არ არის შექმნილი სტანდარტი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უნდა შექმნას მათი პრიორიტეტების ჩამონათვალი და დაუკვეთოს მათზე სტანდარტების დამუშავება სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის სააგენტოს.

ისიც სათქმელია, რომ შემსყიდველ ორგანიზაციებში პასუხისმგებელ პირთა ცნობიერება სტანდარტების აღქმის და გაგების, მით უფრო მათი გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ძალზე დაბალია. ამ საკითხის გამოსწორების ინიციატორიც - ტრენინგების ჩატარების გზით - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო უნდა იყოს.

ვაყენებთ წინადადებას დაწესდეს შესასყიდი საქონლის, სამუშაოს და მომსახურების ფასების ზედა ზღვრები. ეს საკითხი მხოლოდ ავტომანქანებზეა გადაწყვეტილი, მაგრამ არც კომპიუტერული ტექნიკაა იაფი და არც ოფისის ავეჯი. ფასების საკითხში ზომიერების დაცვა აქაც აუცილებელია. ამას კი მხოლოდ სათანადო რეგულაციის დაწესება უშველის, რადგან ადამიანთა მოთხოვნილებები განუსაზღვრელია.

გარდა პროდუქტების სტანდარტებისა დარღვეულია შესყიდვის პროცესების სტანდარტებიც. პროდუქციის სტანდარტების შემუშავებასთან ერთად, საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს შესყიდვების გარკვეული პროცესებისა და დოკუმენტაციის სტანდარტიზაციას, რაშიც იგულისხმება სატენდერო დოკუმენტაციისა თუ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების სტანდარტული ფორმების შემუშავება, ხელშეკრულების შესრულებაზე მონიტორინგის პროცედურები და სხვ. მაგალითად, ევროკომისიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საქონლის სტანდარტიზაცია, რის შემდგომაც მოხდება მათი, როგორც ყველაზე უფრო მისაღები

სტანდარტის<sup>1</sup> შესყიდვებში გამოყენება. ამასთანავე, ევროკომისიამ შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც დაეხმარება შემსყიდველებს ინფორმაციული ტექნოლოგიების შეძენის პროცედურების დაგეგმვასა და განხორციელებაში,<sup>2</sup> ევროკომისიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს, ასევე, მშენებლობასთან დაკავშირებული შესყიდვების სტანდარტიზაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მოხდეს გარკვეული სახის სამშენებლო სამუშაოების ფუნქციონალური და ტექნიკური პარამეტრებისათვის სტანდარტების დაწესება.<sup>3</sup>

სახელმწიფო შესყიდვების გარკვეული პროცესებისა და დოკუმენტების სტანდარტიზება დაკავშირებულია შემდეგ დადებით ფაქტორებთან:

- ▲ იწვევს ადმინისტრაციული რესურსების შემცირებას;
- ▲ აადვილებს შემსყიდველსა და კომპანიებს შორის კომუნიკაციას (მიმწოდებელი უფრო ადვილად ახდენს შემსყიდველის მოთხოვნის იდენტიფიცირებას და მხარეებს უკეთესად ესმით ერთმანეთის ვალდებულებები);
- ▲ უზრუნველყოფს უზუსტობებისა და შეცდომების დაშვების რისკის მინიმუმადე დაყვანას;
- ▲ უზრუნველყოფს შესყიდვების პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობასა და პროდუქტიულობის ზრდას.<sup>4</sup>

პრაქტიკაში დღესდღეობით შემუშავებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი (ნიმუშს, სადაც

<sup>1</sup> Identification of ICT specifications - <http://ec.europa.eu/digital-agenda/en/identification-ict-specifications>

<sup>2</sup> Europe Economics Chancery House, Guides for Procurement of Standards-based ICT, Elements of Good Practice, 2011 - <http://cordis.europa.eu/fp7/ict/ssai/docs/study-action23/d3-guidelines-finaldraft2012-03-22.pdf>

<sup>3</sup> European Commission, Standartization Mandate to Cen Celec And Etsi in Support of European Accessibility Requirements for Public Procurement in the Built Environment, M/420 EN, Brussels 2007.

<sup>4</sup> Strategy for the Implementation of E-procurement in Irish Public Sector, 2001, p.54.

ხელშეკრულების საერთო პირობებია მოცემული), აგრეთვე, კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი, საპროექტო სამუშაოების შესყიდვის სპეციალური რეგულაცია, გამარტივებული წესით სხვადასხვა სახის ობიექტების შესყიდვის წესები.<sup>1</sup> ამგვარად, აღნიშნული კუთხით მუშაობა დაწყებულია, თუმცა ცალკეული პროდუქტების შესყიდვის (მაგალითად, მივლინებასთან დაკავშირებული მომსახურების) ხელშეკრულების შესრულებაზე მონიტორინგის სტანდარტული პროცედურები, აგრეთვე, სატენდერო დოკუმენტაციის, ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტაციის ცალკეული პუნქტების სტანდარტული ფორმები, შემუშავებული არ არის.

ამ შემთხვევაში ჩვენი რჩევები და რეკომენდაციები დაწყებული საქმის დაჩქარებას დაუკავშირდება. შესასყიდი საქონლის, მომსახურების თუ სამუშაოს შესყიდვის პროცედურები რადიკალურად ურთიერთგანსხვავებულია. ორი აზრი არ არის იმაში, რომ თითოეულ პროცესს თავისი სტანდარტი სჭირდება. რადგან უცხოეთში ასეთი სტანდარტები დიდი ხანია უკვე არსებობს, ჩვენ დროის მოგების მიზნით უნდა შევიძინოთ ისინი და დავნერგოთ ჩვენთან. ამ სტანდარტების ასეთი „გადმოტანა“, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, მისაღებიც არის და მიზანშეწონილიც.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში შეიმჩნევა ბაზრის შესწავლის ნაკლოვანებებიც. შესყიდვების შესახებ არსებული კანონმდებლობის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო განაცხადში უთითებს შესასყიდი ობიექტის სავარაუდო ღირებულებას, რომლის შესაბამისადაც მიმწოდებელი - პრეტენდენტები განსაზღვრავენ თავიანთი სატენდერო წინადადებების საწყის ფასს. როგორც წესი, პრეტენდენტთა წინადადებების თავდაპირველი ფასები ემთხვევა შესყიდვის ობიექტის

<sup>1</sup> მაგალითად, კომპიუტერების, ქაღალდის, საწვავის შესყიდვებთან მიმარ-თებაში.

სავარაუდო ღირებულებას ან უმნიშვნელოდ განსხვავდება მისგან. პრეტენდენტებს შორის ელექტრონული ვაჭრობა იწყება მათ მიერ დაფიქსირებული საწყისი ფასების საფუძველზე და, შესაბამისად, ისინი გავლენას ახდენენ მთლიანად ვაჭრობის პროცესსა და შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებაზე. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური დავალების სწორად შედგენისა და ჯანსაღი კონკურენციის არსებობის პირობებში, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მნიშვნელობა მცირდება, რადგან შესყიდვის ფასი კონკურენციით ავტომატურად რეგულირდება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ტენდერში ჯანსაღი კონკურენციის არსებობა ყოველთვის უზრუნველყოფილი არ არის, სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების ოპტიმალურად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაშიც, როდესაც შემსყიდველი ტენდერის გარეშე, ინდივიდუალურად უთანხმდება მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულებაზე. ასე რომ, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე დიდწილად არის დამოკიდებული შესყიდვის ობიექტის საბოლოო (სახელშეკრულებო) ფასი. სავარაუდო ღირებულების ოპტიმალურად განსაზღვრისთვის, მიზანშეწონილია ბაზრის შესწავლა და სხვა აპრობირებული მეთოდების გამოყენება (დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი, წმინდა დღევანდელი ღირებულების ანალიზი და ა.შ.).<sup>1</sup> ბაზრის შესწავლა აუცილებელია შესყიდვის განხორციელების ისეთ ეტაპებზეც, როგორებიცაა: საჭიროებების განსაზღვრა, ბიუჯეტის დაგეგმვა, შესყიდვის საშუალების შერჩევა, სატენდერო წინა-

<sup>1</sup> Cost Benefit Analysis, Net Present Value Method.

დადების შედგენა და ა.შ.<sup>1</sup> შესყიდვებთან დაკავშირებული გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტი პირდაპირ მიუთითებს ბაზრის კვლევის განხორციელების აუცილებლობასა და ინფორმაციის მოპოვების განსხვავებულ წყაროებზე (ცხრილი 3):<sup>2</sup>

ცხრილი 3

ინფორმაციის მოპოვების წყაროები

წყარო	მათ შორის:
შიდა	<ul style="list-style-type: none"> <li>➢ ადგილობრივ ბაზარზე არსებული მომწოდებლები;</li> <li>➢ წარსული გამოცდილება (ადრე გაფორმებული ხელშეკრულებების გადახედვა და ანალიზი);</li> <li>➢ კოლეგებთან კონსულტაცია;</li> <li>➢ შესყიდვების მაკოორდინებელი ორგანიზაცია;<sup>1</sup></li> <li>➢ სხვა დანარჩენი.</li> </ul>
გარე	<ul style="list-style-type: none"> <li>➢ სხვა შემსყიდველთა გამოცდილება - ინფორმაციის-მოძიება და კონსულტაცია იმ შემსყიდველებთან, რომლებიც ახორციელებენ მსგავს შესყიდვებს;</li> <li>➢ სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ვაჭრობასთან და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციები;</li> <li>➢ ბიზნეს-სემინარები და კონფერენციები;</li> <li>➢ ინტერნეტი და მედია;</li> <li>➢ სხვა დანარჩენი.</li> </ul>

ზოგიერთი ქვეყანა ასევე ითვალისწინებს ინფორმაციის ოფი-

<sup>1</sup> United Nations Procurement Practitioner's Handbook, 2006, p. 24 - <http://www.procurementclassroom.com/market-study-in-public-procurement/>; აგრეთვე იხ.: NSWDepartment for Public Works and Services, Checklist of Potential Risks in Goods and Services Procurement-Process, December 2006 - [http://147.109.254.181/domino/hfg.nsf/07CC4222E4F10F00CA256C8D007F9FC6/\\$FILE/Checklist+of+potential+risk+in+the+goods+and+services+procurement+process+V2.pdf](http://147.109.254.181/domino/hfg.nsf/07CC4222E4F10F00CA256C8D007F9FC6/$FILE/Checklist+of+potential+risk+in+the+goods+and+services+procurement+process+V2.pdf)

<sup>2</sup> United Nations Procurement Practitioner's Handbook, 2006, p. 24-25. - <http://www.unops.org/SiteCollectionDocuments/Procurement%20docs/UN%20procurement%20practitioners%20handbook.pdf>

ციალურად გამოთხოვის წეს<sup>1</sup> პოტენციური მიმწოდებლები-საგან.<sup>2</sup> ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა შეიძლება გამოქვეყნდეს საჯაროდ ან სისტემის მეშვეობით დაეგზავნოს ბაზარზე აქტიურ კომპანიებს.<sup>3</sup>

შემსყიდველმა დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს, გამოიყენოს ინფორმაციის ყველა წყარო თუ დაეყრდნოს მხოლოდ რამდენიმე მათგანს. როგორც წესი, მცირე მოცულობის შესყიდვის განხორციელებისას, საკმარისია მხოლოდ პრეტენდენტთა შესწავლა და წარსული გამოცდილების გათვალისწინება.<sup>4</sup> მაღალი ბიზნესრისკისა და დაბალი დანახარჯების<sup>5</sup> მქონე შესყიდვის (მაგ., სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამის შესყიდვა) განხორციელების შემთხვევაში კი გამართლებულია ალტერნატივების შესწავლა და პოტენციურ მიმწოდებელთა ანალიზი. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ბაზრის შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემები წერილობით აისახოს დოკუმენტში, რათა შემსყიდველს შესაძლებლობა ჰქონდეს აღნიშნული ინფორმაცია სხვა შესყიდვების განხორციელების დროსაც გამოიყენოს.<sup>6</sup> ჩვენნი დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ხშირად სათანადოდ არ ახორციელებენ ბაზრის შესწავლას, არ ითვალისწინებენ არც საკუთარ და არც სხვა შემ-

<sup>1</sup> ინფორმაციის ოფიციალურად გამოთხოვა არ გულისხმობს მიმწოდებელთა მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

<sup>2</sup> Strategy for the Implementation of E-procurement in Irish Public Sector, 2001, p. 50, 78; United Nations Procurement Practitioner's Handbook, 2006, p. 25. - [www.enviro.ie/en/LocalGovernment/ProcurementModernisation/PublicationsDocuments/FileDownload.15925,en.pdf](http://www.enviro.ie/en/LocalGovernment/ProcurementModernisation/PublicationsDocuments/FileDownload.15925,en.pdf)

<sup>3</sup> United Nations Procurement Practitioner's Handbook, 2006, p. 25; <http://www.unops.org/SiteCollectionDocuments/Procurement%20docs/UN%20procurement%20practitioner%20handbook.pdf>

<sup>4</sup> United Nations Procurement Practitioner's Handbook, 2006, p. 25; <http://www.unops.org/SiteCollectionDocuments/Procurement%20docs/UN%20procurement%20practitioner%20handbook.pdf>

<sup>5</sup> იგულისხმება შესყიდვა, რომელიც მიმწოდებლისათვის იწვევს ნაკლებ დანახარჯებს.

<sup>6</sup> ბაზრის შესწავლის მოხსენების ნიმუში - <http://www.oecd.org/governance/procurement/toolbox/templateformarketstudyreport.htm>

სყიდველ ორგანიზაციათა გამოცდილებას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ტენდერის დასრულების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასები მნიშვნელოვნად მცირეა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ (დადგენილ) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

სხვაობა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებსა და საბოლოო ფასებს შორის<sup>1</sup>

კონტრაქტის ნომერი	შესყიდვის კოდური სახელწოდება	სავარაუდო ღირებულება	თავდაპირველი შეთავაზება	ხელშეკრ. ღირებულება	სხვაობა	%
SPA120008210	"ალფა"	13,439,000	11,964,034	10,663,363	2,775,637	21%
SPA110006970	"ბეტა"	9,086,000	9,086,000	3,748,800	5,337,200	59%
SPA110004446	"ზეტა"	6,000,000	5,596,658	3,884,899	2,115,101	35%
SPA110011407	"დელტა"	5,400,000	5,298,517	3,699,000	1,701,000	32%
SPA110021756	"ელფი"	7,737,239	7,635,433	6,500,000	1,237,239	16%
SPA110031032	"ფიჯი"	5,332,800	5,332,800	4,098,844	1,233,956	23%
SPA120003664	"გილი"	4,206,210	4,206,210	2,190,030	2,016,180	48%
	სულ	51,201,249	-	34,784,936	16,416,313	32%

როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, თავდაპირველად მთლიანობაში 51,201,249 ლარად შეფასებული შესყიდვები განხორციელდა 34,784,936 ლარად, ანუ, დაახლოებით 32%-ით ნაკლებ ფასად. ტენდერის ძირითადი არსი კონკურენციის გაზრდა და შესყიდვის მაქსიმალურად ოპტიმალურ ფასად განხორციელებაა, თუმცა

<sup>1</sup> აღნიშნულ ცხრილში მოცემული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულია.

სავარაუდო ღირებულებასა და ხელშეკრულების საბოლოო ფასებს შორის ასეთი არსებითი სხვაობა გამოწვეულია სავარაუდო ღირებულების არასათანადოდ განსაზღვრით. ტენდერში არასაკმარისი კონკურენციის ან მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობის შემთხვევაში, შესყიდვა დიდ ალბათობით, განხორციელდებოდა სავარაუდო ღირებულების იდენტურ ან/და უმნიშვნელოდ ნაკლებ ფასად. ამასვე ადასტურებს ქვემოთ მოცემული ცხრილი 5, რომელშიც ასახულია ისეთი შესყიდვები, სადაც მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა.

ცხრილი 5

სავარაუდო ღირებულებასა და შესყიდვის საბოლოო ფასს შორის სხვაობის არარსებობა ტენდერში ერთი პრეტენდენტის მონაწილეობის პირობებში<sup>1</sup>

კონტრაქტის ნომრები	შემსყიდველის კოდური სახელწოდებები	სავარაუდო ღირებულება	ხელშეკრულების ღირებულება
SPA 110031468	"ალფა"	250,000	250,000
SPA 110031556	"ბეტა"	97,950	97,950
SPA 110030516	"ზეტა"	1,788,540	1,788,540
SPA 110032741	"დეტა"	86,250	86,250
SPA 12002834	"ელფი"	15,12,000	15,124,000
SPA 1200286552	"ფიჯი"	2,820,000	2,820,000

გამოკვლევით აღმოჩნდა ისიც, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები არ ითვალისწინებენ მათ მიერ წინა პერიოდში განხორციელებულ შესყიდვებს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სავარაუდო ღირებულებასა და შესყიდვის საბოლოო ფასს სხვაობის არარსებობა ყოველთვის არ მიუთითებს შესყიდვის ცუდად დაგეგმვაზე.

ერთი წლის განმავლობაში იდენტური მახასიათებლებისა და რაოდენობის პროდუქტის შესყიდვის შესახებ ტენდერი 2012 წლის 12 მარტს გამოცხადდა 8,000 ლარზე, იმავე წლის 14 სექტემბერს კი ორმაგ ფასად - 16,000 ლარზე (ცხრილი 6).

ცხრილი 6

იდენტური საქონლის შესყიდვა სხვადასხვა პერიოდში

კონტრაქტის ნომერი	შემსყიდველის კოდიური სახელწოდება	თარიღი	შესყიდვის ობიექტი	სავარაუდო ღირებულება	ხელშეკრ. ღირებულება	ერთეულის ღირებულება
SPA120008067	შემსყიდველი "ალფა"	12.03.2012 14.09.2012	საკანცელარიო საქონელი	8,000 16,000	5,351 4,799	- -
SPA110017441	შემსყიდველი "ბეტა"	30.06.2011 10.02.1012	სასკოლო მერხები და სკამები	1,100,000 4,000,000	1,100,000 4,000,000	110 133

ცხრილი 6-დან ჩანს, რომ შემსყიდველ "ალფას" მიერ განხორციელებული ორივე შესყიდვა განხორციელდა ფაქტიურად იდენტურ ფასად მაშინ, როცა მეორე შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ორჯერ აღემატებოდა პირველი შესყიდვისას განსაზღვრული საქონლის სავარაუდო ღირებულებას.

რაც შეეხება შემსყიდველ "ბეტას", მან პირველ შემთხვევაში სასკოლო მერხებისა და სკამების კომპლექტის ერთი ერთეული შეიძინა 110 ლარად. რამდენიმე თვეში განხორციელებული შესყიდვისას კი ერთეულის ფასი გაიზარდა 23 ლარით და შეადგინა 133 ლარი მაშინ, როცა შემსყიდველისათვის წინა ტენდერებიდან ცნობილი იყო, რომ შესყიდვის ფასი შეადგენდა 110 ლარს (გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პერიოდში ბაზარზე ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა). აღნიშნული ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შემსყიდველებს გასული პერიოდის

გამოცდილება არ გაუთვალისწინებიათ და შესყიდვების დაგეგმვის პროცესი ცუდად წარმართეს.<sup>1</sup>

ასევე გამოვლინდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები არ ახორციელებენ სხვა ორგანიზაციათა მიერ განხორციელებული შესყიდვების ანალიზს, რადგანაც ერთი და იმავე პერიოდში, ფაქტობრივად იდენტური სახის შესყიდვა ხდება მნიშვნელოვნად განსხვავებულ ფასად სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ.

ამგვარად, ბაზრის შესწავლასთან დაკავშირებული ღონისძიებების არასათანადო განხორციელების გამო შემსყიდველი ორგანიზაციები არასწორად საზღვრავენ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებისა და, შესაბამისად, ხარჯების ზრდას.

სწორედ ის ფაქტები, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებაში ამდენ შეცდომებს უშვებენ, იმის დამადასტურებელია, რომ ადგილებზე სახელმწიფო შესყიდვების მართვა არ არის მაღალ დონეზე ორგანიზებული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ ყველა შემსყიდველ ორგანიზაციაში (გარდა მსხვილი ორგანიზაციებისა) არ არის შესყიდვების სამსახური. ასეთ ვითარებაში, ცხადია, სპონტანურად წყდება პრობლემები. როგორც ჩანს, მსხვილ შემსყიდველებსაც კი რომელთაც შესყიდვების სამსახურები აქვთ შექმნილი, არ ჰყავთ არც ბაზრის მოკვლევისა და ანალიზის ჩამტარებელი პროფესიონალი კადრები. ამ საქმის გამოსწორებაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უნდა აიღოს თავის თავზე. მან ამ კადრების გადამზადება განახორციელოს - ანალიზშიც და მარკეტინგშიც.

სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს, როგორც

<sup>1</sup> მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მეორე შემთხვევაში შესყიდვის მოცულობაც გაცილებით დიდი იყო, რასაც წესით საქონლის საბოლოო ღირებულებაზე უნდა ჰქონოდა გავლენა მასშტაბის ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე.

ცენტრალიზებულად, ასევე დეცენტრალიზებულად. ცენტრალიზაციას, ისევე, როგორც დეცენტრალიზაციას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. შესაბამისად, შესყიდვის ცენტრალიზაციის საკითხი ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, უნდა გადაწყდეს. საერთაშორისო პრაქტიკა ყურადღებას ამახვილებს ცენტრალიზაციასთან დაკავშირებულ შემდეგ დადებით მხარეებზე:

- ▲ შესყიდვის ფასების შემცირება (მასშტაბის ეკონომიის შედეგად);
- ▲ უკეთესი შესრულების უფრო დაბალ ფასად მიღება;
- ▲ ცენტრალიზებაზე პასუხისმგებელი შემსყიდველი ორგანოს მაღალი კომპეტენცია;
- ▲ ტექნიკური დავალების სრულყოფილად და ნათლად განსაზღვრა;
- ▲ შესყიდვის გამოცხადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯის შემცირება სახელმწიფოსათვის;<sup>1</sup>
- ▲ მეტი გამჭვირვალობა<sup>2</sup> (საქართველოში აღნიშნული დეცენტრალიზაციითაც არის უზრუნველყოფილი, თუმცა ერთ ტენდერზე მონიტორინგი უფრო ადვილია, ვიდრე მრავალ დეცენტრალიზებულ შესყიდვაზე).

ცენტრალიზებული შესყიდვისა და ელექტრონული სისტემის დანერგვა ეხმარება სახელმწიფოებს მოდერნიზებული და გაუმჯობესებული შესყიდვის მოდელის ჩამოყალიბებასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაში.<sup>3</sup>

სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი სახსრების

<sup>1</sup> თუმცა, არა ყველა შემთხვევაში, გასათვალისწინებელია შესყიდვის ტიპი.

<sup>2</sup> OECD, Centralized and Decentralized Public Procurement, Sigma Papers No 29, p. 4; <http://www.oecdilibrary.org/docserver/download/5kml60w5dxrl.pdf?expires=1391980133&id=id&ccname=guest&checksum=F4A151E15F66533498986AFCA9636ADB>; აგრეთვე, შეგიძლიათ იხილოთ: Strategy of the Implementation of the E-procurement in the Irish Sector, 2001, p. 19.

<sup>3</sup> ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემა ევროკავშირში - [http://www.oecdilibrary.org/governance/centralised-purchasing-systems-in-the-european-union\\_5kgkgqv703xw-en](http://www.oecdilibrary.org/governance/centralised-purchasing-systems-in-the-european-union_5kgkgqv703xw-en).

რაციონალური ხარჯვის პრინციპის უზრუნველსაყოფად, ევროპის მრავალ ქვეყანაში აპრობირებულია შესყიდვების ცენტრალიზებულიად განხორციელების პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს გარკვეული კატეგორიის შესყიდვების განხორციელებას კოორდინირებულად ერთი სუბიექტის მიერ. აღნიშნული სუბიექტი შეიძლება წარმოადგენდეს ცალკე დამოუკიდებელ ორგანოს ან ეს ფუნქცია შეთავსებული ჰქონდეს რომელიმე სამინისტროს.

მაგალითად, ფინეთში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შესყიდვების ცენტრალიზებულად განხორციელებით, 2009 წელს ხარჯები დაახლოებით 185 მილიონი ევროთი შემცირდა, ხოლო 2010 წელს - 197 მილიონი ევროთი. შვედეთში ცენტრალიზებული შესყიდვებით მხოლოდ ტრანზაქციების ხარჯი<sup>1</sup> ყოველწლიურად დაახლოებით 50 მილიონი ევროთი მცირდება.<sup>2</sup>

საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დიდი მოცულობის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება ამცირებს პროდუქციის ღირებულებას, რაც მკვეთრად ამცირებს შემსყიდველი ორგანიზაციებისა და მასზე დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხარჯებს (მათ შორის ადმინისტრაციულ ხარჯს). ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ის უარყოფითი მხარეებიც, რაც ცენტრალიზაციას ახასიათებს, კერძოდ, რიგ შემთხვევებში, იგი აბრკოლებს მცირე მეწარმეების მონაწილეობას ტენდერებში, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკო-

<sup>1</sup> ეკონომიკურ ურთიერთობებში წარმოშობილი ტრანზაქციის ხარჯში იგულისხმება ყველა ის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტებით ვაჭრობასთან, კერძოდ: კომუნიკაციასთან, იურიდიულ მომსახურებასთან, ინ-ფორმაციის მოპოვებასთან (რათა ვნახოთ საჭირო ღირებულებისა და ხარისხის პროდუქტი), ტრანსპორტირების ხარჯი და ა.შ.; შეგიძლიათ იხ. შემდეგი ბმული - <http://www.businessdictionary.com/definition/transaction-cost.html>

<sup>2</sup> 82Centralised Purchasing Systems in the European Union, SIGMA PAPER No. 47.p.19. - [http://www.oecdilibrary.org/governance/centralised-purchasing-systems-in-the-european-union\\_5kgkgqv703xw-en](http://www.oecdilibrary.org/governance/centralised-purchasing-systems-in-the-european-union_5kgkgqv703xw-en)

ნომიკური ზრდისათვის. გარდა ამისა, ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება სათანადოდ ვერ მოხდეს რომელიმე ორგანიზაციის (რომლისთვისაც ხორციელდება შესყიდვა) ინტერესების სრულად გათვალისწინება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს მხოლოდ გარკვეული კატეგორიის შესყიდვების ცენტრალიზაციის მიზანშეწონილობას. როგორც წესი, ცენტრალიზაცია გამართლებულია ისეთი პროდუქტების შესაძენად, რომელთაც მეტი ფიქსირებული ხარჯი აქვთ (რადგან შესაძლებელია მასშტაბის ეკონომიის პრინციპით სარგებლობა); ამასთანავე, შესყიდვა უნდა განხორციელდეს ისეთ სფეროებში, სადაც საფრთხე არ ექმნება მცირე ბიზნესს და არ იქმნება მონოპოლიების შექმნის საშიშროება. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, მსგავსი სახის სფეროებად შეიძლება მივიჩნიოთ:<sup>1</sup> საწვავი; კომპიუტერული ტექნიკა; დაზღვევა; ტელეკომუნიკაციები; საბანკო მომსახურება; მანქანები და სხვ.

საქართველოში შესყიდვების ცენტრალიზებულად განხორციელების მიზანშეწონილობის შესაფასებლად, ჩვენ დავაკვირდით ერთ-ერთი სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში შემავალი დაწესებულებების მიერ საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებს. იდენტური შესყიდვის ობიექტების ერთეულის ღირებულებების შედარებით გამოვლინდა, რომ სამინისტრო დიდი მოცულობის პროდუქტის შესყიდვას ნაკლებ ფასად ახორციელებს და პირიქით - მცირე რაოდენობისას - მაღალ ფასად (იხ. ცხრილი 7).

<sup>1</sup> Strategy for the Implementation of E-procurement in Irish Public Sector, 2001, p.42-43. <http://www.environ.ie/en/LocalGovernment/ProcurementModernisation/PublicationsDocuments/FileDownload,15925,en.pdf>

## იდენტური საქონლის შესყიდვა სხვადასხვა მოცულობით

კონტრაქტის ნომერი	შესყიდვით ორგანიზაცია	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სხვაობა
SPA120004432	"ალფა"	საბეჭდო ქაღალდი A-4 ზომის, 80 გრ. 500 ფურცელი	შეკვრა	10,000,00	5.25	+8%
SPA110026670	"ბეტა"	საბეჭდო ქაღალდი A-4 ზომის, 80 გრ. 500 ფურცელი	შეკვრა	430	5,65	
SPA120024108	"ალფა"	ბაინდერი (დიდი)	ცალი	4000	1.65	+21%
SPA120026670	"ბეტა"	ბაინდერი (დიდი)	ცალი	295	2,00	
SPA 120004194	"ალფა"	ფაილი A-4 ფორმატის (100 ცალი შეკვრაში)	შეკვრა	5000	2,00	+10%
SPA 120008067	"ბეტა"	ფაილი A-4 ფორმატის (100 ცალი შეკვრაში)	შეკვრა	255	2,20	
SPA 1200024108	"ალფა"	ბეჭდის ბალიში დატუმბული - 88x57	ცალი	600	0,70	+29%
		ბეჭდის ბალიში დატუმბული - 88x57	ცალი	300	0,90	
SPA 120024108	"ალფა"	სანიშნი ქაღალდი ფერადი 76x76 მმ	შეკვრა	1000	0,55	+173%
		სანიშნი ქაღალდი ფერადი 76x76 მმ	შეკვრა	600	1,50	
SPA120024108	"ალფა"	საქაღალდე A-4 ფურცლის დამკერით	შეკვრა	200	1,30	131%
		საქაღალდე A-4 ფურცლის დამკერით	შეკვრა	50	3,00	


როგორც მე-6 ცხრილიდან ვხედავთ, ერთსა და იმავე პერიოდში სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა რამდენიმე დაწესებულებამ, რომელთაც კოდური სახელწოდებები მივანიჭეთ, ერთი და იგივე პროდუქტი შეიძინა სხვადასხვა ფასად. შესყიდვის ცენტრალიზაციით კი შესაძლებელი იქნებოდა უფრო დიდი მოცულობის შესყიდვის განხორციელება, რაც, როგორც წესი, უზრუნველყოფს ფასების შემცირებას (ე.წ. მასშტაბის ეკონომია) და ნაკლები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად შეამცირებდა ხარჯებს.

შესაბამისად, გარკვეული კატეგორიის შესყიდვის ობიექტებთან მიმართებაში მიზანშეწონილია კონსოლიდირებული ან/და ცენტრალიზებული ტენდერების ჩატარება, თუმცა ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის რისკები და უარყოფითი მხარეები, რაც ცენტრალიზებასთან არის დაკავშირებული და შესაბამისად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ჩვენი დაკვირვებითაც და სახელმწიფო აუდიტის დაკვირვებითაც პრობლემებია გამარტივებულ შესყიდვებშიც.

გამარტივებული შესყიდვები განხორციელდა სხვადასხვა საშუალებით, კერძოდ: მონეტარული ზღვრის დაცვით, მთავრობის/პრეზიდენტის თანხმობით, გადაუღებელი აუცილებლობით და სხვ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამაზე ნაჩვენებია, თუ როგორ განაწილდა გამარტივებული შესყიდვები სხვადასხვა სახეობების მიხედვით 2011 წელს.



დიაგრამა 13. გამარტივებული შესყიდვები კატეგორიების მიხედვით (2011 წელი)

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

შენიშვნა: „სხვა დანარჩენში“ გაერთიანებულია ისეთი შემთხვევები, როგორცაა, ექსკლუზივი, ხარისხის გაუარესება, წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინებები და სხვ.<sup>1</sup>

როგორც წარმოდგენილი დიაგრამიდან ირკვევა, ყველაზე ნაკლები შესყიდვა 2011 წელს განხორციელდა მონეტარული ზღვრის დაცვით, ხოლო ყველაზე მეტი - პრეზიდენტის (მთავრობის) ნებართვებით (603808632 ლარის). აღნიშნული გარემოება განმეორდა 2012 წელსაც და სწორედ ამ მიზეზით ამ წელს ელექტრონული ტენდერების წილი 55%-მდე შემცირდა. ეს კი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ წინა ხელისუფლება პირდაპირი მოლაპარაკებების გზით მათთან დაახლოებულ პირებთან სდებდა შესყიდვების ხელშეკრულებას, რაც ბუნებრივია არასწორი და არამართლზომიერი ქმედებაა.

ჩვენი დაკვირვებით მოცემულ სისტემაში, ადგილი აქვს

<sup>1</sup> საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 2005წ., მუხლი 10<sup>1</sup> (3).

შესყიდვების გადაუდებელ აუცილებლობას, მაგრამ ამასთან დაუსაბუთებელ შემთხვევებს. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ან გამარტივებული შესყიდვა.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელდეს 200,000 ლარზე ნაკლები ღირებულების შესყიდვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, რისთვისაც საქართველოს პრეზიდენტი ან/და საქართველოს მთავრობა გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს.<sup>1</sup>

გამარტივებული ტენდერის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ჩვეულებრივი ტენდერისგან არის ის, რომ წინადადების მიღების ვადა სრულდება მისი გამოცხადებიდან არანაკლებ 3 სამუშაო დღეში. რაც შეეხება გამარტივებულ შესყიდვას, გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობისას უნდა არსებობდეს ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან, რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას. გარდა ამისა, შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ოდენობას. აგრეთვე შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი

<sup>1</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებითდამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი, მუხლი 25.

შესყიდვის განხორციელების გაქიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა.<sup>1</sup>

გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელებული შესყიდვებზე დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, პრეზიდენტის (მთავრობის) ნებართვით ხდებოდა გამარტივებული შესყიდვების განხორციელება. თუმცა, შესწავლილი შესყიდვების გამარტივებული წესით შესყიდვის აუცილებლობა რიგ შემთხვევებში არ არსებობდა. მაგალითად, ერთ-ერთმა შემსყიდველმა გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი შეწყვიტა და გამოაცხადა გამარტივებული ტენდერი იმ მოტივით, რომ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას და მისი გამარტივებული ტენდერის წესით შესყიდვა ნებადართული იყო მთავრობის განკარგულებით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების შესყიდვა მთავრობის ნებართვის საფუძველზე განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გზით, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამარტივებული ტენდერი გამოცხადდა ნებართვის გაცემიდან 80 კალენდარული დღის შემდეგ, ხოლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა შეადგენდა 300 კალენდარულ დღეს. ნათელია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არ არსებობდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების აუცილებლობა, რადგან აღნიშნული განხორციელდა ნებართვის მიღებიდან 80 დღის შემდეგ (და არა 3 დღის შემდეგ); ამ პერიოდში კი ელექტრონული

<sup>1</sup> საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005, მუხლი 3, პუნქტი ა.

ტენდერის ჩატარება სავსებით შესაძლებელი იყო. ამ შემსყიდველმა ზემოაღნიშნული შესყიდვის პროცედურების ამ გზით წარმართვის შედეგად, პრეტენდენტებს შეუზღუდა ტენდერში მონაწილეობის ვადა, ვინაიდან შემსყიდველის მიერ დადგენილი ვადა დიდი მასშტაბის მქონე ტენდერის ხარჯთაღრიცხვის შესადგენად შეიძლება არ ყოფილიყო საკმარისი. საბოლოოდ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კომპანიამ.

ასევე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შემსყიდველმა 981,500 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალების სათადარიგო ნაწილები შეიძინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა ისეთი სათადარიგო ნაწილები, რომელთა უმეტესი ნაწილი შეიძლება საერთოდ არც გამხდარიყო საჭირო. მაგალითად, სხვადასხვა მარკისა და წლოვანების ავტომანქანების ფრთები, კარები, ფარები, საბარგულები და ა.შ. როცა ეს საკითხი შეამოწმა საქართველოს სახელმწიფო აუდიტმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ წარმოუდგინა ამ შესყიდვის განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება. აუდიტით გამოვლინდა, რომ შესყიდვიდან 10 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესყიდული სათადარიგო ნაწილების 18%-იც კი არ იყო გამოყენებული და 911,5 ათასი ლარის ღირებულების მარაგები გამოუყენებლად ინახებოდა საწყობებში.<sup>1</sup> ასეთ შემთხვევებს მრავლად ჰქონდა ადგილი. გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების დროს ასევე ხდება ტენდერის პროცედურების გვერდის ავლა, რაც ვერ უზრუნველყოფს კონკურენციასა და შესყიდვის ხელსაყრელ ფასში განხორციელებას. ამასთან, ჩნდება კორუფციის ეჭვიც.

სახელმწიფო შესყიდვებში პრობლემებია სამიველივე მომ-

<sup>1</sup> ეფექტიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და განვითარების თანამედროვე მიდგომები, თბ., 2014, გვ. 34.

სახურების შესყიდვებშიც. მივლინებებთან დაკავშირებული შესყიდვების კოორდინაცია და კონტროლი საქართველოში არ ხორციელდება. შემსყიდველებს არც საკანონმდებლო ვალდებულება აქვთ, რათა აღნიშნული სახის შესყიდვები ელექტრონული სისტემის საშუალებით განახორციელონ. მათი გამარტივებული წესით განხორციელების შესაძლებლობა იწვევს ხარჯების ზრდას და რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ ხარისხს. საქართველოში კი სამივლინებო შესყიდვები სწორედ ამ წესით ხდება.

საერთაშორისო პრაქტიკამ და სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობების კვლევამ აჩვენა, რომ მივლინებებთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვას დიდი ყურადღება ექცევა. აღნიშნული კატეგორიის შესყიდვებთან მიმართებაში აუცილებელია სახელმწიფო დაწესებულებების მჭიდრო კოორდინაცია, რადგან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად არსებობს სახელმწიფო სახსრების დაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციალი.<sup>1</sup> მაგალითად, ავსტრალიაში მივლინებებთან დაკავშირებული შესყიდვების კოორდინაციას ახდენს ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტი<sup>2</sup> და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა სხვა შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის. აღნიშნული დეპარტამენტი, როგორც წესი, ახორციელებს ცენტრალიზებულ შესყიდვებს მივლინებებთან დაკავშირებული მომსახურების შესასყიდად: ფაზა 1 - შიდა და

<sup>1</sup> მივლინებებთან ერთად მსგავსი მნიშვნელობა ენიჭება შესყიდვების შემდეგ კატეგორიებს: კომპიუტერული ტექნიკა, საწვავი, საოფისე მოწყობილობები, დაზღვევა, საბანკო მომსახურებები. იხ. - Strategy of the Implementation of the E-procurement in the Irish Sector, 2001, pp. 43, 140. <http://www.environ.ie/en/LocalGovernment/ProcurementModernisation/PublicationsDocuments/FileDownload,15925,en.pdf>

<sup>2</sup> Minister of Finance and Deregulation - აღნიშნული დეპარტამენტი არის საჯარო ფინანსების მართვაზე პასუხისმგებელი ერთ-ერთი ორგანო. იხ.: Commonwealth Procurement Rules, 2012. - [http://www.finance.gov.au/sites/default/files/cpr\\_commonwealth\\_procurement\\_rules\\_july\\_2012.pdf](http://www.finance.gov.au/sites/default/files/cpr_commonwealth_procurement_rules_july_2012.pdf)

გარე ფრენებთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა; ფაზა 2 - სასტუმროს, შიდა გადაადგილებისა და სხვა დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.<sup>1</sup>

ამ საკითხში საქართველოსთვის სრულიად მისაღები უნდა იყოს საერთაშორისო პარაქტიკაში აპრობირებული სამიველინებო მომსახურების შესყიდვის წესი. იგი ცენტრალიზებული წესით უნდა განხორციელდეს (მაგალითად, ცალკეული სამინისტროების მასშტაბით, ანდა ფინანსთა სამინისტროს მასშტაბით) და ამასთან აუცილებლად უნდა აიკრძალოს მისი გამარტივებული წესით შესყიდვა.

საქართველოს კანონით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესყიდვების განხორციელების უფლება აქვთ არა მხოლოდ საჯარო სამართლის ორგანიზაციებს, არამედ იმ საწარმოსაც, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო საწარმოებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესყიდვის განხორციელებისას ხელმძღვანელობს მთავრობის მიერ დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოში დღეისათვის არსებობს დაახლოებით 400 სახელმწიფო საწარმო. რიგი სახელმწიფო საწარმოებისთვის დადგენილია სპეციალური წესი, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებს ტენდერების განხორციელებას არა ელექტრონულად, არამედ ბეჭდური დოკუმენტების მეშვეობით, რომლის თანახმად, ე.წ. „ქაღალდის ტენდერებში“ მონაწილეობის მსურ-

<sup>1</sup> როგორც წესი, აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებით იდება 3 დამოუკიდებელი ხელშეკრულება სხვადასხვა ტურისტულ ფირმასთან - <http://www.finance.gov.au/procurement/traveland-related-services/index.html>

ველი კომპანიები ვალდებულნი არიან, სატენდერო დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციაში წარადგინონ დახურულ კონვერტებში. „ქალაღის ტენდერებში“ მონაწილეობა დაკავშირებულია სხვადასხვა დოკუმენტაციის შეგროვებასთან, მიმწოდებლების მრავალჯერად ვიზიტთან შემსყიდველ ორგანიზაციაში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში. სახელმწიფო საწარმოების მიერ გამოცხადებულ „ქალაღის ტენდერებში“, სავალდებულოა მრავალი ისეთი დოკუმენტის წარმოდგენა, რომელიც დამატებით ბარიერებს ქმნის (მაგალითად, ელექტრონულ ვაჭრობაში საკვალიფიკაციო მონაცემებს მხოლოდ გამარჯვებული წარადგენს) და საბოლოოდ ეს დოკუმენტები, ტენდერში გამარჯვებული პირის გარდა, გამოუსადეგარია სხვა მონაწილეებისათვის, რაც დროისა და მატერიალური რესურსების არაეკონომიურ ხარჯვასთან არის დაკავშირებული. „ქალაღის ტენდერებისათვის“ ასევე დამახასიათებელია გეოგრაფიული უთანასწორობის პრობლემა. რეგიონული კომპანიები არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან თბილისში მყოფ კომპანიებთან შედარებით, რადგან მსხვილი სახელმწიფო საწარმოების დიდი ნაწილი თბილისში მდებარეობს და რეგიონულ კომპანიებს რამდენჯერმე უწევთ ვიზიტი თბილისში მხოლოდ იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღონ ტენდერში, გამარჯვების ყოველგვარი გარანტიის გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, „ქალაღის ტენდერებისთვის“ დამახასიათებელია კორუფციის მაღალი რისკი, რაც დასტურდება მსოფლიო ბანკის 2008 წლის ანგარიშით, რომლის მიხედვით „ქალაღის ტენდერების“ სისტემა შეფასებულია, როგორც კორუფციის მაღალი რისკის მატარებელი სისტემა. ამასთანავე, „ქალაღის ტენდერებით“ ვერ ხდება გამჭვირვალობის

უზრუნველყოფა და შესაბამისი ორგანოების მხრიდან რთულდება შესყიდვებზე მონიტორინგი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი არ არის, რომ სახელმწიფო საწარმოებისათვის შემუშავებული სპეციალური წესები ითვალისწინებდნენ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით განხორციელებას.

უფრო პრობლემატურია საკითხი, როდესაც სახელმწიფო შეიძლება არაპირდაპირ ფლობდეს 25%-ს კომპანიაში, მაგრამ ჰქონდეს მასზე ფაქტობრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. მაგალითად, სახელმწიფო ფლობს 50%-ს კომპანია "ალფაში" და ეს უკანასკნელი ფლობს 50%-ს თავის შვილობილ კომპანია "ბეტაში". ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს წილობრივი მფლობელობა 25%-ს არ აღემატება, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მას აქვს ფაქტობრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, ეძლევა შესყიდვის კორუფციული სქემით განხორციელების საშუალება აღნიშნული შვილობილი კომპანიების მეშვეობით.

ამგვარად, ქვეყანაში მიმდინარე ელექტრონიზაციის პროცესების პარალელურად, ქვეყანაში მოქმედ საწარმოებს შესაძლებლობა ეძლევათ, თავი აარიდონ სახელმწიფო შესყიდვებში დადგენილ რეგულაციებს. შედეგად, აღნიშნული საწარმოების მიერ განხორციელებული შესყიდვები არის უკონტროლო და გაუმჭვირვალე.

ამ მდგომარეობის გამსოწორების მიზნით ვიძლევიტ წინადადებას დაიწყოს სახელმწიფო საწარმოების მიერ დაფუძნებულ კომპანიაზე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის გაცრცელების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა, ანდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შემოიღოს მათთვის შესყიდვების სპეციალური წესი.

ნაკლოვანებები აქვს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებასაც. 2010 წლის 1 დეკემბრიდან ქვეყანაში ამოქმედდა ახალი ელექტრონული სისტემა. შეიქმნა შესყიდვების პორტალი, სადაც ხდება ელექტრონული ტენდერის გამოცხადება და ყველა საჭირო დოკუმენტის ატვირთვა, როგორც შემსყიდველის, ასევე პრეტენდენტების მიერ.

2010 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემსყიდველ ორგანიზაციებს ევალებოდათ სატენდერო განცხადების გამოქვეყნება გაზეთ „24 საათში“, რათა ამა თუ იმ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სატენდერო პროცედურების დაწყების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი ყოფილიყო დაინტერესებული პირებისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სატენდერო განცხადების გამოქვეყნების საფასურს შემსყიდველი ორგანიზაცია ანაზღაურებდა იმის მიხედვით, თუ რა მოცულობის ადგილს იკავებდა გაზეთში გამოსაქვეყნებელი სატენდერო განაცხადი.


ტენდერში მონაწილეობის საფასური ყველა მიმწოდებლისთვის შეადგენს 50 ლარს. აღნიშნული საფასური სავალდებულო თანხაა, რომელიც ირიცხება უფლებამოსილი ორგანოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნული საფასურის გარდა, არსებობს ასევე ელექტრონული ტენდერის გამოქვეყნების საფასური, რომელიც არის 25 ან 50 ლარი.<sup>1</sup> სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების პარალელურად, სააგენტო კანონმდებლობით ვალდებული იყო, დამატებით უზრუნველყო გაზეთ

<sup>1</sup> 50 ლარი, როდესაც შესაბამის ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულების მომენტისთვის სატენდერო წინადადება წარმოადგინა სულ მცირე. ერთმა პრეტენდენტმა ან, როდესაც მიენიჭა სტატუსი „ტენდერი შეწყვეტილია.“ 25 ლარი, როდესაც შესაბამის ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულების მომენტისთვის სატენდერო წინადადება არ წარმოუდგენია არც ერთ პრეტენდენტს.

„24 საათში“ სატენდერო განცხადების გამოქვეყნება. ზემო-აღნიშნული თანხებიდან გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი 80% ირიცხებოდა გაზეთ „24 საათის“ ანგარიშზე, ხოლო 20% - სააგენტოს ანგარიშზე.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა გაზეთ „24 საათში“ ტენდერის გამოცხადების მიზანშეწონილობის საკითხი სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე მომხმარებელთა ვიზიტების ანალიზით (დიაგრამა 14) და დაადგინა, რომ ინტერნეტი არავისთვის აღარ არის პრობლემა და გაზეთში მისი გამოცხადება არის ზედმეტი ხარჯი, აუდიტის აზრი ამ საკითხზე აქვე გვაქვს ციტირებული.



დიაგრამა 14.<sup>1</sup> საიტის მომხმარებელთა რაოდენობა

წყარო: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

ელექტრონული ტენდერების მოსარგებლეთა ნახაზზე მოცემული რაოდენობის საფუძველზე, აუდიტმა გააკეთა შემდეგი

<sup>1</sup> უნიკალურ ვიზიტორში იგულისხმება მომხმარებელი, რომელიც სულ მცირე, ერთხელ მაინც ეწვია საიტს.

დასკვნა: "ზემოაღნიშნული გრაფიკებიდან ჩანს, რომ 2011-2012 წლებში ვებგვერდით მოსარგებლეთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შესყიდვების პორტალი ხელმისაწვდომი საშუალებაა ელექტრონული ტენდერების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ბოლო წლებში სისტემურ და საინფორმაციო ტექნოლოგიებში განვითარებული ცვლილებების ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. აღნიშნულის მიუხედავად, კვლავ ხდებოდა სატენდერო განაცხადების გამოქვეყნება გაზეთში; აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულია მხოლოდ სატენდერო განაცხადება. დაინტერესებულმა პირმა უნდა მოიძიოს სასურველი ტენდერი სააგენტოს ვებგვერდზე, რათა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ატვირთოს საკუთარი სატენდერო განაცხადი და ყველა საჭირო ინფორმაცია. შესაბამისად, ტენდერების ელექტრონიზაციის შემდეგ, ტენდერში მონაწილეობა ინტერნეტის გარეშე შეუძლებელი გახდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტრონული ტენდერების ვებ-გვერდი ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ეფექტიან და ხელმისაწვდომ საშუალებას წარმოადგენს. ვებგვერდის პოპულარიზაციასთან ერთად მინიმალური გახდა ტენდერების გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნების აუცილებლობა, რაც თავის დროზე, გამოიწვევდა სახელმწიფო სახსრების დაზოგვას".

აუდიტის სამსახურმა იანგარიშა განაცხადების გაზეთში არ გამოქვეყნებით დაზოგილი თანხებიც (ცხრილები 8, 9).

2011 წელს შესყიდვების გაზეთში გამოქვეყნების საფასური<sup>1</sup>

	ტენდერების რაოდენობა	სააგენტოს მიერ მიღებ. თანხა	გაზეთ „24 საათის“ წილი (80%)	სააგენტოს წილი (20%)
შემდგარი	18,795	939,750	751,800	187,950
არშემდგარი	13,841	346,025	276,820	69,205
სულ	32,636	1,285,775	1,028,620	257,155

## ცხრილი 9

2012 წელს შესყიდვების გაზეთში გამოქვეყნების საფასური<sup>2</sup>

	ტენდერების რაოდენობა	სააგენტოს მიერ მიღებ. თანხა	გაზეთ „24 საათის“ წილი (80%)	სააგენტოს წილი (20%)
შემდგარი	19,902	995,100	796,080	199,020
არშემდგარი	8,860	221,500	177,200	44,300
სულ	28,762	1,216,600	973,280	243,320

ამ ცხრილებში მოცემული გაანგარიშების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო აუდიტი აკეთებს დასკვნას, რომ გაზეთ "24 საათში" ინფორმაციის გამოქვეყნების ხარჯი, რომელიც 2011-2012 წლებში ბიუჯეტს დაუჯდა  $1028620 + 973280 = 2001900$  ლარი, იყო სრულიად ზედმეტი ხარჯი და რომ ტენდერის გაზეთში გამოქვეყნება აღარ არის საჭირო. აუდიტმა ამ თავისი წინადადების გასამაგრებლად წარმოადგინა სლოვენის მაგალითი, სადაც ასევე გააუქმეს ტენდერის გაზეთში გამოქვეყნება. შედეგად მივიღეთ

<sup>1</sup> ელექტიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში: გამჭვირვალობა, ანგარიშგაღებულება და განვითარების თანამედროვე მიდგომები, აუდიტის ანგარიში, თბ., 2014, გვ. 42.

<sup>2</sup> ელექტიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში: გამჭვირვალობა, ანგარიშგაღებულება და განვითარების თანამედროვე მიდგომები, აუდიტის ანგარიში, თბ., 2014, გვ. 42.

ის, რომ 2014 წლიდან საქართველოშიც გაზეთში ტენდერის გამოცხადება აღარ არის სავალდებულო.

ჩვენ ეს გადაწყვეტილება საქართველოსთვის ნაადრევად გვეჩვენება, რადგანაც ჯერჯერობით საქართველოში ინტერნეტით დაფარვის დონე საკმაოდ დაბალია და საქართველოს ინტერნეტის მომხმარებლების რიცხვის მიხედვით 73-ე ადგილი უკავია მსოფლიოში.<sup>1</sup> მეტიც, საქართველო ეხლა დგამს პირველ ნაბიჯებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ხაზით. საქართველოში ეს დარგი ფაქტობრივად არ არსებობს. სტატისტიკურ გამოცემებში იგი უერთდება სატელეკომუნიკაციო ქვედარგს (განცალკევება არ ხდება), რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილია ტრანსპორტთან ერთად.<sup>2</sup> ასეთ სიტუაციაში საქართველოში იმის დათვლაც კი შეუძლებელია რამდენი ადამიანია პერსონალური კომპიუტერით აღჭურვილი. ასეთ დროს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტის დათვალიერებით 5-6 მლნ ვიზიტორის დადგენა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სხვადასხვა ადამიანები არიან და მათ ყველას პერსონალური კომპიუტერებით სარგებლობა შეუძლიათ. ეს არის ადამიანების ერთი და იგივე ფენა, რომლებიც სისტემატურად ათვალიერებენ ამ საიტს. მათი რიცხვი შეიძლება 500,000 კაცზე მეტი არც იყოს. საქართველოში კი 4 მლნ კაცზე მეტი ცხოვრობს. მათი 10-12% ინდივიდუალური მეწარმეა, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა, მაგრამ დიდა იმის ალბათობა, რომ მათ უმრავლესობას არა აქვს კომპიუტერი, ან არა აქვს ინტერნეტთან წვდომა და აქედან გამომდინარე, არ ექნება სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს საიტზე სატენდერო პირობების ნახვისა და შემდეგ ტენდერში მონაწილეობის საშუალება.

<sup>1</sup> შენგელია თ., საერთაშორისო მენეჯმენტი, თბ., 2012, გვ. 86.

<sup>2</sup> ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2012, გვ. 285.

ტენდერების დაუსაბუთებელ შეწყვეტებსაც ვთვლით ამ სფეროს მუშაობის ნაკლოვანებად. თუ შეწყდა, ეს იმას ნიშნავს, რომ არ იყო სათანადოდ მომზადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არსებული კანონმდებლობის თანახმად, შემსყიდველს ტენდერის პროცედურების შეწყვეტა შეუძლია ხელშეკრულების დადებამდე, ტენდერის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით.<sup>1</sup> ჩვენი დაკვირვებით გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში შემსყიდველი ორგანიზაციები სათანადო დასაბუთების გარეშე წყვეტდნენ ტენდერის პროცედურებს. მაგალითად, 2011 წლის 6 დეკემბერს შემსყიდველმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი 113 1500 ცალი ნაგვის კონტეინერის შესყიდვაზე. ტენდერის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 1,350,000 ლარს. ერთეულის ღირებულება განისაზღვრა 900 ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა კომპანიამ (ცხრილი 10).

ცხრილი 10

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები და კონტრაქტის ფასები

კონტრაქტის ნომერი	პრეტენდენტი	პირველადი ფასი	საბოლოო ფასი
SPA110031012	"ალფა"	1,350,000	1,309,500
SPA120008255	"ბეტა"	1,350,000	1,048,500
SPA120016675	"ზეტა"	1,350,000	1,035,480

2012 წლის 9 იანვარს სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ კონტეინერს ესაჭიროებოდა დამატებითი ტექნიკური პარამეტრები, თუმცა, აღნიშნული არ დაუსაბუთებია და, ამასთანავე, არ განუმარტავს, თუ რატომ არ შეიძლებოდა ტენდერის გამოცხა-

<sup>1</sup> საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2006, მუხლი 7(1) ("გ").

დებამდე დამატებითი პარამეტრების საჭიროების განსაზღვრა. შედეგად, შემსყიდველმა დაუსაბუთებლად შეწყვიტა ტენდერის პროცედურები.

აღმოჩნდა ისეთი ტენდერი, სადაც მონაწილეობდა 9 პრეტენდენტი. ტენდერი შეწყდა და განმეორებით ტენდერში ჩაიღო 2 მილიონი ლარის ბრუნვის მოთხოვნა. გამოვლინდა, რომ 9-დან 8 მიმწოდებელი ვერ დააკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნას. საბოლოოდ ტენდერში მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა მიიღო მონაწილეობა. ტენდერის დაუსაბუთებლად შეწყვეტის მიზანი შეიძლება იყოს გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობის ხელოვნურად შექმნა, შემსყიდველისათვის არასასურველ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების თავიდან აცილება და ა. შ. ჩვენი აზრით, სწორედ ეს უკანასკნელი იყო ტენდერების შეწყვეტის მიზეზები.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში ადგილი აქვს მიმწოდებელთა დაუსაბუთებელ დისკვალიფიკაციასაც. არსებული კანონმდებლობის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ან ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განაცხადს ან სატენდერო დოკუმენტაციას.<sup>1</sup>

პრეტენდენტთა დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაციის პრობლემის საილუსტრაციოდ კვლავ ზემოთ განხილული ნაგვის კონტეინერების შესყიდვის მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. როგორც აღინიშნა, შემსყიდველმა 2012 წლის 9 იანვარს შეწყვიტა ტენდერის პროცედურები დამატებითი ტექნიკური პარა-

<sup>1</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N9 გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ, 2011, მუხლი 12(2).

მეტრების განსაზღვრის აუცილებლობიდან გამომდინარე, ტენდერის შეწყვეტიდან მე-3 დღეს, 2012 წლის 11 იანვარს, შემსყიდველმა განმეორებით გამოაცხადა ტენდერი<sup>1</sup> 1500 ცალი ნაგვის კონტეინერის შესყიდვაზე, რომლის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 1,309,500 ლარი, ერთეულის ღირებულება კი განისაზღვრა 873 ლარით (ტენდერის სავარაუდო ღირებულება ზუსტად შეესაბამებოდა 2011 წლის 6 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში. პრეტენდენტ "ალფას" მიერ დაფიქსირებულ სატენდერო წინადადების საბოლოო ფასს; ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესების მიუხედავად კი ერთეულის ღირებულება შემცირდა 27 ლარით). აღნიშნულ ტენდერში კვლავ მიიღეს მონაწილეობა პრეტენდენტმა "ალფამ" (სატენდერო წინადადების საბოლოო ფასი - 1,150,000 ლარი) და პრეტენდენტმა "ბეტამ" (1,149,999 ლარი). სატენდერო კომისიამ განიხილა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტ "ბეტას" წინადადება და დაადგინა, რომ სატენდერო დოკუმენტაცია შეესაბამებოდა შემსყიდველის მოთხოვნებს, თუმცა წარმოდგენილი ნიმუში შეუსაბამო იყო ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან (აწვევი მექანიზმი არ ასრულებდა გარკვეულ ფუნქციებს). აღნიშნული მიზეზის გამო შემსყიდველმა მოახდინა პრეტენდენტ "ბეტას" დისკვალიფიკაცია და ხელშეკრულების გასაფორმებლად მოიწვია პრეტენდენტი "ალფა". ხელშეკრულების გაფორმებამდე დისკვალიფიცირებულმა პრეტენდენტმა გაასაჩივრა შემსყიდველის გადაწყვეტილება დავების განმხილველ საბჭოში, რომელმაც დაადგინა, რომ პრეტენდენტ "ბეტას" მიერ წარმოდგენილი ნიმუში სრულად აკმაყოფილებდა შემსყიდველის მოთხოვნებს, მოითხო-

<sup>1</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N9 გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ, 2011, მუხლი 12(2).

ვა დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და შესყიდვის პროცედურების კანონმდებლობის საფუძველზე წარმართვა.

შემსყიდველმა ნაცვლად იმისა, რომ ხელმეორედ განეხილა პრეტენდენტ "ბეტას" სატენდერო წინადადება, ვინაიდან არ არსებობდა მისი დისკვალიფიკაციის საფუძველი, შეწყვიტა შესყიდვის პროცედურები იმ მოტივით, რომ კონტენერის ტექნიკური პარამეტრები საჭიროებდა დამატებით დახვეწას. აღნიშნულის შემდეგ შემსყიდველმა ხელმეორედ გამოაცხადა ტენდერი, რომელშიც მხოლოდ ერთმა კომპანიამ (პრეტენდენტმა "ალფამ") მიიღო მონაწილეობა და გამოვლინდა გამარჯვებულად. ამგვარად, შემსყიდველმა თავდაპირველად სათანადო საფუძვლის არსებობის გარეშე მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, შემდგომში კი, დაუსაბუთებლად შეწყვიტა ტენდერის პროცედურები, რითაც შეძლო ხელშეკრულების სავარაუდოდ მისთვის სასურველ პრეტენდენტთან გაფორმება.

განხილული შესყიდვების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში მიმწოდებელ-პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია და ტენდერების შეწყვეტა ხშირად ხდება დაუსაბუთებელი მიზეზებით. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ შემსყიდველები ხელშეკრულებებს აფორმებენ მათთვის სასურველ პრეტენდენტებთან, ზღუდავენ კონკურენციას და აჭიანურებენ შესყიდვების დროულად განხორციელებას. ამ ყოველივეს ადვილებს ის ფაქტიც, რომ შემსყიდველებს არა აქვთ საკანონმდებლო ვალდებულება პრეტენდენტს წარუდგინონ კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება (შემსყიდველს აღნიშნული ვალდებულება მხოლოდ სააგენტოს წინაშე აქვს).<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", მე-7(2)(„ვ“) მუხლი.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არსებული UNCITRAL-ის<sup>1</sup> სამოდელო (სანიმუშო) კანონი კი პირდაპირ მიუთითებს, რომ პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, შესყიდვის შეწყვეტის შესახებ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს შესყიდვაში მონაწილე ყველა პრეტენდენტს.<sup>2</sup> მსგავსი სახის მოთხოვნას აყენებს გერმანიის შესყიდვების კანონმდებლობაც, რომელიც, აგრეთვე ითვალისწინებს შემსყიდველის ვალდებულებას - მიაწოდოს პრეტენდენტებს ინფორმაცია შესყიდვის იმავე ობიექტზე მომავალში გამოსაცხადებელი ტენდერის შესახებ.<sup>3</sup> ასეთი მოთხოვნა ჩვენს კანონშიც უნდა ჩაიდოს.

რაც შეეხება ხელშეკრულებაში პირობების დაუსაბუთებელ ცვლილებებს. მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი. კერძოდ, კანონი მიუთითებს, რომ დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.<sup>4</sup>

<sup>1</sup> საერთაშორისო სავაჭრო სამართალთან დაკავშირებით არსებული გაეროს კომისია, რომლის ფუნქციაა სავაჭრო და კომერციულ სამართალთან დაკავშირებული ნორმების მოდერნიზაცია და ჰარმონიზაცია.

<sup>2</sup> UNCITRAL Model Law on Public Procurement, Article 19(2).

<sup>3</sup> Vergabe- und Vertragsordnung für Bauleistungen, Teil B (VOB/B), 2009, § 17(2); Vergabe- und Vertragsordnung für Leistungen, Teil A (VOL/A), 2009, § 17(2).

<sup>4</sup> "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი", მუხლი 21 (5); საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

ჩვენი დაკვირვებით აღმოჩნდა ხელშეკრულების ვადის უსაფუძვლო ცვლილების რამდენიმე შემთხვევა. დადგინდა, რომ როდესაც ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებლების მიერ ვერ ხორციელდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, ისინი ითხოვენ სახელშეკრულებო ვადის გაგრძელებას ისეთი საფუძველსმოკლებული მიზეზების გამო, როგორებიცაა, მაგალითად, ზაფხულის პერიოდთან დაკავშირებული მაღალი ტემპერატურა, კლიმატის გაუარესება ზამთარში, მაშინ როდესაც მათთვის წინასწარ არის ცნობილი, რომ თუ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება ზამთრის პერიოდში, შესაძლოა იქნეს ძლიერი სიცივეები და სხვ. მაგალითად, 2012 წლის 3 ივლისს, 197,469 ლარის ღირებულების ხელშეკრულება 124 გაფორმდა მიმწოდებელთან. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით, რა პერიოდშიც მიმწოდებელს უნდა უზრუნველყო 17 ობიექტის - ბაგა-ბაღის შენობების სახურავის სარემონტო სამუშაოები. 2012 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც გაიზარდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და განისაზღვრა 2012 წლის 1 სექტემბრამდე. მიზეზად მძიმე კლიმატური პირობები (წვიმა, ქარი და ძლიერი სიციხე) სახელდებოდა. ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებას საფუძვლად უდევს ცნობა გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან იმ პერიოდში არსებული მეტეოროლოგიური მონაცემების შესახებ. აღნიშნული ცნობის თანახმად, 21 ივლისიდან 3 აგვისტომდე ფიქსირდებოდა ჰაერის მაღალი ტემპერატურა (საშუალოდ, 36 გრადუსი ცელსიუსით). აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული 14 დღის განმავლობაში 40 გრადუსიანი სიციხე მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა, 6 შემთხვევაში კი - ტემპერატურა 35 გრადუსზე დაბალი იყო. საქართველოში არსებული კლიმა-

ტური პირობების გათვალისწინებით, მსგავსი სახის სიცხეები მოულოდნელობას და ფორს-მაჟორულ გარემოებას არ წარმოდგენს. რაც შეეხება წვიმას, ხელშეკრულების შესრულების პერიოდში მხოლოდ 9-ჯერ დაფიქსირდა, რაც ასევე, ნორმალური მოვლენაა ზაფხულის პერიოდში. ხელშეკრულების გაფორმებამდე როგორც შემსყიდველს, ასევე მიმწოდებელს შეეძლოთ წინასწარ გაეთვალისწინებინათ ზაფხულის პერიოდთან დაკავშირებული თანმდევი სიცხეები და მოსალოდნელი წვიმები. შესაბამისად, კლიმატურ პირობებზე აპელირება და მის საფუძველზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის გადაწევა უსაფუძვლო და დაუშვებელი იყო.

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში შეტანილი ასეთი დაუსაბუთებელი ცვლილებები იწვევს სახელმწიფო დანახარჯების ზრდას და გვიანდება შესრულება, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს შემსყიდველის საქმიანობაზე. აღნიშნული პრობლემის გამომწვევ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის გარემოება, რომ შემსყიდველები არ იყენებენ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ მექანიზმებს, რომლებიც აუცილებელია კონტრაქტების ეფექტიანი მენეჯმენტისათვის.

სწორედ ასეთი მექანიზმების დანერგვა აღმოფხვრის ხელშეკრულებების დაუსაბუთებელ ცვლას და აქედან გამოწვეულ დანახარჯების ზრდას. მხედველობაში გვაქვს მკაცრი მონიტორინგი, მონიტორინგის პროცედურების წერილობითი გაწერა, მიმწოდებლების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე შუალედური ანგარიშგებების წარმოდგენა და სხვა.

არსებითი ნაკლოვანებაა ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფოს შესყიდვების სისტემაში არ არის დანერგილი შეფასების სისტემა. ევროკავშირისა და OECD-ის<sup>1</sup> ინიციატივით, „მმართვე-

<sup>1</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

ლობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერის“ (SIGMA) პროექტის<sup>1</sup> ფარგლებში მომზადდა დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი განმარტავს, რომ შეფასების სისტემა მიზანშეწონილია არსებობდეს, როგორც ცენტრალურ (მაკოორდინებელი ორგანოს), ისე შემსყიდველი ორგანიზაციების დონეზე.<sup>2</sup> სახელმწიფო რესურსების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სისტემაში არსებობდეს საკმარისი ინფორმაცია მიმწოდებლებისა და შემსყიდველების თაობაზე. მიმწოდებელთა მუდმივი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გარეშე რთულია განსაზღვრო, რამდენად სწორად და ეფექტიანად წარმართავს ორგანიზაცია შესყიდვებთან დაკავშირებულ პროცესებს. SIGMA-ს ანგარიშში<sup>3</sup> აღნიშნულია მიმწოდებელთა შეფასების სისტემის შემდეგი დადებითი მხარეები:<sup>4</sup>

- ▲ მიმწოდებელთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის არსებობა იძლევა საშუალებას შეფასდეს, როგორც კონკრეტული პროექტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების, ისე მთლიანად შესყიდვების სისტემის პროდუქტიულობა და ეფექტიანობა;
- ▲ აადვილებს შესყიდვების პროცესებში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოვლენას;
- ▲ ხელს უწყობს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და სტრატეგიის შემუშავებას.

შემსყიდველ ორგანიზაციაში მიმწოდებელთა შეფასების სისტემის (ე.წ. მიკრო დონე) არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია

<sup>1</sup> Support for Improvement in Government and Management - <http://www.sigmaweb.org>

<sup>2</sup> SIGMA report on Performance Measurement on Public Procurement, August 2011, p. 2.

<sup>3</sup> SIGMA report on Performance Measurement on Public Procurement, August 2011, p. 2-3.

<sup>4</sup> SIGMA report on Performance Measurement on Public Procurement, August 2011, p. 3.

მიმწოდებელთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის არსებობა და განხორციელებული შესყიდვების თაობაზე ცოდნის დაგროვება. აღნიშნული ხელს შეუწყობს გამარტივებული შესყიდვების განხორციელების დროს მიმწოდებლის სწორად შერჩევის პროცესს. ამასთანავე, შემსყიდველს მიეცემა შესაძლებლობა სწორად განსაზღვროს, თუ რომელ კომპანიებთან არის მიზანშეწონილი მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობა შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე. მიმწოდებელთა შეფასება შეიძლება ეფუძნებოდეს სხვადასხვა კრიტერიუმს, როგორებიცაა: მომსახურების (პროდუქციის) ხარისხი, ფასი, დრო, კომპანიის რეპუტაცია/სახელი, გამოცდილება და ა. შ. შემსყიდველის კონკრეტული ინტერესებიდან და საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, შეიძლება შემუშავდეს მიმწოდებელთა შეფასების რამდენიმე სისტემა, რომელიც დაეფუძნება განსხვავებულ კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს.

საქართველოს შემსყიდველ ორგანიზაციებში არ არის დანერგული მიმწოდებელთა შეფასების სისტემა; არ ხდება განხორციელებულ შესყიდვების თაობაზე ინფორმაციის სისტემური აღრიცხვა და მისი პრაქტიკაში შემდგომი გამოყენება.

შესაბამისად, ისინი არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას პოტენციურ მიმწოდებლებზე, რაც გამარტივებული შესყიდვების განხორციელების დროს შესაბამისი კომპანიის შერჩევას ართულებს. ინფორმაციის ნაკლებობა არის იმის მიზეზიც, რომ არასათანადოდ ხდება შესყიდვების დაგეგმვა და ტენდერების განხორციელების დროს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრა ხშირ შემთხვევებში არასწორად ხდება, რაც თავის მხრივ იწვევს შესყიდვის მაღალ ფასში განხორციელებას.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიმწოდებელთა შეფასების სისტემა ფუნქციონირებს არა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის

დონეზე, არამედ მთლიანად სახელმწიფოს მასშტაბით (ცენტრალური, ე. წ. მაკრო დონე).<sup>1</sup> შემსყიდველი ორგანიზაციები ინფორმაციას თავიანთი მიმწოდებლების შესახებ აცნობებენ შესყიდვების მაკოორდინებელ ცენტრალურ ორგანოს, რომელიც ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის ანალიზს, კონსოლიდაციას და აქვეყნებს სახელმწიფო შესყიდვების ვებ-გვერდზე. აღნიშნული მონაცემები შეიძლება მოიცავდეს: ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის სფეროს შესახებ, გამოცდილებას, შესყიდვების სტატისტიკას, უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ სამუშაოებს, შემსყიდველთა მხრიდან მიმწოდებელთა შეფასებას, პროდუქციის ელექტრონულ კატალოგს და ა. შ., რომელთა საფუძველზე შეიძლება მოხდეს მიმწოდებელთა რანჟირება. აღნიშნული შემსყიდველისათვის აადვილებს მიმწოდებელთა შერჩევის პროცესს გამარტივებული შესყიდვის განხორციელების დროს, ზრდის მიმწოდებლის სწორად შერჩევის ალბათობას და, ამასთანავე, ზრდის კონკურენციას პოტენციურ მიმწოდებლებს შორის. ასევე, მიმწოდებელთა საქმიანობისა და რეპუტაციის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის არსებობა შემსყიდველებს გაუადვილებს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას ტენდერის პროცესში ისეთ შემთხვევებში, როდესაც პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული საბოლოო ფასი მნიშვნელოვნად დაბალია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, რაც ეჭვქვეშ აყენებს სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობას (მაგალითად, გადაწყვიტოს, მოსთხოვოს თუ არა პრეტენდენტს ფასწარმოქმნის დასაბუთება და ა.შ.).

საქართველოში მიმწოდებელთა შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსამიებლად შესყიდვების ელექტრონულ სის-

<sup>1</sup> ერთ-ერთი პირველი ქვეყანა არის დანია; თუ როგორ დაიწყო დანიაში აღნიშნული პროცესის ინიცირება, შეგიძლიათ იხ.: National Audit Office of Denmark, E-procurement and its Effects on Future Audit Approach, March 2004.

ტემასთან<sup>1</sup> ერთად შექმნილია ტენდერებზე მონიტორინგის დამატებითი მექანიზმი ([www.tendermonitor.ge](http://www.tendermonitor.ge)). გარდა ამისა, ფუნ-ქციონირებს კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი, ე.წ. „თეთრი სია“ და არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრი - „შავი სია“. შესაბამისად, აღნიშნული სიებიდან დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებს ესა თუ ის კომპანია თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. შესაბამისად, აღნიშნული სისტემა შემსყიდველთათვის იძლევა შესაძლებლობას ჰქონდეთ გარკვეული ინფორმაცია პოტენციური მიმწოდებლების შესახებ, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არ არის იმგვარად სისტემატიზებული, სრული და ადვილად აღსაქმელი, რომ გაადვილდეს მიმწოდებელთა სწორად შერჩევა და ამან დადებითად იმოქმედოს კონკურენციაზე.

ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად მიმწოდებლებსაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დააფიქსირონ საკუთარი აზრი შემსყიდველთა თაობაზე - უნდა მოხდეს შემსყიდველთა შეფასება მიმწოდებელთა მხრიდან, რაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

პრობლემაა ისიც, რომ საქართველოს შესყიდვების სისტემაში ერთიანი სადისკუსიო პლატფორმა, ე. წ. „ონლაინ ფორუმი“ დაწერგილი არ არის. მისი კარგი პრაქტიკა აქვთ საზღვარგარეთის ქვეყნებს.

<sup>1</sup> კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - [www.spa.gov.ge](http://www.spa.gov.ge)

## დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველი:

1. სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში ხდება 1993 წლიდან, როდესაც მინისტრთა საბჭომ მიიღო №264 დადგენილება - "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისთვის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ". 1998 წლამდე აღნიშნული დადგენილებით ხდებოდა სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება. 1998 წლის 9 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", რომელიც ამოქმედდა 1993 წელს. 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ამ კანონის ახალი ვარიანტი. 2010 წლის 1 აგვისტოდან მას დამატა ცვლილებები, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ელექტრონულ შესყიდვებს.
2. სახელმწიფო შესყიდვებს საქართველოში ადმინისტრირებას და კოორდინაციას უწევს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. უშუალოდ შესყიდვებს ახორციელებენ კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაციები და მათ მართლზომიერებაზე ისინი არიან პასუხისმგებელნი.
3. სახელმწიფო შესყიდვები ძირითადად ხორციელდება ბიუჯეტის (სახელმწიფო და ადგილობრივი) სახსრებით. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებია:
  - ▲ ელექტრონული ტენდერი;
  - ▲ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
  - ▲ გამარტივებული შესყიდვა;

▲ კონსოლიდირებული ტენდერი;

▲ კონკურსი.

4. შესყიდვები ხორციელდება შესასყიდი ობიექტის საჭიროების იდენტიფიცირებით, რომლის შემდეგ კლასიფიკატორული კოდის მეშვეობით ხორციელდება შესყიდვის საშუალების შერჩევა. საქართველოს შესყიდვების პრაქტიკაში არის შემთხვევები, რომ შესასყიდ საქონელზე (ან მომსახურებაზე) შესაბამისი კოდი არ იძებნება, მასთან მიახლოებული კოდის გამოყენება კი პრობლემურია, რადგან სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემა ვერ აღიქვამს ასეთ არაზუსტ კლასიფიკატორულ კოდს და შესაბამისად ვერ ახორციელებს მიმწოდებლებისგან ნაყიდი საქონლის ღირებულების გადარიცხვას.
5. შესყიდვების საქართველოს პრაქტიკაში მეტად პრობლემურია შესასყიდი საქონლის, მომსახურების თუ სამუშაოს ხარისხის განსაზღვრა. არადა, შესყიდვის ფასის ჩამოსაყალიბებლად ეს პირველი პარამეტრია. ამის მიზეზს ძირითადად ის წარმოადგენს, რომ შემსყიდველ ორგანიზაციებში დაბალია შესაბამისი სპეციალისტების კვალიფიკაცია, ნაკლებად იყენებენ გარე ექსპერტების/სპეციალისტების მოწვევის შესაძლებლობას და ასევე ნაკლებად იყენებენ კონკრეტულ სფეროში მოქმედ სტანდარტებს/ნორმებს.
6. საქართველოს პრაქტიკაში აგრეთვე არის შემთხვევები, როცა სატენდერო დოკუმენტაცია მორგებულია კონკრეტული დასახელების შესყიდვის ობიექტზე. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ან პასუხისმგებელი პირების დაბალ კვალიფიკაციასთან, ანდა ამ კონკრეტული ობიექტის მიმწოდებელთან წინასწარ კორუფციულ გარიგებასთან.

7. ტენდერების 70% სრულდება ხელშეკრულების დადებით, 30% კი არშემდგარად ცხადდება. ეს არის საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გარკვეულ ნაკლოვანებაზე მიანიშნებს.
8. ხშირად ხდება დაუსაბუთებელი გამარტივებული შესყიდვა, რაც ასევე კანონის დარღვევაა. მაგალითად, 2014 წელს შესყიდვების 32% გამარტივებული შესყიდვის მეთოდით განხორციელდა. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით 12 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.
9. 2014 წელს 2011 წელთან შედარებით 8-ჯერ მეტი საჩივარია აღძრული შესყიდვების შესახებ, კანონის დარღვევაზე. მათგან თითქმის ნახევარი მომჩივანთა სასარგებლოდ გადაწყდა, ხოლო დანარჩენი გაუქმდა, როგორც დაუსაბუთებელი.
10. ხარვეზებით მიმდინარეობს ტენდერების ჩატარებაც. რიგ შემთხვევებში ხდება ტენდერის დაუსაბუთებელი შეწყვეტა და პრეტენდენტთა დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია.
11. ადგილი აქვს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ თავისი საჭიროებების ზედმეტად, გადაჭარბებით შეფასებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ძვირადღირებული ავტოტრანსპორტის შეძენა.
12. შემსყიდველი ორგანიზაციები სათანადოდ არ სწავლობენ ბაზარს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ ტენდერების დასრულების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასები მნიშვნელოვნად მცირეა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ თავდაპირველ ღირებულებაზე (ფასზე).
13. სახელმწიფო შესყიდვებში პრობლემებია სამივლინებო მომსახურების შესყიდვებშიც. მივლინებებთან დაკავშირ-

რებული შესყიდვების კოორდინაცია და კონტროლი საქართველოში არ ხორციელდება. ასეთი შესყიდვები მხოლოდ გამარტივებული წესით ხდება, რაც იწვევს სამივლინებო ხარჯების ზრდას.

14. საქართველოში რიგ სახელმწიფო საწარმოებს უფლება აქვთ სახელმწიფო შესყიდვა აწარმოონ არა ელექტრონულად, არამედ ბეჭდური დოკუმენტებით ("ქაღალდის ტენდერი"), ასეთი ტენდერები მსოფლიო ბანკის მიერ კორუფციის მაღალი რისკის მქონეთ არის შეფასებული.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში ზემოთ დასახელებულ ნაკლოვანებების, დარღვევების და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით რაიმე ერთიანი მოდელის შემუშავება შეუძლებელია, ამიტომ წარმოვადგენთ ცალკეულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება კონკრეტული ნაკლოვანების გამოსასწორებლად და სუსტი მხარის გასაძლიერებლად:

1. ჩვენი პირველი წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ იმ ჩამონათვალში, რომელზეც არ ვრცელდება კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" არ უნდა შედიოდეს საქართველოს მთავრობის და მერის სარეზერვო ფონდები.
2. შემსყიდველი ორგანიზაციების საჭიროებების ზუსტად განსაზღვრისათვის ანუ გეგმის სწორად შედგენისთვის, ასევე კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას (სატენდერო დოკუმენტაციის ჩამოყალიბება და შესყიდვის ობიექტის სწორი განსაზღვრა) საჭიროა, პროცესში ჩართული იყვნენ შესაბამისი სფეროს/დარგის ექსპერტები და სპეციალისტები.
3. საჭიროა შემუშავებული იქნეს სპეციალური ნორმატიული აქტი, რომლითაც დარეგულირდება შესასყიდი ობიექტების (კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ა. შ.) ფასების ზედა და

ქვედა ზღვრები და აგრეთვე, კონკრეტული რანგის სამუშაო ადგილი, რომელიც უნდა აღიჭურვოს მათით.

4. სატენდერო დოკუმენტაციის ერთ პირზე (ერთი მომწოდებელი) მორგების თავიდან ასაცილებლად, რასაც ხშირ შემთხვევაში აქვს ადგილი, ეს დოკუმენტაცია ამოქმედებამდე მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს. ეს დავალება უნდა მიეცეს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.
5. ტენდერის დაუსაბუთებელი შეწყვეტა და პირობების ხელახლა გამოცხადება ასევე უნდა იყოს მკაცრად კონტროლირებადი. ამ შემთხვევაში უნდა დადგეს შემსყიდველის, სატენდერო კომისიის და შესყიდვების სააგენტოს პასუხისმგებლობა.
6. შესყიდვების პროცესში შესასყიდი ობიექტის ხარისხის დადგენის მიზნით, სტანდარტების გამოყენების გაფართოების მიზნით, საჭიროა შემსყიდველებს არ უწევდეთ სტანდარტების ყიდვა. ის სტანდარტები, რომლებიც უკვე არსებობს მათ უფასოდ უნდა ემლეოდეთ.
7. შესყიდვების სწორ განხორციელებას ისიც უშლის ხელს, რომ ყველა საქონელსა და მომსახურებაზე არ არსებობს სტანდარტი. ჩვენი აზრით, ამ საქონლის ჩამონათვალი, ხოლო პირველი ეტაპისთვის გამოიკვეთოს ყველაზე მოთხოვნადი შესყიდვის ობიექტი და გადაცეს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის სააგენტოს შესაბამისი სტანდარტის/ნორმის დასამუშავებლად.
8. საქართველოში ამჟამად ზოგიერთ ობიექტებზე არ არსებობს სტანდარტული პროცედურები (შესყიდვის, მონიტორინგის, სატენდერო დოკუმენტების შედგენის, ხელშეკრუ-

ლების და ა. შ.). სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უნდა მოამზადოს სატენდერო დოკუმენტაციის, ხლშეკრულების, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების და სხვა დოკუმენტების ნიმუშები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის. ამასთან დასახვეწია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა კერძოდ სისტემა უნდა იძლეოდეს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ასახული ოდენობებისა და ფაქტობრივი გადახდების ავტომატური შედარების საშუალებას.

9. ბაზრის შესწავლის გასაღრმავებლად, რომელიც გავლენას ახდენს შესასყიდი ობიექტის საწყისი ფასის განსაზღვრაზე, ერთის მხრივ შემსყიდველ ორგანიზაციებს რეკომენდაციას ვაძლევთ ამ პროცესში მაქსიმალურად ჩართონ მოწვეული/გარე სპეციალისტები, ხოლო მეორეს მხრივ აუცილებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავოს ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია და ამასთან შეიმუშაოს ელექტრონული მოდული, რომელიც საშუალებას მისცემს შემსყიდველ ორგანიზაციებს რიგ შემთხვევებში ელექტრონულად მოახდინონ ბაზრის მოკვლევა.
10. გამარტივებული შესყიდვების შესამცირებლად საქართველოში მუშაობა დაიწყო 2012 წლის ოქტომბერში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გააქტიუროს და ყველა ასეთი შემთხვევა კერძო კონტროლზე აიყვანოს.
11. უნდა აიკრძალოს სამივლინებო მომსახურების შესყიდვა გამარტივებული წესით. იგი ცენტრალიზებულად უნდა ხორციელდებოდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ, ისე როგორც ეს ხდება ავსტრალიაში.

12. სახელმწიფოს მიერ 50%-ზე მეტი წილობრივი ფორმით დაფუნდებულ მოგებაზე ორიენტირებული საწარმოებისთვის შემუშავდეს ცალკე ელექტრონული სისტემა;
13. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რჩევით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მხოლოდ ელექტრონულ პორტალში. ეს გადაწყვეტილება ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია. საქართველო ინტერნეტის მომხმარებლების რიცხვით მსოფლიოში 73-ე ადგილზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერნეტზე წვდომა საქართველოს ყველა მოქალაქეს არა აქვს და რაღა თქმა უნდა რომ ყველა პოტენციურ მიმწოდებელს არ ექნება ინფორმაცია ტენდერების შესახებ.
14. ხელშეკრულებათა დაუსაბუთებელი ცვლის (პირობების, ვადის და ა. შ.) აღსაკვეთად ვიძლევიტ მათი მკაცრი მონიტორინგის წინადადებას, მონიტორინგის პროცედურების წერილობით გაწერას და მიმწოდებლების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე შუალედური ანგარიშგებების წარმოდგენის წინადადებას.
15. მიმწოდებლები და შემსყიდველები კარგად უნდა "იცნობდნენ" ერთმანეთს. ამის გასამარტივებლად შესყიდვების სისტემაში საჭიროა დაინერგოს სადისკუსიო-საინფორმაციო პლატფორმა - „ონლაინ ფორუმი“.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეფექტიანი უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და განვითარების თანამედროვე მიდგომები, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, თბ., 2014, 18 მარტი, გვ. 3.
2. 2013 წლის საქმიანობის ანგარიში, კონკურენციის და სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტო, თბ., 2014.
3. 2014 წლის საქმიანობის ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2015.
4. კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 1999.
5. International Organization for Standardization; International Electrotechnical Commission; European, 2010.
6. Committee for Standardization; European Committee for Electrotechnical Standardization, 2005.
7. United Nations Procurement Practitioner 's Handbook, 2006, p. 24 - <http://www.procurementclassroom.com/market-study-in-public-procurement/>; აგრეთვე იხ.: NSW
8. Department for Public Works and Services, Checklist of Potential Risks in Goods and Services Procurement, 2001.
9. Process, December 2006 - [http://147.109.254.181/domino/bfg.nsf/07CC4222E4F10F00CA256C8D007F9FC6/\\$FILE/Checklist+of+potential+risk+in+the+goods+and+services+procurement+process+V2.pdf](http://147.109.254.181/domino/bfg.nsf/07CC4222E4F10F00CA256C8D007F9FC6/$FILE/Checklist+of+potential+risk+in+the+goods+and+services+procurement+process+V2.pdf)
10. Strategy for the Implementation of E-procurement in Irish Public Sector, 2001.
11. <http://www.environ.ie/en/LocalGovernment/ProcurementModernisation/PublicationsDocuments/FileDownload,15925,en.pdf>

12. [http://www.finance.gov.au/sites/default/files/cpr\\_common-wealth\\_procurement\\_rules\\_july\\_2012.pdf](http://www.finance.gov.au/sites/default/files/cpr_common-wealth_procurement_rules_july_2012.pdf)
13. შენგელია თ., საერთაშორისო მენეჯმენტი, თბ., 2012.
14. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - [www.spa.gov.ge](http://www.spa.gov.ge)
15. ზარნაძე ნ., ნარმანია დ., საზოგადოებრივი ადმინისტრირების საფუძვლები და საზოგადოებრივი ადმინისტრირება საქართველოში, თბ., 2009.
16. საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", თბ., 2006.
17. სახელმწიფო შესყიდვები: მეთოდური მითითებები წინამოსამზადებელი ეტაპისთვის, თბ., 2010.
18. ძაგანია მ., კიკვაძე ო., სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საქართველოში, თბ., 2011.
19. შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის მეთოდოლოგია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2013.
20. 250 - ხშირად დასმული შეკითხვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2015.
21. Белоусов Н. Г., Государственные закупки в Российской Федерации, М., 2001.
22. Sue Arrowsmith, John Linarelli and Don Wallace Jr., Regulating Public Procurement: National and International Perspectives, Kluwer Law International, Hague 2000.
23. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშების წესი“.

24. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.
25. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“.
26. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანება: „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“.
27. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანება: „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“.
28. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის №5 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესი“.
29. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგია“.
30. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანება „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“.

31. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანება: „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“.
32. საქართველოს მთავრობის დადგენილება №306, 2014. 23 აპრილი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე.
33. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი“;
34. Developing Specifications, Department of Hoasing and Public Works, Quenland Government, 2006.
35. Public Procurement Training for IPA Beneficiaries, SIGMMA, 2000.
36. პასუხისმგებლობის განაწილებები შესყიდვების ციკლში - [http://www.publicprocurementguides.trensury.gov.cy/OHS-EN/HTML/index.html?181 role definition. gtm](http://www.publicprocurementguides.trensury.gov.cy/OHS-EN/HTML/index.html?181%20role%20definition.gtm)
37. ისლანდიის შესყიდვების სააგენტოს ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია-[http://etenders.gvile/Media/Default/SileContent/Legis/ation Guides/23,%20 Supply%20 Market%20Analysis. pdf](http://etenders.gvile/Media/Default/SileContent/Legis/ation Guides/23,%20Supply%20Market%20Analysis.pdf), 2001.
38. საქართველოს კანონი - "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ". საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე, 2005, 8 მაისი.
39. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 სექტემბრის №3 ბრძანება - "დავების საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ".

40. უუფლებო შესყიდვების სააგენტო, ჟ. "საქართველოს ეკონომიკა", №12, 2012.
41. Organization of Economic Cooperation & Development, Government at Glonce – Size of Public Procurement Market, 2011.
42. Arrousmith, Sue, Linarelli John, & Wallace, Don Jr, Regulatiog Public Procurment – National and Internationals Perspeectives, Kluwer Law International, Hague, 2000.
43. 2012 United Mations Public Service Awards Winners – [http://unpanl.un.org/intradoc/groups/public/documents/un-dpadm/unpan\\_049297.pdf](http://unpanl.un.org/intradoc/groups/public/documents/un-dpadm/unpan_049297.pdf)
44. ხომერიკი თ., როგორ ვარეგულიროთ სახელმწიფო შესყიდვები, ჟ. "ბიზნესი და კანონმდებლობა", №5 (მარტი), 2005.
45. "საჯარო შესყიდვების ქსელი" – PPN - მასალები (ელექტროვერსია).
46. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის 26 დადგენილება "ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია გამართივებული შესყიდვის საშუალებით".
47. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 25 იანვრის 99 განკარგულება "სატელეფინო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე".
48. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის 252 განკარგულება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“
49. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის 2 ბრძანება "შემსყიდველი ორგანიზაციის ანაგრიშგების წესის დამტკიცების შესახებ".

50. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის 3 ბრძანება "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობები და წესი".
51. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის 8 ოქმის ამონაწერი სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით.
52. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მოწოდებული მასალები.
53. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.
54. EBRD-ის სახელმწიფო შესყიდვების რეგიონული კანონ-მდებლობის თვითშეფასება, 2012 – <http://semed.ppl.ebrd.com/?id=1>
55. სსიპ "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" დებულება, 2014.
56. United Nations Public Service Awards – <http://unpan.org/DPADM/UNPSDayAwards/UNPublicServiceAwards/tabid/152/language/en-US/Default.aspx>
57. ირლანდიის სახელმწიფო შესყიდვების სტრატეგია - Strategy for the Implementation of E – procurement in Irish Public Sector, 2001.
58. სახელმწიფო შესყიდვების ავსტრიის პრაქტიკა - <http://147.109.254.181/Domino/btg.nsf/07cc222E4E10FOOCA256c8Doo7F9FC6/SFILE/Checklist+potential+risks+the+goods+and+d+servises+procurement+process+V2.pdf>
59. პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, 2012.
60. United Nations Procurement Practitioner's Handbook, 2006.

61. ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემა ევროკავშირში - [http://www.oecd-Libraru.org/governance/cemtralised-purchasing-systems-in-the-europem-union\\_SkgKgqv703xw-en](http://www.oecd-Libraru.org/governance/cemtralised-purchasing-systems-in-the-europem-union_SkgKgqv703xw-en)
62. SIGMA report on Performance Measurment on Public Procurement, 2011.
63. Support for Improement in Goverament and Management - <http://www.Sigmaweb.org>
64. DECD Methodology for Assessing Procurment, 2009.
65. დანიის პრაქტიკა - National Audit Office of Denmark, E – procurment and its Effeets on Future Audit Approach, 2004.
66. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2013.
67. ჯიბუტი ა. და სხვები, საჯარო ფინანსები, თბ., 2010.
68. დოლონაძე ი., საჯარო ფინანსების მართვის თავისებურებები საქართველოში, "საქართველოს ეკონომიკა", თბ., 2013.
69. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2011.
70. პაპავა ვლ., საქართველოს ეკონომიკა (რეფორმები და ფსევდო-რეფორმები), თბ., 2015.
71. ყუფუნია გ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2010.
72. Кэммпелл Р. Макконнели, Стенли Л. Брю, Экономика, т. I-II, 1992.
73. Хейне Пол, Экономический образ мышления, М., 1987.
74. Долан Э., Линдсей Д., Рынок (макрэкономическая модел, Санкт-Петербург), 1992.

ოთარ კიკვაძე

სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა საჯარო  
ფინანსების ადმინისტრირებაში

გამომცემლობა: „თეკა და კომპანია“

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

ტირაჟი 500



ოთარ კიკვაძე დაიბადა 1984 წლის 16 ივლისს, ქ. ქუთაისში.

2006 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის სრული კურსი, ადგილობრივი ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით და მიენიჭა ეკონომისტი კვალიფიკაცია (მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებულის სტატუსი).

2006 წელს ასევე დაამთავრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კოლეჯის სრული კურსი, სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სპეციალობით და მიენიჭა სახელმწიფო მართვის მაგალაერის ხარისხი.

2008 წელს დაამთავრა ზურაბ ჟვანიას სახელობის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სახელმწიფო მართვის სამაგისტრო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით და მიენიჭა სახელმწიფო მართვის მაგისტრის ხარისხი.

2016 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2007-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციაში, მოწვეული ტრენერად, სახელმწიფო მართვისა და საჯარო ფინანსების ადმინისტრირების კუთხით.

2008-2014 წლებში მუშაობდა „კავკასიის ეკონომიკურ და სოციალურ კვლევით ინსტიტუტში“ ექსპერტ-ანალიტიკოსის მოხელად, არის მონაწილე ექსპერტი და კონსულტანტი, როგორც თვითმმართველობის მიმართულებით.

2010 წლიდან აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ატარებს ტრენინგებს, უწევს კონსულტაციებს, არის მოწვეული ექსპერტი და კონსულტანტი, როგორც მშენებლებს ასევე მამოწებელ ორგანიზაციებში.

2014 წელს იყო ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის, მოწვეული ლექტორი სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით.

2014 წლიდან დღემდე არის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის, ონლაინ სწავლების კურსის, მოწვეული ლექტორი საჯარო ფინანსებში.

2014 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „სერვისი“-ს დირექტორის პირველი მოადგილედ და ამასთან არის სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

აქტიური აქტიურად ეწევა სამეცნიერო მუშაობას, გამოქვეყნებული აქვს შრომები და მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.